

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან  
149-ე წლისთავისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო კონფერენცია



Scholarly Conference  
in Honour of the 149<sup>th</sup>  
Anniversary of the Birth of Ivane Javakhishvili

თეზისები/Abstracts

აპრილი 23-24 April  
თბილისი 2025 Tbilisi

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University**

**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities**

**ივანე ჯავახიშვილის დაბადებიდან 149-ე  
წლისთავისადმი მიძღვნილი  
სამეცნიერო კონფერენცია**

**Scholarly Conference in Honour of the 149<sup>th</sup>  
Anniversary of the Birth of Ivane Javakhishvili**

**თეზისები/Abstracts**

**აპრილი 23-24 April  
თბილისი 2025 Tbilisi**

**სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

**პროფესორი** დარეჯან თვალთვაძე

**ასოცირებული პროფესორი** ეკატერინე ნავროზაშვილი

**ფილოლოგიის დოქტორი** ნინო პოპიაშვილი

**Scientific and Organizational Committee of the Conference:**

**Professor** Darejan Tvaltvadze

**Associate Professor** Ekaterine Navrozashvili

**Doctor of Philology** Nino Popiashvili

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2025

Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press, 2025

ISBN 978-9941-36-345-0 (pdf)

**პორფირიოსი შუა საუკუნეების ქართულ  
ფილოსოფიურ ტექსტებში**

**Porphyry in the Medieval Georgian  
Philosophical Texts**

**ლელა ალექსიძე**  
**Lela Alexidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პორფირიოსი, ნემესიოსი, ამონიოსი, პეტრიწი, პროკლე, კომენტარი, ფილოსოფია

**Keywords:** Porphyry, Nemesius, Ammonius, Petritsi, Proclus, commentary, philosophy

XI-XII საუკუნეებიდან მოყოლებული, ქართველი სწავლულები იცნობდნენ ნეოპლატონიკოს ფილოსოფოს პროკლეს, მისი „თეოლოგიის საფუძვლების“ იოანე პეტრიწისეული თარგმანისა და ამავე წიგნის ყველა თავზე დართული პეტრიწის დეტალური კომენტარების საფუძველზე, რასაც პეტრიწის შესავალი და ბოლოსიტყვაც ახლავს. პეტრიწის კომენტარიდან და მისივე შესავლიდან ქართველმა მკითხველმა გარკვეულწილად პორფირიოსიც გაიცნო. პეტრიწის ხსენებული კომენტარის გარდა, პორფირიოსის სახელისა და მისი შრომების შესახებ ქართველმა მკითხველებმა შეიტყვეს აგრეთვე პეტრიწის მიერ თარგმნილი ნემესიოს ემესელის „ბუნებისათვის კაცისას“ ტექსტიდან და, რაც მთავარია, ძველი ქართული თარგმანიდან ამონიოს ერმისის კომენტარისა პორფირიოსის „ისაგოგებე“. ამგვარად, პროკლეს წიგნზე პეტრიწის კომენტარისა და ნემესიოსის ნაშრომის პეტრიწისეული თარგმანის საფუძველზე ქართველ მკითხველებს წარმოდგენა შეექმნათ პორფირიოსის ზოგიერთი ონტოლოგიური, ფსიქოლოგიური და ეპისტემოლოგიური თეორიის შესახებ, ხოლო პორფირიოსის „ისაგოგებე“ დართულმა ამონიოს ერმისის კომენტარის ქართულმა თარგმანმა ქართველ მკითხველს გააცნო პორფირიოსის შესავალი ლოგიკასა და, ზოგადად, ფილოსოფიაში.

მოხსენების მიზანია XI-XIII საუკუნეების ქართულ ფილოსოფიურ ტექსტებში პორფირიოსის როლის ანალიზი. განხილულია ის შემთხვევები, როდესაც პორფირიოსი პირდაპირ არის ხსენებული და, აგრეთვე, ისეთებიც, სადაც ის არ არის დასახელებული, მაგრამ შესამჩნევია მსგავსება მის შეხედულებებთან.

პეტრიწის კომენტარში პროკლეს „თეოლოგიის საფუძვლებზე“ პორფირიოსი სამჯერ არის ნახსენები. პირველად პეტრიწი ახსენებს პორფირიოსს თავის შესავალში, შემეცნების საფეხურების განხილვისას; შემდეგ პორფირიოსი ნახსენებია პეტრიწის კომენტარის მე-13 თავში, იამბლიქოსთან ერთად, ფიზიკური კოსმოსის – „ცის“ შესახებ მსჯელობისას, რომელიც, პეტრიწის თქმით, სხეულია და სხეულთა მსგავსად, ადგილზე იმყოფება; მესამედ პეტრიწი პორფირიოსს ახსენებს კომენტარის 50-ე თავში, დროის როგორც მარადიულობის მოძრავი ხატის, პლატონური განსაზღვრების კონ-

ტექსტში. აქაც პორფირიოსი იამბლიქოსთან ერთად არის დამონ-  
მებული. მოხსენებაში განხილულია პორფირიოსის ხსენების ეს  
სამი შემთხვევა და შეძლებისდაგვარად გამოტანილია დასკვნები  
მისი ფილოსოფიის მიმართ პეტრინის ინტერესისა და მის შესახებ  
ცოდნის თაობაზე. ცხადია, რომ პორფირიოსი საკმაოდ მნიშვნელო-  
ვანი ფილოსოფოსი იყო პეტრინისთვის. ის პლატონიკოსთა ჯგუფს  
მიეკუთვნებოდა და პლოტინის მოწაფე იყო. სხვა პლატონიკოსთა  
მსგავსად, პეტრინი მას „ღვთისმეტყველად“ მოიხსენიებდა. პეტრი-  
ნის თანახმად, პორფირიოსი, პლოტინისა და იამბლიქოსის მსგავ-  
სად, იზიარებდა დროის პლატონისეულ განსაზღვრებას, რომლის  
თანახმად, ის მარადიულობის ხატია, რაც განსხვავდება დროის  
არისტოტელური გაგებისგან. პორფირიოსს, იამბლიქოსის მსგავ-  
სად, მიაჩნდა, რომ კოსმიური სხეული, ვინაიდან ის სხეულია, ად-  
გილზე იმყოფება, მაშინ, როდესაც უსხეულო არსები ადგილზე არ  
არაიან. პორფირიოსს, პროკლეს მსგავსად, მიაჩნდა, რომ სულისმიე-  
რი და გონისმიერი შემეცნების სახეები ერთმანეთისგან განსხვავ-  
დება: სული დისკურსიულად აზროვნებს, ხოლო გონება შემეცნების  
საგანს ერთბაშად სწვდება. პორფირიოსის შეხედულებათა პეტრი-  
ნისეული ინტერპრეტაცია ეფუძნებოდა, სავარაუდოდ, პორფირი-  
ოსის „სენტენციებს“ და სხვა ნეოპლატონურ ტექსტებს, როგორიც  
არის, მაგალითად, პროკლეს კომენტარი პლატონის „ტიმაიოსზე“.

პორფირიოსი ნახსენებია, აგრეთვე, ნემესიოს ემესელის „ბუნე-  
ბისათვის კაცისას“ პეტრინისეულ თარგმანში. მასში, ისევე როგორც  
ბერძნულ დედანში, პორფირიოსი ოთხჯერ არის ხსენებული. ყვე-  
ლა შემთხვევაში, სადაც პორფირიოსი არის ნახსენები, ქართული  
თარგმანი თითქმის ზუსტად მიჰყვება ბერძნულ დედანს. ნემესიო-  
სის „ბუნებისათვის კაცისაში“ არის სხვა ფრაგმენტებიც, სადაც ჩანს  
მსგავსება პორფირიოსის ტექსტებთან, თუმცა თავად პორფირიოსი  
ნახსენები არ არის.

პორფირიოსის შესახებ ცოდნის კიდევ ერთი წყარო იყო ქარ-  
თული თარგმანი ამონიოს ერმიისის კომენტარისა პორფირიოსის  
„ისაგოგესა“ და არისტოტელეს „კატეგორიებზე“. მთარგმნელი უც-  
ნობია. პირველ ნაშრომში პორფირიოსი მრავალჯერ არის ხსენებუ-  
ლი, ხოლო მეორეში ორჯერ.

სიკვდილის სამი სახეობა, პორფირიოსის მიერ „სენტენციებში“ ხსენებული, საკმაოდ ცნობილი თემა იყო ძველ ქართულ ტექსტებში, ოღონდ პორფირიოსის ხსენების გარეშე. მოხსენებაში განხილულია რამდენიმე ასეთი მაგალითი ქართული ტექსტებიდან და მათი შინაარსი შედარებულია პორფირიოსის თვალსაზრისთან.

Starting from the 11th-12th centuries Georgian intellectuals were informed about the Neoplatonic philosopher Proclus due to Ioane Petritsi's Georgian translation of Proclus' *Elements of Theology* and his detailed commentary on all propositions of Proclus' *Elements*, to which he added a prologue and an epilogue. Through Petritsi's commentary and prologue, Georgian readers also acquired certain information about Porphyry. Besides Petritsi's commentary on Proclus' *Elements*, Porphyry's name and his works were known to medieval Georgian intellectuals at least also from Petritsi's translation of Nemesius of Emesa's *Peri physeos anthropou* and, first and foremost, through the medieval Georgian translation of Ammonius Hermiae's commentary on Porphyry's *Isagoge*. Therefore, from Petritsi's commentary on Proclus and his translation of Nemesius' book, Georgian readers gained insight into some of Porphyry's ontological, psychological, and epistemological theories, while the Georgian translation of Ammonius Hermiae's commentary on Porphyry's *Isagoge* informed Georgian readers about Porphyry's introduction to logic and philosophy generally.

This paper aims to analyze Porphyry's role in the 11th-13th centuries Georgian philosophical texts. We discuss the cases in which Porphyry is explicitly mentioned and those in which he is not mentioned but where some parallels to his thoughts are evident.

In Petritsi's commentary on Proclus' *Elements of Theology*, Porphyry is mentioned three times. First, Petritsi mentions Porphyry in his prologue, discussing the degrees of knowledge. Then, Petritsi mentions Porphyry together with Iamblichus in chapter 13, discussing the physical cosmos – heaven, which is, as Petritsi says, a body and like all bodies, is in a place. For the third time, Petritsi mentions Porphyry in chapter 50 analyzing the

Platonic definition of time as an image of eternity. Here, again, Petritsi mentions Porphyry together with Iamblichus. We examine these three cases of Porphyry's role in Petritsi's commentary and draw some conclusions about Petritsi's interest and knowledge in regard to his philosophy. Evidently, Porphyry is quite an important philosopher for Petritsi. He belongs to the group of Platonists and is Plotinus' student. Along with other Platonists, Petritsi calls him 'theologian'. As Petritsi claims, Porphyry, like Plotinus and Iamblichus, shares the Platonic point of view on the definition of time as an image of eternity, which differs from the Aristotelian definition of time. Further, Porphyry, like Iamblichus, claims that the cosmic body, because it is a body, is in a place, while incorporeal beings are not in a place. Porphyry, like Proclus, asserts that the modes of cognition by soul and intellect are different: the soul thinks in a discursive manner, while the intellect grasps its object of cognition at once. Petritsi's interpretation of Porphyry's ideas is probably based on Porphyry's *Sententiae* and other Neoplatonic texts, such as, for example, Proclus' commentaries on Plato's *Timaeus*.

Porphyry is also mentioned in Petritsi's translation of Nemesis of Emesa's *De natura hominis*. In this translation as in the original Greek text by Nemesis, Porphyry is mentioned four times. In all cases where Porphyry is mentioned, Petritsi's translation follows almost exactly the Greek text. There are also other fragments in Nemesis' *De natura hominis* similar to Porphyry's various texts, but without reference to Porphyry.

Another source of information about Porphyry was Ammonius Hermiae's commentaries on Porphyry's *Isagoge*, and on Aristotle's *Categories*. The translation is anonymous. In the Georgian translation of the first text Porphyry is mentioned many times and in the second one only twice.

Three kinds of death, mentioned in Porphyry's *Sententiae*, were a popular theme in medieval Georgian texts, though without explicit reference to Porphyry. We examine some examples from the Georgian texts, and compare them with Porphyry's point of view on this issue.



**უკავშირო რთული წინადადებები  
რუსულ და ქართულ ენებში**

**Asyndetic Complex Sentences in  
Russian and Georgian Languages**

**მარინე ალექსიძე**

**Marine Aleksidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ჰიპოტაქსისი, პარატაქსისი, რთული უკავშირო წინადადება, საკავშირო საშუალებები, შეპირისპირება, სინტაქსური ფუნქცია

**Keywords:** hypotaxis, parataxis, asyndetic complex sentences, connection means, syntactic function

მოხსენებაში წარმოადგენილია რუსული და ქართული ენების რთული უკავშირო წინადადებების მოკლე დახასიათება. ჩვენი ამოცანაა მათი სტრუქტურულ-სემანტიკური მსგავსება-განსხვავებების დადგენა კვლევის შეპირისპირებითი მეთოდის მეშვეობით.

როგორც რუსული, ისე ქართული ენების სინტაქსში ტრადიციულად გამოირჩევა მარტივი და რთული წინადადებები. განსხვავება მათ შორის სტრუქტურული ხასიათისაა. მარტივი წინადადება ორგანიზებულია დროის, მოდალობისა და პირის კატეგორიების გამოხატვის ფორმათა ერთიანი კონცენტრაციით; რთულ წინადადებაში შეიძლება არსებობდეს ამ ტიპის რამდენიმე სტრუქტურული ცენტრი, რომლებიც ორგანულად დაკავშირებულია ერთმანეთთან. აზრის შინაგანი ერთიანობა, რომელსაც რთული წინადადება გამოხატავს ინტონაციისა და სინტაქსური კომუნიკაციის საშუალებათა მეშვეობით, აერთიანებს ამ ნაწილებს ერთ სინტაქსურ მთლიანობაში, წინადადების ერთიანობაში. რთული წინადადების მნიშვნელობა არ წარმოადგენს მისი კომპონენტების მნიშვნელობების უბრალო ჯამს, თუმცა ისინი თავიანთი სტრუქტურით ახლოს არიან მარტივ წინადადებებთან. რთული ეწოდება ისეთ წინადადებას, რომელიც წარმოადგენს ინტონაციურ და სემანტიკურ მთლიანობას, მაგრამ შედგება ისეთი ნაწილებისაგან (ორი ან მეტი), რომლებიც თავიანთი გარეგანი, ფორმალური გრამატიკული სტრუქტურით მეტნაკლებად ისეთივე ტიპისაა, როგორიც მარტივი წინადადებები. მიუხედავად იმისა, რომ რთული წინადადების ნაწილები გარეგანი აგებულებით ჰგავს მარტივ წინადადებებს, მთლიანობის შემადგენლობაში მათ არ გააჩნიათ წინადადების კატეგორიისთვის დამახასიათებელი სემანტიკური და ინტონაციური სისრულე და, შესაბამისად, ისინი არ ქმნიან ცალკეულ წინადადებებს.

რთული უკავშირო წინადადება ორივე ენაში წარმოადგენს რთულ წინადადებას, რომელიც შედგება მოცემული ენის კანონების შესაბამისად გრამატიკულად გაფორმებული ორი (ან მეტი) კომპონენტისაგან, რომლებიც ერთიანდებიან დამაკავშირებელი საშუალებების (კავშირებისა და საკავშირო სიტყვების) გარეშე. რთული უკავშირო წინადადების მნიშვნელობა ასევე არ წარმოადგენს მისი

კომპონენტების მნიშვნელობის მარტივ ჯამს, არამედ ის შეესაბამება მათ შორის არსებულ მიმართებების სახეობას.

ყურადღება ამ თემის მიმართ განპირობებულია იმით, რომ რუსული და ქართული ენების რთული უკავშირო წინადადებების შედარებითი ანალიზი კვლავ რჩება რუსი და ქართველი ენათმეცნიერების ყურადღების მიღმა. ჩვენი აზრით, ეს დიდწილად აიხსნება ამ ტიპის რთული წინადადებების რუსულ და ქართულ ენებში შესწავლის სხვადასხვა ხარისხით: რუსული ენობრივი ტრადიციისგან განსხვავებით, ქართულ გრამატიკაში უკავშირო რთული წინადადება არ არის ცალკე შესწავლისა და აღწერის ობიექტი, რადგან ის განიხილება როგორც კავშირიანი წინადადების ვარიანტი. ამასთან დაკავშირებით, აქტუალური ხდება იმ კრიტერიუმების დადგენა, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნებოდა უკავშირო რთული წინადადებების აღწერა რუსულ და ქართულ ენებში და მათი შედარებითი ანალიზის ჩატარება.

თანამედროვე სალიტერატურო ქართულ და რუსულ ენებში რთული უკავშირო წინადადებების შედარებითი შესწავლისას გამოვდივართ იმ პოზიციიდან, რომ რთული უკავშირო წინადადება ჰიპოტაქსისთან და პარატაქსისთან ერთად წარმოადგენს რთული წინადადების მესამე თანაბარ სტრუქტურულ-სემანტიკურ ტიპს. რთულ უკავშირო წინადადებაში პრედიკატულ ერთეულებს შორის სინტაქსური კავშირების ანალიზის საფუძველად ვიღებთ რთული წინადადებების ფუნქციურ კლასიფიკაციას, რომელიც ეყრდნობა რთული წინადადების შემადგენელ ნაწილთა ფუნქციების კორელაციას წინადადების წევრების სინტაქსურ ფუნქციებთან.

შეგროვებული ენობრივი მასალის ანალიზმა აჩვენა, რომ როგორც რუსულ, ისე ქართულ ენაში რთული უკავშირო წინადადებები გამოხატავენ შემდეგ სემანტიკურ მიმართებებს: სუბიექტური, პრედიკატული, ობიექტური, ატრიბუტული, გარემოებითი (დროის, მიზეზის, პირობითი, დათმობითი, ვითარებითი). უკავშირობის საშუალებით არ შეიძლება გადმოიცეს შედარების, ადგილის გარემოებითი მიმართებები, რომლებიც გამოხატულებას პოულობენ მხოლოდ ჰიპოტაქსისში, ისევე როგორც გამყოფი მიმართებები, რომლებიც თან ახლავს მხოლოდ პარატაქსისს. რთული უკავშირო წინადადე-

ბების შეპირისპირებითმა ანალიზმა არ გამოავლინა სემანტიკური განსხვავებები რუსული და ქართული ენების უკავშირო კომპლექსებს შორის, რაც აიხსნება იმით, რომ სინამდვილის ლოგიკური დანაწევრება ორივე ენის მატარებლების მიერ შედარებით ერთგვაროვან და უნივერსალურ ხასიათს ატარებს, რასაც აფიქსირებს წინადადების მოცემული ტიპი. გარკვეული განსხვავებები აღინიშნება რუსული და ქართული რთული უკავშირო წინადადებების გარკვეული ტიპების სტრუქტურაში, რაც აიხსნება შეპირისპირებულ ენებში გრამატიკულ აგებულებასა და წინადადების ძირითად სინტაქსურ მახასიათებლებს შორის არსებული განსხვავებებით. განსხვავებები აღინიშნება აგრეთვე რთული უკავშირო წინადადებების ცალკეული ტიპის რაოდენობრივ წარმომადგენლობაში. ორივე ენა იყენებს მსგავს სინტაქსურ და ლექსიკურ-გრამატიკულ საშუალებებს პრედიკატული ერთეულების შესაერთებლად რთულ უკავშირო კონსტრუქციებში.

The report presents a brief description of asyndetic complex sentences in Russian and Georgian languages. Our task is to identify their structural-semantic similarities and differences through the comparative research method.

In the syntax of both Russian and Georgian languages, simple and complex sentences are traditionally distinguished. The difference between a simple sentence and a complex one is structural. A simple sentence is organized by means of a unified concentration of forms of expression of the categories of time, modality and person; in a complex sentence there may be several constructive centers of this kind that are organically connected to each other. The internal unity of thought expressed by a complex sentence with the help of intonation, as well as means of syntactic connection, connects these parts into one syntactic whole, into the unity of the sentence.

In general, the meaning of a complex sentence is not simply made up of the sum of the meanings of its parts, which in their structure are close to simple sentences. A complex sentence is the one that represents

a single intonational and semantic whole, but consists of parts (two or more) which, in their external, formal grammatical structure, are more or less the same as simple sentences. Although in their external structure the parts of a complex sentence are similar to simple sentences, as part of the whole they do not have the semantic and intonational completeness characteristic of the category of a sentence, and, consequently, do not form separate sentences.

By asyndetic complex sentences are meant complex sentences consisting of two components, grammatically designed according to the laws of a given language and connected without the aid of union means (conjunctions and union words). The meaning of non-union complex sentences is not reduced to the sum of the meanings of its components, but corresponds to the type of relations between them.

The appeal to this topic is due to the insufficient study of the semantic properties of non-union complex sentences in both Russian and Georgian. In addition, the problem of a comparative study of the indicated constructions remains relevant: until now, Russian and Georgian asyndetic sentences have not been described in a comparative manner. In our opinion, this is largely explained by the different degree of study of this type of complex sentences in the Russian and Georgian languages: in contrast to the Russian linguistic tradition, in Georgian grammar they are not a separate object of study and description, since they are considered as a variant of a union sentence.

In this regard, it becomes relevant to determine the criteria on the basis of which it would be possible to describe non-union complex sentences in Russian and Georgian languages and conduct their comparative analysis. In our comparative study of asyndetic complex sentences in modern literary Georgian and Russian languages, we proceed from the position that the indicated constructions, along with hypotaxis and parataxis, act as the third equal structural-semantic type of the complex sentence. As a basis for the analysis of syntactic connections between predicative units in an asyndetic complex sentence, we take the functional classification of complex sentences, based on the correlation of the functions of the constituent parts of a complex sentence with the syntactic functions of the members of the sentence.

The analysis of the collected linguistic material showed that in both Russian and Georgian languages asyndetic complex sentences express the following semantic relations: subjective, predicative, objective, attributive, as well as adverbial relations (time, cause, condition, concession, manner of action). By means of disjunction, circumstantial relations of comparison and place, which find their expression only in hypotaxis, as well as separation relations, which are characteristic only of parataxis, cannot be conveyed.

A comparative analysis of non-union complex sentences did not reveal any semantic differences between asyndetic complexes of the Russian and Georgian languages, which is explained by the relative uniformity and universality in the logical division of reality by native speakers of both languages, recorded by this type of sentence. Certain differences are observed in the structure of individual types of Russian and Georgian asyndetic complex sentences, which is explained by the existing differences in the grammatical structure and in the basic syntactic characteristics of the sentence in the compared languages. Differences are also noted in the quantitative representation of certain types of asyndetic complex sentences in both languages. Just like Russian, Georgian also uses similar syntactic and lexico-grammatical means to connect predicate units in complex non- conjunctions constructions.

**პოლიტიკური კონფლიქტი – ემპათია –  
სახელთრანსფერი  
(უკრაინის ტოპონიმების ანალიზზე დაყრდნობით)**  
**Political Conflict – Empathy – Transfer of Names  
(Based on the Analysis of Ukrainian Toponyms)**

**მარინა ანდრაზაშვილი**

**Marina Andrazashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კოლექტიური ემპათია, ეგზისტენციალური გამოცდილება, კონცეპტუალური ქმედება, ენობრივი ქმედება

**Keywords:** collective empathy, existential experience, conceptual act, linguistic act

წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება ტოპონიმთა ტრანსფერირებისას შესაძლო მოდულაციების ანალიზს, გამიზნულად გამოყენებულს ენობრივი კოლექტივის მიერ კრიზისული/კონფლიქტური სიტუაციით აღძრული ძლიერი ემოციის გამოსახატავად. კონფლიქტის მიზეზი შეიძლება მოიცავდეს ყოფის ნებისმიერ სფეროს – პირადულს, სამსახურებრივს, სოციალურს, პოლიტიკურს და ა.შ.; კონფლიქტით გამოწვეული ემოცია შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითი; მისი გავრცელების არეალი – ლოკალური, რეგიონალური, საერთაშორისო; ინდივიდის ჩართულობა მასში – პერსონალური ან კოლექტიური, კონტაქტური ან დისტანციური. შესაძლო/დასაშვებ გარემოებათა თუნდაც ეს არასრული ჩამონათვალი, ჰიპოთეზურად შედგენილი ფენომენზე ზედაპირული დაკვირვებით, მოწმობს, პოტენციურად თუ რაოდენ დიდია ალბათობა, კრიზისმა ზეგავლენა მოახდინოს ემოციის ინტენსივობაზე, მისი ვერბალიზების სურვილსა და ფორმატზე. იგივე ფაქტორები, წესით, უნდა კარგავდნენ რელევანტურობას სახელთტრანსფერის შემთხვევაში, რამდენადაც ტრანსფერი ონომასტიკურ კანონზომიერებას ეფუძნება, რაც უკვე წინდანინვე უზრუნველყოფს ტრანსფერონიმის მეტ-ნაკლებ სტაბილურობას; ამის ფონზე მით უფრო საჭიროდ მივიჩნიე, ყურადღება გადამეტანა იმ საპირისპირო შედეგებზე, რომლებიც ნათელყოფს დაკვირვებამ უკრაინის ტოპონიმების გერმანულ ეკვივალენტებზე რუსეთ-უკრაინის ომის პირველსავე წელს და რამაც, ფაქტობრივად, განაპირობა წინამდებარე კვლევის წარმოება.

შერჩეულ თემატიკასთან მისადაგებით ლოგიკურად მივიჩნიე, კვლევა ენა-ემოციების თეორიაზე დამეფუძნებინა და მსჯელობა წარმემართა კოგნიტიური ლინგვისტიკის პერსპექტივიდან სამეტყველო პროცესთან მიმართებით, რამდენადაც სწორედ ეს თეორია წარმოაჩენს *კოგნიცია//კომუნიკაციის* პროცედურულ საფეხურებს, კერძოდ: სამყაროს შემეცნებისას მოპოვებული ეგზისტენციალური გამოცდილების გარდასახვას კონცეპტუალურ ქმედებაში, ამ უკანასკნელისას კი ენობრივ ქმედებაში. აღწერილი პროცედურის შედეგად ემოცია იძენს ენობრივ გამოხატულებას; საჭირო პროცედურული საფეხურების თანამიმდევრობა უცვლელი რჩება ნებისმიერი ტიპის ემოციის შემთხვევაში; ენობრივი ქმედების ინტენსივობა კი



პირდაპირპროპორციულ მიმართებას ამყარებს ემოციის ინტენსივობასთან.

გასაანალიზებელ მასალად შევარჩიე ტოპონიმები: *კიევი, ხაჩკოვი, დუგანსკი, დვოვი, ზაპოროჟიე*, რომელთა მიმართაც ქართული ეკვივალენტები ნეიტრალური დარჩნენ ენობრივ პლანში; გერმანულმა ეკვივალენტებმა კი განიცადეს გრაფემულ-ფონემური ცვლილება, რის შედეგადაც მაქსიმალურად დაუახლოვდნენ ენდონიმებს იმ *კოდექტიუხი ემპათიის* კარნახით, რომელსაც განიცდიდა გერმანელი ხალხი და მისი მთავრობა უკრაინის მიმართ ომის დაწყებისთანავე (გასაგებ მიზეზთა გამო ვერ იქცეოდა განსჯის საგნად ყველა ქვეყნის მიმართება უკრაინისადმი). მეცნიერული კორექტულობის უზრუნველსაყოფად ზემოხსენებულ ტოპონიმთა ტრადიციული ვერსიების აღსადგენად დავყურდენი *მაიეჩისა და ბოჰოკაუზის* ენციკლოპედიურ ლექსიკონებს, სახეშეცვლილ ვერსიათა დასამოწმებლად კი – ინტერნეტწყაროებს; გამოიკვეთა სურათი: Kiew → Kyjiv, Charkow → Harkiv/Harkiv, Lugansk → Luhansk, Lwow → Lwiw/Lviv, Saporoshje → Saporischschja/Zaporizžja. ნაშრომში განხილულია ჩამოთვლილ ტრანსფერონიმთა კონცეპტუალური ქმედება ენობრივ ქმედებასთან მიმართებით; განზოგადებულია ასევე სახელთტრანსფერის ფენომენის გამოყენების შესაძლებლობა სტილური ხერხის დანიშნულებით.

The paper is dedicated to the analysis of possible modulations in the process of transfer of toponyms. These modulations are deliberately used by a speech community in order to express a powerful emotion aroused by a crisis/conflict situation. The reason for the conflict may be personal, professional, social, political etc. The emotion aroused by a conflict can be either positive or negative. The area of spreading can be local, regional or international. The involvement of an individual can be personal or collective, close or distant. Even this incomplete list of possible circumstances, compiled hypothetically on the basis of superficial observation of the phenomenon, proves the potential of a crisis to affect the intensity of emotion and arouse the desire for its verbalization in a certain format. At

a glance, the above-mentioned factors should lose their relevance in case of transfer of names, because the transfer is based on onomastic rules that ensure more or less stability of the transferred name. Taking this into account, I consider it even more necessary to focus on the contrary results on the example of the *German equivalents of Ukrainian toponyms* that appeared in the very first year of the Russian-Ukrainian war and gave an impetus to the given research.

With regard to the selected issue, I think it is logical to ground my research on the *theory of language and emotions* and analyze the issue from the perspective of *cognitive linguistics* with reference to the speech process, because this theory reveals the stages of *cognition—communication*, namely, the transformation of the existential experience, gained during the perception of the universe, into a conceptual act, and the transformation of the latter into a linguistic act. As a result of the above-mentioned procedure, emotion gains linguistic expression. The sequence of the stages of the procedure is unchanged in case of any kind of emotion. However, the intensity of the linguistic act is directly proportionate to the intensity of the emotion.

The empirical material embraces the following toponyms: *Kiev, Kharkov, Lugansk, Lvov, Zaporozhye*. The Georgian equivalents of these toponyms have remained unchanged. However, the German equivalents have undergone a graphemic-phonemic change, coming closer to the endonyms *due to the collective empathy* of the German people and government towards the Ukraine (it is quite natural that the research could not embrace the attitude of all countries to the Ukraine). For scientific accuracy, in order to restore the traditional versions of the toponyms in question, I have used the *encyclopaedic dictionaries compiled by Meyer and Brockhaus*. For the purpose of verification of the altered versions of the toponyms, I have applied internet resources. It has turned out that the following alterations have been made: Kiev → Kyjiv, Charkow → Harkiw/Harkiv, Lugansk → Luhansk, Lwow → Lwiw/Lviv, Saporoshje → Saporischschja/Zaporižžja. The paper analyzes the conceptual act of the above-mentioned transfer of names with regard to the linguistic act and generalizes the possibility of applying the phenomenon of the *transfer of names* as a *stylistic device*.

**ენობრივი კორპუსის ავტომატური  
ანოტირების სირთულეები:  
ფატიკური გამონათქვამები**

**Challenges for the Automatic Annotation of  
Linguistic Corpora: Phatic Expressions**

**რუსუდან ასათიანი**

**Rusudan Asatiani**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ავტომატური ანოტირება, ფატიკური კომუნიკაცია, ომონიმიის აღგორითმი

**Keywords:** automatic annotations, phatic communication, algorithm distinguishing the homonyms

21-ე საუკუნის ენათმეცნიერების უმთავრესი გამოწვევა ენის ელექტრონული დოკუმენტირება და ენობრივი კორპუსის შექმნაა. ენობრივი კორპუსი არ არის მხოლოდ მოცემულ ენაზე შექმნილი ტექსტების საცავი – მისი უმთავრესი დანიშნულება არის ავტომატური მანქანა-ანალიზატორის შექმნა, რომელიც ბუნებრივი ენის ყოველ ცალკეულ გამონათქვამს ამოიცნობს და ადეკვატურად, სათანადოდ გააანალიზებს.

ამგვარი ავტომატური მანქანა-ანალიზატორის შექმნა მოითხოვს ენობრივი სისტემის სრულყოფილ ანალიზს ყოველ ენობრივ დონეზე (res. ფონოლოგიურ, მორფოსინტაქსურ, სემანტიკურ და პრაგმატიკულ დონეებზე), საკომუნიკაციო ინტენციის ყოველი ასპექტის (res. კომუნიკაციური, ფსიქოლოგიური, კულტურული, ანთროპოცენტრული და სხვ.) გათვალისწინებით.

ტექსტის ავტომატური ანოტირებისათვის გარკვეულ სირთულეებს ქმნის ბუნებრივ ენებში გავრცელებული ე.წ. ფატიკური გამონათქვამები.

საზოგადოდ, ფატიკური სამეტყველო აქტი მეცნიერთა ინტერესის სფეროში წინა საუკუნის 20-იანი წლებიდან აქტუალიზდა (ბრონისლავ მალინოვსკი, ინგლისელი ანთროპოლოგი, "The Problem of Meaning in Primitive Languages", 1923), როდესაც ენათმეცნიერული აზრის განვითარებამ მეცნიერები ლოგიკურად მიიყვანა კომუნიკაციური ლინგვისტიკის თეორიული საფუძვლების კვლევასთან.

ფატიკური კომუნიკაციის ლინგვისტური დეფინიციისას წარმოჩნდება ფატიკური გამონათქვამების მთავარი ფუნქცია: სამეტყველო აქტში არა ფაქტობრივი ინფორმაციის მიწოდება (res. ნომინაცია), არამედ კომუნიკაციის სოციალურ და ემოციურ მიზნებზე ორიენტირება (res. საკომუნიკაციო ველის, ატმოსფეროს შექმნა).

თავად დეფინიციიდან გამომდინარეობს, რომ საქმე გვაქვს გამონათქვამთა დესემანტიზაციასა და ფუნქციონალურ ინტერპრეტაციასთან, რაც, ბუნებრივია, ართულებს ამგვარი გამონათქვამების ცალსახა ანალიზს. მათი ადეკვატური კვალიფიკაციისათვის აუცილებელია კორპუსის ანალიზატორს დამატოს გარკვეული ალგორითმი შესაბამისი მარკერით, რაც ანოტორებისას წარმოქმნილ სირთულეებს მოხსნის და ცალსახად განასხვავებს გამონათქვამთა

ომონიმურ – ერთი მხრივ, ნომინაციურ და, მეორე მხრივ, კომუნიკაციურ – შინაარსებს.

მოხსენებაში, ავტომატური დამუშავებისას ფატიკური და ინფორმაციული გამოყენებების განსასხვავებლად, შემოთავაზებულია ამგვარი ალგორითმის მონახაზი ქართულ ენობრივ სივრცეში გავრცელებული ერთი კონკრეტული გამონათქვამის – *ხომედი საათია?* – მაგალითზე.

The main challenges of linguistics in the 21st century are the electronic documentation of language and the creation of linguistic corpora. A linguistic corpus is not only a repository of texts created in a given language – its main purpose is the analysis of linguistic forms and building up an automatic machine-analyzer that will recognize each expression of natural language and analyze it appropriately.

The creation of an automatic machine-analyzer that can recognize and analyze each utterance of natural language requires a complete analysis of the language system at every linguistic level (res. phonological, morphosyntactic, semantic, and pragmatic levels), taking into account every aspect of communicative intent (res. communicative, psychological, culturological, anthropocentric, and others).

The so-called phatic utterances common in natural languages create certain difficulties for automatic text annotation.

In general, the phatic speech act has been of interest to scientists since the 1920s (Bronislaw Malinowski, English anthropologist, “The Problem of Meaning in Primitive Languages”, 1923), when the development of linguistic thought logically led scientists to the study of the theoretical foundations of communicative linguistics.

The linguistic definition of phatic communication reveals the main function of phatic utterances: not to provide factual information in the speech act (resp. nomination), but to focus on social and emotional goals of communication (resp. creation of a communicative field, atmosphere).

It follows from the definition that we are dealing with the desemantization and functional interpretation of utterances, which naturally com-

plicates the analysis of such utterances. For their adequate qualification, it is necessary to add a certain algorithm with an appropriate marker to the corpus analyzer, which will eliminate the difficulties arising during annotations and unambiguously distinguish between the homonymous – on the one hand, nominative and, on the other hand, communicative – contents of expressions.

To distinguish phatic and informative uses in automatic processing, an algorithm is proposed on the example of one specific expression common in the Georgian linguistic space: *What time is it?*

**„ფენომენოლოგიის იდეის“  
ზოგიერთი საკვანძო ასპექტი**

**Some Key Aspects of “The Idea of  
Phenomenology”**

**ირაკლი ბათიაშვილი**  
**Irakli Batiashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** თვით-მოცემულობა, თვით-კონსტიტუირება,  
სიცხადე, ხდომილება

**Keywords:** self-givenness, self-constituting, obviousness, happening

მე ვაანალიზებ და ვაჩვენებ, თუ რა ახალ პერსპექტივას ხსნის ედმუნდ ჰუსერლის ცნობილი ნაშრომი „ფენომენოლოგიის იდეა“ ფილოსოფიური აზროვნებისათვის. ამიტომ მივყვები „ფენომენოლოგიის იდეის“ ტექსტს დეტალურად და თანმიმდევრულად და ვაკეთებ გარკვეულ მნიშვნელოვან დასკვნებს შესაბამისი ინტერპრეტაციისა და ანალიზის მეშვეობით. ჩემ მიერ ხდება იმის ექსპლიკაცია, რომ ფენომენოლოგიური ეპოქე არ წარმოადგენს მხოლოდ რაღაც თეორიულ ოპერაციას; ეპოქე – ესაა, უპირველეს ყოვლისა, კარდინალური ხასიათის ექსისტენციალური აქტი, და, ამდენად, იგი მაუწყებს რაღაც კარდინალურ ცვლილებას, რომელიც მე მეხება, კერძოდ, მე, ვინც შევდივარ ფენომენოლოგიური აზროვნების უნიკალურ სივრცეში. მე აქცენტს ვაკეთებ და განვმარტავ ჰუსერლის მსჯელობებს ე.წ. სიცხადის საკითხის თაობაზე, რაც საკვანძო მნიშვნელობისაა ფენომენოლოგიისათვის. ევიდენტურობას არაფერი საერთო არა აქვს რაიმენაირ გრძნობასთან; იგი არაა ჩემი სუბიექტური ემოციონალური დამოკიდებულება რაღაცისადმი. სიცხადე – ესაა მხოლოდ საგნის თვითმოცემულობა, რაც ტოლფასია შემდეგის: ესაა საგნის უშუალო წვდომა წმინდა ხედვაში.

საბოლოოდ, ეს ანალიზი და ინტერპრეტაციები აჩვენებს, რომ ფენომენოლოგიური რედუქციის მეთოდი გამორიცხავს ჩვენი აზროვნების მთავარ პარადიგმას: „სუბიექტ-ობიექტს“; ფენომენოლოგს საქმე აქვს არა სუბიექტთან და მის „კუთვნილ“ ცნობიერებასთან, არა ფაქტობრივ ობიექტურ რეალობასთან, არც მათ ურთიერთმიმართებასთან, არამედ წმინდა თვითმოცემულობების ველთან. ამ ველში მიმდინარეობს როგორც ე.წ. გარეშე რეალობის და არსებისეული საყოველთაოობების, ასევე თავად ჩემი სუბიექტის ანუ პერსონის თვითკონსტიტუირება (თვითმანიფესტაცია). მაგრამ ფენომენთა ეს ველი რაღაც მოზაიკურ-ქაოსურ ხასიათს კი არ ატარებს, არამედ იმთავითვე მოქცეულია გარკვეული მთლიანობის შიგნით, რომელიც მას ჰორიზონტისეულად შემოსაზღვრავს. ეს მთლიანი სტრუქტურაა სამყაროულობა ანუ სამყაროს თვითმანიფესტაცია საწყისეულ განცდაში. ასე მივდივართ ჩვენი მსჯელობების მთავარ კონცეპტთან: ხდომილება (das Ereignis) – სამყაროულობის ხდომილება.



I analyze and show what new perspective Edmund Husserl's famous work "The Idea of Phenomenology" discloses for philosophical thought. Therefore, I go through the text of "The Idea of Phenomenology" in detail and consistently, and make some important conclusions through proper interpretation and analysis. I explicate that a phenomenological epoche is not only a theoretical operation; *epoche is, first of all, an existential act of a cardinal character* and, therefore, it notifies some cardinal change which concerns me, in particular, me who enters the unique space of phenomenological thinking. I make an accent and elucidate Husserl's reasonings upon the so-called issue of obviousness, which is of key importance in phenomenology. Obviousness has nothing to do with any feeling; it is not my subjective emotional attitude towards something; it is only the self-givenness of the object, which is equivalent to the following: this is the direct grasp of the object in the pure seeing.

Finally, our analysis and interpretations show, that the method of phenomenological reduction excludes the main paradigm of our thinking: *subject-object*; phenomenology deals not with the subject and its own consciousness, not with the factual objective reality, nor with their inter-relationship, but with a field of pure self-givenness. *In this field happens the self-constituting (self-manifestation) of the so-called external reality and of essential universals, as well as the self-manifestation of my subject or person.* However, this field of phenomena does not have a mosaic-chaotic character; it is initially within a certain totality, which as a horizon limits it. This whole structure is worldliness, or the self-manifestation of the world in the initial experience. *So come we to the main concept of our reasonings: the Happening (das Ereignis) – the happening of the worldliness.*

**ირეალისის ნანოსინტაქსი  
თაბასარანულ ენაში**

**Nanosyntax of Irrealis in  
the Tabasaran Language**

**ცირა ბარამიძე**

**Tsira Baramidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ირეალისი, თაბასარანული ენა, ნანოსინტაქსი

**Keywords:** Irrealis, Tabasaran language, nanosyntax

მოხსენებაში განხილულია ირეალისი თაბასარანულ ენაში, რომელიც წარმოდგენილია კილოს კატეგორიის ფართო სპექტრით. ირეალისს შეიცავს კატეგორია, რომელიც გამოხატავს მოლაპარაკის დამოკიდებულებას ზმნით აღნიშნული მოქმედებისადმი. სხვადასხვა ენაში კილოების რაოდენობა სხვადასხვაა. ძირითადად გამოიყოფა 3 კილო: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი. თაბასარანულში 11 კილოს გამოვყოფდი და შესაძლებლად მიმაჩნია მეტის გამოყოფა. საკითხი მოითხოვს სიღრმისეულ შესწავლას.

თაბასარანულ ენაში ჰიპოთაქსი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების გზაზეა და ამიტომ ენას აქვს რთული სინტაქსი მორფოლოგიის მარკერების ალტერნატიული ფუნქციებით. ირეალისი სინტაქსის ჩამოყალიბების გზაზე განსაკუთრებულ ფორმობრივ-სემანტიკურ თავისებურებას გვიჩვენებს. კილოს I ფორმა – **ინდიკატივი** – რეალური მოქმედების პროცესს ასახავს; ირეალისი ფორმობრივადაც განსხვავდება რეალისისაგან. პირობითი კილოც თხრობითის მსგავსად გადმოსცემს რეალურ მოქმედებას – რეალისია. II. ბრძანებითი კილოს ფორმები – განიცდიან გრამატიკალიზაციას, მაგრამ ნეიტრალურია რეალის-ირეალისის მიმართ.

**ირეალისის, არარეალიზებული, უნახაობის, პირობითობისა და სხვა სემანტიკის შემცველი ლინგვისტური ოდენობაა – III. კონიუნქტივი.** კავშირებითი კილო დროის კატეგორიის ყველა ზმნურ ფორმაში გამოხატავს ირეალისს. ირეალისის მორფო-სემანტიკური ინტერპრეტაციის მიხედვით გამოიყოფა მოდალურობის მნიშვნელობების ორი ტიპი: – I ტიპი – მოლაპარაკის მიმართება სიტუაციასთან ანუ შეფასებითი მომენტი სიტუაციისა; II ტიპი – სიტუაციის სტატუსი რეალურ სამყაროსთან მიმართებით ანუ ირეალურობა.

რეალისისა და ირეალისის გამოხატვის მრავალფეროვანი, ძალზე რთული სისტემა გვაქვს თაბასარანულ ენაში, კილოს ფორმებში: **ინდიკატივი** (ტირხუზ „ფრენა“; პრეზენსი – ტი-ბ(რ)ხ-ურა-ზა; პერფექტი – ლიტბ(რ)ხუნზა; ფუტურუმი – ტიბ(რ)ხურუზა); **პირობითი კილო** (ბაბუ, ჰარაქამ დაფნუ, ფუ-ვუშ ჟინ ღაპნუ „ბები, ჩქარობდარა, რაღაც გადამალა“); **იმპერატივი**: (ურხ! „წაიკითხე!“) – ეს ფორმები განირჩევიან არა მარტო ემოციურ-ნებელობითი მნიშვნელობით, არამედ იმიტაც, რომ აქ საერთოდ არა გვაქვს დროის მარკერე-

ბი (ლიხი! „იმუშავე!“); **იმპერატივი** გამოხატავს სხვადასხვა სახის ნებელობას: თხოვნას, ვედრებას, ბრძანებას, მინიშნებას, იძულებას, აკრძალვას, მოწოდებას, დასჯას – ბრძანება, მითითებას...

**კონიუნქტივი** ანუ კავშირებითი კილო – აღნიშნავს არარეალიზებულ მოქმედებას (დიპ-ნ-იი-შ „თუ დატოვებდი, რომ დაგეტოვებინა“; ღ-იშ-ნ-იი-შ „თუ იტირებდი“; ნაყვ დუმუ(აბა) ხულაყ აიიშ... „გუშინ რომ ბაბუა სახლში ყოფილიყო...“

IV ინტეროგატივი ანუ კითხვითი კილო არ შეიცავს ირალისს.

**V კონდიციონალისი ანუ პირობითი კილო (აპ-ურა-შ „თუ აკეთებ“** უვე ცაწიბ ლიახინ რაპიშ, ხარჯი შულდარ; „თუ კი ცოტ-ცოტას იმუშავებ, უფრო ცუდად არ იქნები“)

**VI იუსივი** – სემანტიკა იუსივისა (სასურველი კილო) მიუთითებს მოსაუბრის სუბიექტურ დამოკიდებულებას იმ მოქმედებასთან, რომელიც შეიძლება განხორციელდეს, რომლის განხორციელებაც იგეგმება, მაგრამ გეგმები ჯერ მხოლოდ სუბიექტის გეგმაშია (ლიხ-რი „დაე, იმუშაოს“; ახ-რუ „დაე, იძინოს“ ჩან ფუ შულუშრა, იბშირი „რაც იქნება, იყოს“; ახირ ფირი იშრი „მტანჯველი იყოს შენი სიკვდილი!“ უჯუბ რახ იშრი „ბედნიერი გზა (მგზავრობა)!“

**VII დეზიტერატივი** – ნებელობითი კილო და VIII პროხობიტივი (ახ! – მაახან „ნუ გძინავს!“, „არ იძინო!“ ქუჩ-მუქუჩან! „არ შეეხო!“, „ნუ ეხები!“ რივშ-მირივშან! „არ გაინძრე!“, „ნუ ინძრევი!“);

IX პოსიბილატივი (ლიხური-ა-შულუ > ლიხურაშულ „შეიძლება, მუშაობს“, ლიხური-ა-ხიბ > ლიხურაიხიბ „სავარაუდებელია, მუშაობს“), X **კონსესივი** ანუ დათმობითი კილო (ლაფიშ-რა „მაშინაც კი, თუ მოხვალ“, ურხურაშ-რა „მაშინაც კი, თუ კითხულობ“, ბიკურაშ-რა „მაშინაც კი, თუ წერ“; ღვანრა ღი ჰაბურ დაფანიშრა, ხაი შულდარინ? „ქვა დღეს რომც არ მოგემზადებინა, სარგებელი არ არის თუ (სარგებელი მაინც ხომ არის...); ასევე **XI ადმირატივი** – (ლიხ-უბ „მუშაობა – ლიხურაი – პრეზენსი +შტან – ლიხურაიშტან „როგორც ჩანს, მუშაობდა“; ბიკუბ – „წერა“ – ბიკურა (პრეზენსი) + ქი – ბიკურაქი „როგორც ჩანს, წერს“; ბიკურა-და-ი-ქი „როგორც ჩანს, არ წერს“) – კილოები: **პოსიბილატივი, კონსესივი, ადმირატივი** – შეიცავს ირეალისის გაგებას.

მოხსენებაში წარმოდგენილია ირეალის ფორმობრივ-ფუნქციური ანალიზი თაბასარანულ ენაში ნანოსინტაქსის მეთოდოლოგიით.

The report discusses the Irrealis in the Tabasaran language, which is represented by a wide range of the category of Mood. Irrealis includes a category that expresses the speaker's attitude to the action indicated by the verb. The number of Mood varies in different languages. Basically, 3 moods are distinguished: Narrative, Connective, Imperative. I would single out 11 Moods in Tabasaran language and I consider it possible to single out more. The issue requires in-depth research.

In the Tabasaran language, hypotaxis is still in the process of formation and, therefore, the language has a complex syntax with alternative functions of morphological markers. Irrealis shows a special formal-semantic peculiarity in the way of syntax formation. Form I of Mood – Indicative – reflects the process of real action; Irrealis also differs from Realis in form. The Conditional Mood, like the Narrative, conveys a real action – reality. II. The Imperative Mood forms – undergo grammaticalization, but are neutral towards Realis-Irrealis.

The linguistic quantity containing the semantics of unreality, unreal-ization, unseenness, conditionality and other – III Conjunctive. The Connective Mood in all verb forms of the time category expresses unreality. According to the morpho-semantic interpretation of unreality, two types of modality meanings are distinguished: – Type I – the speaker's relation to the situation, i.e., the evaluative moment of the situation; Type II – the status of the situation in relation to the real world, i.e., unreality.

We have a diverse, very complex system of expressing Realis and Irrealis in the Tabasaran language in the forms of the verb: indicative (ti-r-x-uz “fly”; present tense – ti-b(r)x-ura-za; perfect – γ-it-i-b(r)x-un-za; futurum – ti-b(r)-x-uru-za); Conditional verb (babu, harakam daphnu, fu-vuê jin γapnu “grandmother, why were you in a hurry, did you hide something”); Imperative: (urx! “Read!”) – these forms are distinguished not only by their emotional-imperative meaning, but also by the fact that here we

do not have time markers at all (lix! “Work!”); the imperative expresses various kinds of will: request, supplication, command, hint, compulsion, prohibition, call, punishment – command, instruction...

Conjunctive or connecting verb – denotes an unrealized action (dip-n-ii-ê “if you would leave, so that I would leave you”; γ-iê-n-ii-ê “if you would cry”; nakv dumu(aba) xulaq ayiê... “if grandfather had been at home yesterday...”

IV Interrogative verb does not contain an Irrealis.

V Conditionalis or conditional verb (ap-ura-ê “if you do” uvu tsatsib liaxin rapiê, xarji shuldar; “if you work a little, you will not be worse off”);

VI Lusive – semantics of lusive (desirable verb) indicates the subjective attitude of the speaker to the action that can be carried out, which is planned to be carried out, but the plans are still only in the subject’s plan (lix-ri “let him work”; ax-ru “let him sleep” chan fu êuluêra, ibêri “whatever will be, will be”; axir fich iêri “May your death be painful!” ujub rah iêri “Happy journey (journey)!”)

VII Desiterative – nebular Mood and VIII prokhobitive (ah! – maax-an “Don’t sleep!”, “Don’t sleep!” kuch – mukuchan! “Don’t touch!”, “Don’t touch!” rivê – mirivêan! “Don’t move!”, “Don’t move!”);

IX – Posibilitative (lixur-a-êulu > lixuraêul “maybe, it works”, lixur-a-xib > lixuraixib “it is likely, it works”), X – Concessive or concessional Mood (γafiê-ra “even if you come”, urxura-ra “even if you read”, biğuraê-ra “even if you write”; γvanra γi hazur dapaniêra, xai êuldariin? “Even if you hadn’t prepared the stone today, it wouldn’t be of any use (it would still be of use...)”; also, XI – Admirative – (lix-uz “work – lixurai – present +êtan – lix-uraisthan “it seems that it worked”; biğuz – “writing” – biğura (present) + qi – biğuraki “it seems he writes”; biğura-da-i-ki “it seems he does not write”) – Mood: posibilitative, concessive, admirative – contains the understanding of the Irrealis.

The report presents a formal-functional analysis of the Irrealis in the Tabasaran language using the methodology of nanosyntax

# **ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილი) საფლავის ძიების ისტორიიდან**

## **From the History of the Search for the Grave of Besiki (Besarion Gabashvili)**

**მიხეილ ბახტაძე**

**Mikheil Bakhtadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ბესიკი, ბესარიონ გაბაშვილი, რუმინეთი, ზაქარია  
ჭიჭინაძე, გიორგი ლეონიძე, მიხეილ დადიანი

**Keywords:** Besiki, Besarion Gabashvili, Romania, Zakaria Chichinadze, Giorgi  
Leonidze, Mikheil Dadiani

ცნობილი ქართველი პოეტი ბესარიონ ზაქარიას ძე გაბაშვილი (1750-1791), საყოველთაოდ ცნობილი როგორც ბესიკი, 1787 წელს იმერეთის მეფის დავით გიორგის ძის დიპლომატიური დავალებით გაემგზავრა რუსეთში, სადაც შეხვდა ფელდმარშალ გრიგორი პოტიომკინს და დარჩა პოტიომკინის ბანაკში, ჯერ კიშინიოვში და შემდეგ იასაში (დღეს ეწოდება იაშა), სადაც გარდაიცვალა კიდეც 1791 წელს.

გარკვეული პერიოდი სადავო იყო არა მარტო ბესიკის გარდაცვალებისა და დაკრძალვის ადგილი, არამედ გარდაცვალების თარიღიც.

ბესიკის საფლავის ქვა იპოვა ნიკო ბერძენიშვილმა 1949 წლის 27 მარტს. საფლავი აღარ არსებობდა, რადგან ძველი სასაფლაო გაუქმებული იყო. საფლავის ქვის პოვნა მნიშვნელოვანი ამბავი იყო, თუმცა გაურკვეველი დარჩა, სასაფლაოს გაუქმებისას ბესიკის ნეშთი სადმე სხვაგან გადაასვენეს, თუ ადგილზევე დარჩა.

ბესიკის საფლავის საკითხით დაინტერესებული იყო გიორგი ლეონიძე, რომელიც რამდენჯერმე ჩავიდა რუმინეთში. 1958 წელს მასთან ერთად ჩასული იყო ვახტანგ ბერიძე, რომელიც წერდა: „სულ ბოლოს მოვინახულეთ ის ადგილი, სადაც ბესიკი იყო დაკრძალული. ძველი ეკლესია დაუნგრევიათ ... ეკლესიის ნაცვლად ახლა საბაზრო მოედანია და ბესიკის საფლავზე დახლებია გამართული. ფიქრობენ, რომ ბესიკი სხვა მიცვალებულთა მსგავსად, აქედან სადღაც გადაასვენეს, მაგრამ ნამდვილად არავინ არაფერი იცის.“

საინტერესოა, რომ ჯერ კიდეც ზაქარია ჭიჭინაძემ იცოდა ბესიკის საფლავის ქვაზე არსებული წარწერის შინაარსი. 1885 წელს გამოცემულ წიგნში, ფაქტობრივად, უშეცდომოდ არის გადმოცემული საფლავის ქვაზე არსებული წარწერის ტექსტი. სავარაუდოდ, ინფორმაცია ბესიკის საფლავის ქვის წარწერის შესახებ მას ვიღაცამ მიაწოდა. იმ ვიღაცამ ალბათ თავად ნახა ბესიკის საფლავი. ვინ იყო ეს „ვიღაც“ და როგორ აღმოჩნდა იაშაში, უცნობია.

1989 წლის დასაწყისში გამოქვეყნდა ქუთაისის მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, გივი მეფისაშვილის წერილი „გადმოვასვენოთ ბესიკი სამშობლოში“, რომელსაც ერთვოდა 1945-1952 წლებში რუმინეთში სსრკ-ის ელჩის, სერგო ქავთარაძის, მიერ მისთვის 1967 წელს მიწერილი წერილიც: „რამდენადაც მახსოვს, ბესიკი გაუსვე-



ნებია მის ძმას. ეს ქვა შენახული დავტოვე იასაში. საფლავი არ იყო მოძებნილი. ჩემი აზრით, მისი აღმოჩენა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, რადგან ტერიტორია (ეკლესიის ეზო) ძალიან პატარა იყო. ჩემ დროს ის ძველი სასაფლაო ბაზრად იყო გამოყენებული. მე მაშინ მოვიწერე მოსკოვსა და საქართველოში ამის შესახებ დანვრილებით, მაგრამ მაშინდელ აქ მყოფ „პატრიოტების“ გულში და ტვინში ამ ცნობამ არავითარი რეზონანსი არ გამოიწვია. მე შემდეგლო ნეშთი და საფლავის ქვა გამომეგზავნა საქართველოში ... მაგრამ ჩემი მიმართვა დარჩა ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა.“ როდესაც გივი მეფისაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ბესიკი გადმოესვენებინათ საქართველოში, ქართული საზოგადოებისათვის ცნობილი იყო მხოლოდ ბესიკის დაკრძალვის მიახლოებითი ადგილი, ქალაქი იასა. არაფერი იქნებოდა სადავო, რომ არა ერთი მეტად საინტერესო ინფორმაცია.

1929 წელს ქართულ ემიგრანტულ გაზეთში „თეთრი გიორგი“ დაიბეჭდა ქართველი იუნკერის, და შემდგომში პოლონეთის არმიის ოფიცრის, მიხეილ დადიანის სტატია. მასში ავტორი აღნიშნავდა, რომ 1921 წელს, საქართველოდან წასვლის შემდეგ, მოხვდა რუმინეთში, კერძოდ ბუქარესტში და ქალაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე იპოვა ბესიკის საფლავი: „ბესიკის საფლავი გულშემზარავ სურათს წარმოადგენს. ოდესღაც უთუოდ მშვენიერის ძეგლის, მხოლოდ კვალიღა დარჩენილა და ისიც იმდენად პატარა, რომ ძლივს შეიძლება ადამიანმა ორიოდე ლათინურად წარწერილი სიტყვა და მათ შორის „ჯორჯიო“ და „გაბა“ ამოიკითხოს, რაც აუცილებლად მგოსნის გვარის ნაწილს წარმოადგენს. შესაძლოა ამ საფლავის ასე დავიწყება იმის მიზეზი იყოს, რომ დანამდვილებით არც კი ვიცოდით სად იყო დასაფლავებული ბესიკი, ვინაიდან არსებობდა ასეთი აზრი, რომ ის ქ. იასაში მარხია, მაგრამ იქ ვინმე სხვა დიდი ქართველი უნდა იყოს დასაფლავებული. ეხლა კი რადგან დარწმუნებით ვიცით მისი საფლავის ადგილი, გვმართებს მისი მოვლა.“

პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ მიხეილ დადიანი არ წერს, ბუქარესტის რომელ სასაფლაოზე ნახა საფლავის ქვა. ეს უკვე გამოირიცხავს გადამოწმების საშუალებას. გადამოწმების იმიტომ, რომ წამკითხველი შესაძლოა, შეცდა, როდესაც საფლავის ქვაზე ამო-

იკითხა ასოები „გაბა“. ცხადია, დასაშვებია, რომ ვიღაცამ ბესიკის ნეშთი მართლაც გადაასვენა იაშიდან ბუქარესტში, მაგრამ ვინ? ვინ იყო ბესიკის ასეთი გულშემატკივარი თუ თაყვანისმცემელი, რომ ეს რთული საქმე ითავა? და რატომ დატოვა იაშაში საფლავის ქვა, ძვირფასი მარმარილოს ქვა? იმიტომ ხომ არა, რომ ქვის გადატანა კიდევ უფრო ართულებდა მის არცთუ მარტივ ამოცანას. და რატომ მაინცდამაინც ბუქარესტში და არა იქვე, იაშაის სხვა სასაფლაოზე? ამ კითხვებზე პასუხი არ არსებობს. ვარაუდით კი ბევრი რამის ვარაუდი შეიძლება.

მე მაინც ვფიქრობ, რომ მიხეილ დადიანმა რომელიღაც სხვა ქართველის საფლავი ნახა, თუკი წაკითხვა მართებულია, და არა ბესიკის. ბესიკის ნეშთი, რომელსაც, სავარაუდოდ, ქირისუფალი არ ჰყავდა, ან ადგილზე დატოვეს, ან იქვე გადაასვენეს.

The renowned Georgian poet Besarion Gabashvili (1750–1791), better known as Besiki, traveled to Russia in 1787 on a diplomatic mission on behalf of King David of Imereti, the son of Giorgi. During his time there, he met Field Marshal Grigory Potemkin and stayed at Potemkin's camp, first in Chisinau and later in Iasi, where he passed away in 1791.

For a long time, not only the location of Besiki's death and burial but even the exact date of his passing remained a matter of controversy.

On March 27, 1949, historian Niko Berdzenishvili discovered Besiki's tombstone. However, the grave itself no longer existed, as the old cemetery had been closed. While the discovery of the tombstone was significant, uncertainty remained regarding whether Besiki's remains had been relocated or left in their original resting place.

Giorgi Leonidze, who visited Romania multiple times, was particularly interested in Besiki's grave. In 1958, Vakhtang Beridze, who accompanied him on one of these trips, wrote: *“Finally, we visited the place where Besiki is buried. The old church has been demolished, and in its place, a market-place now stands, with stalls set up near Besiki's supposed resting site. It is believed that, like others buried there, Besiki's remains were moved elsewhere – but no one knows for sure.”*

Interestingly, as early as 1885, Zakaria Chichinadze was aware of the inscription on Besiki's tombstone. In his book published that year, he provided an almost exact rendition of the inscription. It is likely that someone who had seen Besiki's grave firsthand relayed this information to him. However, who this person was and how they ended up in Iasi remains unknown.

In early 1989, Givi Mepisashvili, Chairman of the Kutaisi Writers' Union, published an appeal titled *"Let Besiki Rest in His Homeland."* This was accompanied by a letter sent to him in 1967 by Sergo Kavtaradze, the Soviet Ambassador to Romania from 1945 to 1952. Kavtaradze wrote: *"As far as I remember, Besiki was buried by his brother. I preserved his tombstone in Iasi. The grave itself was never searched for. In my opinion, it would not have been difficult to find, as the churchyard was quite small. During my time, it had already become a marketplace. I reported this in detail to Moscow and Georgia, but my appeals found no response from the so-called 'patriots' of that time. I could have arranged for the transfer of Besiki's remains and tombstone to Georgia... but my voice remained unheard."*

When Mepisashvili proposed reburial in Georgia, the only known information about his burial site was that it was somewhere in Iasi. However, a particularly intriguing piece of evidence emerged, which complicated the matter.

In 1929, the Georgian émigré newspaper *Tetri Giorgi* published an article by Mikheil Dadiani, a Georgian cadet and later an officer in the Polish army. In it, Dadiani recounted that after leaving Georgia in 1921, he found himself in Romania, specifically in Bucharest, where he claimed to have discovered Besiki's grave in one of the city's cemeteries: *"Besiki's grave is in a terrible state. What was undoubtedly once a beautiful monument has been reduced to a mere trace, so eroded that only a few words in Latin are still visible – among them 'Giorgio' and 'Gaba,' which must be part of Besiki's surname. Perhaps this grave was forgotten because we never had certainty about Besiki's burial site. Many believed he was buried in Iasi, possibly confusing him with another prominent Georgian figure. Now that we know exactly where his grave is, we are obliged to take care of it."*

However, Dadiani did not specify which cemetery in Bucharest he had seen the tombstone in, making verification impossible. Moreover, it is conceivable that he misread the inscription, mistakenly interpreting the letters “Gaba” as a reference to Besiki.

While it is theoretically possible that someone transferred Besiki’s remains from Iasi to Bucharest, the question remains – who would have undertaken such an arduous task? Why would they leave behind the tombstone, a valuable marble slab? Perhaps because moving it would have been too difficult? And why reinter him in Bucharest rather than in another cemetery in Iasi?

There are no definitive answers. One can only speculate. However, I am inclined to believe that Dadiani mistakenly identified another person’s tombstone as Besiki’s.

Most likely, the poet’s remains – lacking relatives in the area – were either left on the spot or reburied somewhere nearby when the cemetery in Iasi was cleared.

**სერ ფიცროი მაკლეინი – საქართველოს  
ბრიტანელი მეგობარი**

**Sir Fitzroy Maclean – A British Friend of Georgia**

**გიორგი ბუცხრიკიძე**

**Giorgi Butskhrikidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** საქართველო, ბრიტანეთი, ბრიტანულ-ქართული  
ურთიერთობები, სერ ფიცრო მაკლეინი

**Keywords:** Georgia, Britain, British-Georgian relations, Sir Fitzroy Maclean

ქართულ-ბრიტანული ურთიერთობები მრავალ საინტერესო ასპექტს მოიცავს. ამ მხრივ კოლორიტულ ფიგურებად გვევლინებიან და-ძმა ოლივერ და მარჯორი უორდროპები, რომლებმაც ქართული კულტურის, ისტორიისა და, ზოგადად, ქართველების ბრიტანული საზოგადოებისათვის გასაცნობად ბევრი რამ გააკეთეს. ისინი ასევე მხარს უჭერდნენ საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის ევროპულ კურსს და დიდ ბრიტანეთთან კავშირების დამყარებას.

ქართულ-ბრიტანული ურთიერთობების ისტორიაში ასევე მნიშვნელოვანი და გამორჩეული პიროვნებაა სერ ფიცრო მაკლეინი – პოლიტიკოსი, დიპლომატი, სამხედრო პირი და ისტორიკოსი, რომელიც ასევე ითვლება იან ფლემინგის ცნობილი პერსონაჟის, ჯეიმს ბონდის, პროტოტიპად.

ფიცრო მაკლეინის ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა მოიცავს დიდი ბრიტანეთის ისტორიის სხვადასხვა ასპექტს, ასევე აქტიურად მუშაობდა მეორე მსოფლიო ომისა და რუსეთის ისტორიის საკვანძო მოვლენებზე.

ფიცრო მაკლეინს ქართველებთან პირველი შეხება ჰქონდა 1934-1937 წლებში, პარიზში, დიდი ბრიტანეთის საელჩოში მუშაობისას. მან გაიცნო მდივნების ცნობილი ოჯახი, მათ ერთ-ერთ წევრთან, რუსუდან (როზი) მდივანთან, მოკლესნიანი ურთიერთობაც კი ჰქონდა.

1937 წელს ფიცრო მაკლეინი საკუთარი სურვილით გადავიდა სსრ კავშირში, დიდი ბრიტანეთის საელჩოში, სამუშაოდ. მოსკოვში ყოფნისას ის დიპლომატის კარიერას უთავსებდა მოგზაურობას. ამ პერიოდში მან იმოგზაურა კავკასიასა და შუა აზიის რეგიონებში.

ფიცრო მაკლეინი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს. პირველად 1937 წელს, ხოლო მეორედ – 1939 წელს. მისი ცნობები და დაკვირვებები საინტერესო და მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენთვის, ვინაიდან XX საუკუნის 30-იან წლებში, სსრ კავშირში მიმდინარე რეპრესიების ფონზე, უცხოელებს განსაკუთრებით შეზღუდული ჰქონდათ გადაადგილება და კომუნიკაცია საბჭოთა რესპუბლიკებში.

ფიცრო მაკლეინი ერთ-ერთი პირველი ბრიტანელი მკვლევარი იყო, რომელმაც იოსებ სტალინის პიროვნების შესწავლა მისი ბავ-

შვობის დეტალების გაცნობით გადაწყვიტა და ხშირად სტუმრობდა როგორც ქალაქ გორს, ისე სხვა ადგილებს, რომლებიც სტალინს უკავშირდებოდა.

ფიცრო მაკლეინი II მსოფლიო ომში აქტიურად მონაწილეობდა ჩრდილოეთ აფრიკისა და ბალკანეთის ფრონტებზე. ის ითვლება ასევე ცნობილი ბრიტანული დანაყოფის – “SAS” – ერთ-ერთ დამფუძნებლად. ომის შემდეგ დაწერა თავისი ცნობილი წიგნი “Eastern Approaches”, რომელშიც განსაკუთრებულ ადგილს უთმობს საქართველოს.

პოლიტიკური მოღვაწეობის პარალელურად, 1952 წლიდან იგი ინიშნება „ბრიტანეთ-საბჭოთა კავშირის ასოციაციის ხელმძღვანელად“. აღსანიშნავია, რომ ამის შემდეგ ის თავის მეუღლესთან, ფოტოგრაფ და კინორეჟისორ ვერონიკა მაკლეინთან და მეგობრებთან ერთად რამდენჯერმე სტუმრობდა საქართველოს.

ფიცრო მაკლეინი მრავალ საგაზეთო პუბლიკაციას აქვეყნებდა სსრ კავშირის შესახებ ისეთ ბრიტანულ გამოცემებში, როგორებიცაა: The Scotsman, Country Life, Lincolnshire Echo, Liverpool Daily Post, Birmingham Mail და აშ. პუბლიკაციების დიდი ნაწილი ეძღვნება საქართველოს და მის ვიზიტებს ჩვენს ქვეყანაში.

1959 წელს ფიცრო მაკლეინმა ცნობილ რეჟისორთან, ჩარლზს ჰიუითთან, ერთად იმოგზაურა საბჭოთა კავშირში და მათ შორის საქართველოშიც.

აღსანიშნავია 1961 წლის ვიზიტი, როდესაც მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის ელჩი სერ ჰემფრი ტრეველიანი და მისი მეუღლე. სტუმრებმა მოინახულეს თბილისი და მცხეთა.

ფიცრო მაკლეინს მეგობრული ურთიერთობები ჰქონდა რობერტ სტურუასა და რამაზ ჩხიკვაძესთან. იგი 1979 წელს, გლაზგოში ტურნეს დროს, თავის სასახლეში გაუმასპინძლდა „სუხიშვილების“ ანსამბლს.

1974 წელს კვლავ ეწვივნენ საქართველოს ფიცრო მაკლეინი და მისი მეუღლე. მოგზაურობის შთაბეჭდილებები აღწერა ნაშრომში „To Caucasus: The End of all the Earth“ („კავკასიისაკენ: დედამიწის დასასრული“). ნაშრომის ნაწილი ეთმობა კავკასიის ისტორიას უძველესი დროიდან XX საუკუნის I ნახევრის ჩათლით, ხოლო მეორე ნა-

წილში აღწერილია ავტორისა და მისი მეუღლის მორიგი სტუმრობა კავკასიაში. ნაშრომის 16 პარაგრაფი მოიცავს კავკასიისა და, განსაკუთრებით, საქართველოს ისტორიის საკვანძო მომენტებს. ფიცრო მაკლეინი ავლენს ისტორიული წყაროების ღრმა ცოდნასა და პროცესების ანალიზის უნარს. წიგნს დართული აქვს ვერონიკა მაკლეინის მიერ გადაღებული ფერადი ფოტოები. ნაშრომში აშკარად ჩანს მისი დადებითი დამოკიდებულება ქართველებისა და საქართველოს მიმართ. ამ სტუმრობისას ისინი იყვნენ თბილისში, მცხეთაში, კახეთში, სამცხე-ჯავახეთსა და, ბოლოს, მთიულეთში.

1990 წლის სექტემბერში ფიცრო მაკლეინი კვლავ ეწვია საქართველოს მეგობრებთან ერთად. მათ მასპინძლობდა დიპლომატი და პუბლიცისტი გელა ჩარკვიანი, რომელსაც ფიცრო მაკლეინთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა და საინტერესო მოგონებები დაგვიტოვა მასზე. სტუმრებს შორის იყო ალექსანდრა ჰამილტონი, რომანოვთა საგვარეულოს შთამომავალი. მას და სხვა სტუმრებს გელა ჩარკვიანმა ლიკანში რომანოვების სასახლე დაათვალიერებინა. შემდეგ გაემგზავრნენ სვანეთში, რომელიც ფიცრო მაკლეინის განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო.

ფიცრო მაკლეინი საქართველოს ბოლოს 1995 წლის ნოემბერში ესტუმრა დიდი ბრიტანეთის საელჩოს მოწვევით. ამ დროს ის შეხვდა საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს და გაანდო, რომ კიდევ ერთ წიგნზე მუშაობდა საქართველოს შესახებ. სამწუხაროდ, მისი დასრულება ვერ მოასწრო და 1996 წელს გარდაიცვალა.

Georgian-British relations encompass many fascinating aspects. In this regard, the sibling duo of Oliver and Marjorie Wardrop stand out as colourful figures. They were crucial in introducing Georgian culture, history, and people to British society. Additionally, they supported the European orientation of the First Democratic Republic of Georgia and the establishment of connections with Great Britain.

Another significant and distinguished personality in the history of Georgian-British relations is Sir Fitzroy Maclean – a politician, diplomat, military officer, and historian – who is also considered a prototype for



Ian Fleming's famous character, James Bond. Fitzroy Maclean's historiographical legacy covers various aspects of British history as he actively worked on key events of World War II and Russian history. Maclean's first encounter with Georgians occurred between 1934 and 1937 while working at the British Embassy in Paris. During this time, he met the renowned Mdivani family and even conducted a brief romantic relationship with one of its members, Rusudan (Rosy) Mdivani. In 1937, Maclean voluntarily transferred to the British Embassy in the Soviet Union. While in Moscow, he combined his diplomatic career with travel, exploring the Caucasus and Central Asia.

Fitzroy Maclean visited Georgia several times, first in 1937 and again in 1939. His observations and accounts serve as valuable historical sources, as foreign visitors faced significant restrictions on movement and communication within Soviet republics during the repressive 1930s. Maclean was one of the first British researchers to study Joseph Stalin's personality by delving into details of his childhood. He frequently visited Gori and other locations connected to Stalin's early life. During World War II, Fitzroy Maclean played an active role on the North African and Balkan fronts. He is also regarded as one of the founders of the renowned British special forces unit, the Special Air Service (SAS).

After the war, he wrote his famous book *Eastern Approaches*, in which Georgia holds a special place. Parallel to his political activities, Maclean was appointed head of the "Britain-USSR Association" in 1952. Following this appointment, he visited Georgia numerous times with his wife, photographer and filmmaker Veronica Maclean, and their friends. Maclean published myriad newspaper articles on the Soviet Union in British publications such as *The Scotsman*, *Country Life*, *Lincolnshire Echo*, *Liverpool Daily Post*, *Birmingham Mail*, and others. Many of these articles focused on Georgia and his visits there.

In 1959 Fitzroy Maclean travelled to the Soviet Union, including Georgia, with the renowned director Charles Hewitt. A notable visit took place in 1961 when Maclean was accompanied by the British Ambassador to the USSR, Sir Humphrey Trevelyan and his wife. During this visit, they explored Tbilisi and Mtskheta.

Maclean developed friendly relations with Georgian cultural figures such as Robert Sturua and Ramaz Chkhikvadze. In 1979, during a tour in Glasgow, he hosted the Georgian dance ensemble Sukhishvili at his residence. In 1974, Fitzroy Maclean and his wife once again visited Georgia. He documented his impressions in his book "To Caucasus: The End of All the Earth. The first part of the book covers the history of the Caucasus from ancient times to the early 20th century, while the second part describes their journey through the region. Sixteen chapters of the book focus on key moments in the history of the Caucasus, especially Georgia. Maclean demonstrates deep knowledge of historical sources and a strong analytical approach. The book includes colour photographs that Veronica Maclean took and clearly reflects the author's positive attitude towards Georgia and its people. During this visit, they travelled to Tbilisi, Mtskheta, Kakheti, Samtskhe-Javakheti, and finally, Mtiuleti.

In September 1990, Fitzroy Maclean once again returned to Georgia with friends. He was hosted by diplomat and publicist Gela Charkviani, who enjoyed a long-standing friendship with Maclean and left behind intriguing recollections of him. Among the guests was Alexandra Hamilton, a descendant of the Romanov dynasty. Gela Charkviani guided them through the Romanov Palace in Likani before they continued their journey to Svaneti – a region of particular interest to Maclean. Fitzroy Maclean's final visit to Georgia took place in November 1995 at the invitation of the British Embassy. During this trip, he met with then Georgian President Eduard Shevardnadze and revealed that he was at work on another book concerning Georgia. Unfortunately, he was unable to complete it, as he passed away in 1996.

**მუსიკის უნივერსალური ენა ზღაპრებში:  
მომღერალი ხე**

**Music as a Universal Language in Folktales:  
The Singing Tree**

**ელენე გოგიაშვილი**  
**Elene Gogiashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ხალხური ზღაპარი, სიმბოლო, ტრანსფორმაცია

**Keywords:** folktale, symbol, transformation

„...რომ გახედა, სახლის წინ დგას მომღერალი ხე. ისეთს მღერის, ისეთს ჟღერტულებს, რომ აქაურობის ყურებას და მოსმენას არაფერი არ სჯობია. მთვარიანი ღამეა და ეს ხე მთლად აყვავილებულად მოჩანს“, – ეს ჯადოსნური ხეა, რომელიც ოდენ ბუნების მშვენება კი არ არის, არამედ სიმღერითაც ატკბობს არემარეს. სამეგრელოში ჩაწერილ ზღაპარში „მაბირე ჯაშ არიკი“ მოთხრობილია სამ ძმაზე, რომლებიც სამ წელიწადს აშენებდნენ სახლს და დასრულების შემდეგ გადაწყვიტეს, შორეული ქვეყნიდან მომღერალი ხე გადმოერგოთ, რომელიც ყველა ენაზე მღეროდა. ამ ხის საძებნელად წასული ძმები გზაჯვარედინზე გაიყარნენ და უმცროს ძმას ერგო წილად მისი საბოლოოდ მოპოვება.

ზოგადად, ხალხურ ზღაპრებში რამდენიმე საერთაშორისო მოტივია, რომლებიც მუსიკის შესახებ ინფორმაციას გადმოსცემს – ძირითადად მუსიკალური საკრავების, სიმღერისა და ცეკვის ეპიზოდებით. მუსიკას ზღაპრებში გასართობი ფუნქციაც შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ უმეტესად პერსონაჟის მეტამორფოზას ემსახურება. სიმღერის საშუალებით გმირი აღწევს თავის მიზანს, იპოვის გამოსავალს, გადალახავს სირთულეს ან სხვა არსებად გარდაიხსნება. მუსიკასთან დაკავშირებული ყველა მოტივი ზღაპრებში მიუთითებს იმ ურყევ რწმენაზე, რაც მუსიკის ზემოქმედების ძალისადმი უძველესი დროიდან არსებობს.

თხრობა მუსიკის შესახებ მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ კულტურულ და ისტორიულ კონტექსტთან, რომელშიც იქმნება ზღაპარი. სიმღერა მართო ესთეტიკური ელემენტი არ არის. მას ცოცხალი ნარატიული ფუნქცია აქვს და კოლექტიურ ცნობიერებას, ღირებულებებს და წეს-ჩვეულებებს ასახავს. მომღერალი გმირები ან მუსიკის ჯადოსნური ხმა ზღაპრებში მიანიშნებს სხვადასხვა ხალხურ ტრადიციას მუსიკალური კულტურის შესახებ, იქნება ეს ეთიოლოგიური მითოსი თუ შესრულების ხელოვნება. მუსიკა მითოლოგიურ გადმოცემებში მეტამორფოზისა თუ ღვთაებრივი მანიფესტაციის საშუალებაა, ხოლო საზღაპრო სიუჟეტებში ადამიანის ტრანსცენდენტური თავგადასავლის ნაწილია.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში აქტიურად იყენებდნენ ზეპირსიტყვიერებას მუსიკის ისტორიის საკითხ-

ების დასადგენად, თავად მუსიკა, როგორც ზღაპრის ცენტრალური ელემენტი, ნაკლებად იყო ყურადღების ცენტრში. თუ მუსიკას ზღაპრის ცენტრალურ ელემენტად მოვიაზრებთ, ამით ზეპირსიტყვიერების, მუსიკალური ფოლკლორისა და კულტურული იდენტობის ურთიერთმიმართების შესწავლისთვის ახალი პერსპექტივა იშლება. ზღაპრებში მუსიკის როლზე დაკვირვება მარტო მისი ფუნქციის გარკვევა არ არის – ეს ერთ-ერთი გზაა მუსიკის შემეცნებისთვის, როგორც ადამიანური გამოცდილების ნაწილისა.

მომღერალი ხე ზღაპარში მუსიკის უნივერსალურ ფენომენს ასახავს. თუ მუსიკალურ ინსტრუმენტს შემსრულებელი სჭირდება, ჯადოსნური ხე თავად მღერის, თვითკმარია, ადამიანის ბუნებასაც ითავსებს. ის, რომ ზღაპრული ხე ყველა ენაზე მღერის, ხაზს უსვამს მუსიკის კომუნიკაციურ უპირატესობას: მუსიკას შეუძლია ყოველგვარი ლინგვისტური და კულტურული საზღვრის გადალახვა. ზღაპარში მუსიკა არ იზღუდება სიტყვებით, პირიქით, ის აერთიანებს ყველა მსმენელს ირგვლივ. მომღერალი ხე მიანიშნებს მუსიკის როლის მნიშვნელობაზე ადამიანურ ურთიერთობებში. ის არ არის, უბრალოდ, ჯადოსნური საგანი, არამედ სულთა ნათესაობისა და ადამიანის ბუნებასთან ერთიანობის სიმბოლოა.

მოხსენება ნაწილია შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტისა „ზღაპარი და მუსიკა: ქართული ნარატიული და მუსიკალურ-სასცენო ჟანრების ინტერმედიალური შესწავლა“ [FR-23-2808].

“...When he looks up, there is a singing tree in front of the house. It sings and twitters so beautifully that there is nothing more delightful than to watch and listen to its music. It is a moonlit night, and the tree seems to be in full bloom.” This evocative passage from a Georgian folk-tale describes a magical tree that not only exists as part of the landscape, but actively communicates through song. The story follows three brothers who spend three years building a house. After completing their work, they speak of a distant land where a tree sings in all languages. They embark

on a journey to get a leaf from the singing tree. At a crossroads, their paths diverge and it is the youngest brother who discovers the extraordinary tree and brings it home.

Music plays an important role in many folktales and can be found in three main motifs: musical instruments, singing and dancing. Of these, singing often dominates the narrative structure, shaping key episodes and even determining the course of the plot. Unlike music in artistic or entertainment contexts, singing in folktales has a magical or transformative function. It is often the means by which characters achieve their goals, resolve conflicts or bring about supernatural changes. This highlights a fundamental belief in the power of music as an active force rather than a passive art form.

The presence of music in folktales is deeply rooted in the cultural and historical contexts of the societies that produce them. Singing is not merely an aesthetic element, but a vital narrative function that reflects the beliefs, values and traditions of the community. Folk tales of singing heroes or magical music provide insights into the ways in which different cultures perceive and use music. The motif of music as a source of relief, transformation or divine intervention is one of the oldest in mythology, suggesting that its significance transcends individual cultures and time periods.

Although scholars have long recognised the value of folk narratives for understanding cultural history, it is only in recent years that music within these narratives has been examined as a central rather than an incidental element. This perspective has opened up new ways of research, revealing the complex relationship between music, folklore and cultural identity. By analysing the role of music in folktales, scholars have gained deeper insights into how music functions in different societies, not only as an art form, but as an integral part of human experience.

At the centre of this study is the singing tree – a unique and powerful symbol of the universality of music. Unlike a musical instrument, which requires a player, the magic tree sings itself, embodying the idea that music transcends human agency. The fact that it sings in all languages un-

derlines the ability of music to communicate across linguistic and cultural boundaries. In this folk tale, music is not confined to words or national traditions, but is a universal force that unites all who hear it. The singing tree is therefore not just a magical object, but a profound representation of the role of music in human connection and understanding.

This paper is part of the project *Fairy Tale and Music: Intermedial Study of Georgian Narrative and Musical Genres* [FR-23-2808], supported by the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG).

# **ესთეტიკური ღირებულება დასავლურ და აღმოსავლურ ხელოვნებაში**

## **Aesthetic Value in Western and Eastern Art**

**ნანა გულიაშვილი**

**Nana Guliashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ესთეტიკური ღირებულება, ინტერკულტურული, კანონმდებელი გონება, ინტერპრეტატორული, პოსტმოდერნული – Postmodern

**Keywords:** aesthetic value, intercultural, legislative mind, interpretive, postmodern



ფილოსოფიაში ღირებულების ცნება გულისხმობს ადამიანის ემოციურ მიმართებას სინამდვილისადმი. ადამიანის ყოფნისათვის სამყაროში საკმარისი არ არის სინამდვილის მხოლოდ შემეცნება (ცოდნა), აუცილებელია მისი შეფასებაც.

ადამიანი მიზანდასახული არსებაა, მიზნები კი ადამიანს საშუალებას აძლევს, რეალური ცხოვრების მიზეზშედეგობრივ კავშირებს არ დაემორჩილოს და საკუთარი მოქმედება წარმართოს ისეთი რამის შესატყვისად, რომელთაც რეალობასთან „პირდაპირი“ კავშირი არ გააჩნიათ და რომლებიც წარმოდგებიან ალტერნატიული მოქმედების საფუძვლად, რასაც, თავის მხრივ, ადამიანი გამოჰყავს სინამდვილისადმი ცოცხალი ორგანიზმებისათვის დამახასიათებელი მიზანშეწონილი დამოკიდებულებიდან. შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ასეთ მიზანზე (ღირებულებაზე) ორიენტაციით ავლებს ადამიანი სადემარკაციო ხაზს შიშველ ვიტალობასა და ადამიანურ არსებობას შორის. ასეთ მიმართებას სამყაროსადმი შეიძლება ეწოდოს ღირებულებითი მიმართება.

მიუხედავად იმისა, რომ სამყაროსადმი ღირებულებითი მიმართება უხსოვარი დროიდან მოდის, სპეციალური რეფლექსია ღირებულებით მიმართებაზე ჩამოყალიბდა მე-19-მე-20 საუკუნეებში. ღირებულების ცნება შეიძლება გაჩენილიყო ტრანსცენდენტალური ფილოსოფიის ფარგლებში, რომლის მიხედვით, სინამდვილე დიფერენცირებულ იქნა სუბიექტებად და ობიექტებად. ტრანსცენდენტალურ ფილოსოფიას კი წინ უძღოდა ახალი დროის ფილოსოფიური აზრი, რომლის მიხედვითაც დადგენილი იქნა სუბიექტის ახლებური გაგება. აზროვნების მიხედვით, ახლა უკვე ადამიანი წარმოდგა თავისი თავის და თავისი ყოფიერების შემქმნელ, აქტიურ სუბიექტად. ამდენად, ჩამოყალიბდა ღირებულებათა სუბიექტივისტური და ობიექტივისტური თეორიები.

სუბიექტივიზმში ღირებულებათა თეორიაში არის იმის მტკიცება, რომ ღირებულება, რომელიც შეფასების აქტში გვეძლევა, სუბიექტის მიერ არის წარმოშობილი და მას ექვემდებარება.

ღირებულებათა ობიექტივისტური თეორიები, უპირველეს ყოვლისა, ამტკიცებენ, რომ არსებობს რეალობისაგან სავსებით დამოუკიდებელი იდეალურ ღირებულებათა თავისთავადი სამყარო. რი-

კერტის მიხედვით, სამყარო შედგება იმისგან, რაც არსებობს – ეს არის ობიექტები და სუბიექტები; რაც მნიშვნელობს, – ეს არის ღირებულება. ის, რაც არსებობს, ცალკეული მეცნიერებების სგანია, ხოლო ის, რაც მნიშვნელობს, – ღირებულება, – ფილოსოფიისა.

ღირებულება არ არის არანაირი სუბიექტის – არც ღვთაებრივის და არც ადამიანურის – წარმონაქმნი. ღირებულებები არსებობენ ჩვენ ირგვლივ, ჩვენ გარეშე და ჩვენთვის, ოღონდ არსებობენ არა რეალურად, არამედ იდეალურად. ისინი არსებობენ იდეალურად და ჩვენგან რეალურ ხორცშესხმას მოითხოვენ. ეს უკვე იმაზე მიუთითებს, რომ ისინი ობიექტურად არსებობენ. ხელოვნებაში ესთეტიკური ღირებულება მის სიღრმისეულ შრეს წარმოადგენს. ამ ღირებულების გამოვლენა სიღრმიდან იწყება, რომელიც ახლოს არის იდეალურთან, საბოლოოდ კი მატერიალურ, ნივთიერ მასალაში მთავრდება. სამყაროს პლატონისეული სურათი განაპირობებს ევროპულ ხელოვნებას და მათ შორის ხელოვნებას, რომელიც კონკრეტულ საგანში (ხილულში) ეძებს ზოგადს, მშვენიერს. მაშინ, როცა სამყაროს აღმოსავლური, კერძოდ, იაპონური მსოფლმხედველობით მიღებული სურათი, რომელიც არსებითად ემყარება ძენ-ბუდიზმს, მიმართულია არა ადამიანის გარეთ არსებული სინამდვილის წვდომაზე, არამედ ადამიანში ფსიქიკურ ქვეცნობიერ, ემოციურ სტრუქტურაზე. ესთეტიკურის დასავლური და აღმოსავლური კატეგორიების ინტერკულტურული შედარება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როდესაც ვიცით, თუ რა მნიშვნელობა აქვთ ესთეტიკურ ცნებებს აღმოსავლეთსა და დასავლეთში. ეს განსაკუთრებით ეხება მშვენიერების ცნებას, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთში ერთმანეთს არ ემთხვევა. ასევე ხელოვნების ცნების გაგებაც სრულიად განსხვავებულია აღმოსავლეთსა და დასავლეთში.

მშვენიერების ევროპულ განცდაში ჭარბობს თვალი, მზერა, გამოხედვა, სინათლე, ობიექტის სინათლეში გამოჩენა, ფერები, ხილვადობა და გამოვლინება; ამის საპირისპიროდ იაპონური განცდა ორიენტირებულია ბნელზე, ფერების გამორიცხვაზე, წარმავლობის განცდაზე, გაცნობიერებასა და ამით გამოწვეულ წუხილზე.

შეუძლებელია, ესთეტიკური ღირებულებები თანხვედრაში იყოს დასავლურ და აღმოსავლურ ესთეტიკასა და ხელოვნებაში.

თანამედროვე პოსტმოდერნულ კულტურაში ეს განსხვავებები არა მარტო შენარჩუნებული, აქტუალურიც არის, რაც ხელს უწყობს შეხედულებათა მრავალფეროვნებას. გლობალიზაციის პროცესი გავლენას ახდენს მსოფლიო კულტურაზე ზოგადად, მათ შორის კი, ხელოვნებაზე. დასავლური იდეოლოგია თანდათან იჭრება ყველა კულტურაში. მას მერე, რაც კანონმდებელი გონება ჩანაცვლდა ინტერპრეტაციული გონებით, შეიცვალა დამოკიდებულებაც ღირებულებების მიმართ. პოსტმოდერნულ სამყაროში დარჩა მხოლოდ სუბიექტური გადაწყვეტილება, სუბიექტური არჩევანი და ამ აზრით ხელოვნება ესთეტიკას დაემთხვა, მაგრამ ესთეტიკა აღარ ითვალისწინებს უკვე დადგენილ მშვენიერების კრიტერიუმებს და, ამდენად, დღეს უკვე ყველაფერი მისაღებია.

In philosophy, the concept of value refers to a person's emotional attitude towards reality. For a person to exist in the world, it is not enough to simply perceive (know) something, it is also necessary to evaluate it.

Man is a purposeful being, and goals allow man to escape the cause-and-effect relationships of real life and to direct his actions in accordance with things that have no "direct" connection with reality and that serve as the basis for alternative action, which, in turn, man derives from the expedient attitude towards reality characteristic of living organisms. It is precisely by focusing on such a goal (value) that a person draws the line of demarcation between bare vitality and human existence. Such an attitude towards the world can be called a value attitude.

Although the value-based approach to the world dates back to time immemorial, special reflection on the value-based approach was formed in the 19th and 20th centuries. The concept of value may have emerged within the framework of transcendental philosophy, according to which reality was differentiated into subjects and objects. Transcendental philosophy was preceded by the philosophical thought of the new time, according to which a new understanding of the subject was established, according to which man now appeared as an active subject, the creator of himself and his existence. Thus, subjectivist and objectivist theories of values were formed.

Subjectivism in value theory is the assertion that the value that is given to us in the act of evaluation is generated by and subject to the subject.

Objectivist theories of values, first of all, assert that there is a self-contained world of ideal values, completely independent of reality. According to Rickert, the world consists of what exists – these are objects and subjects, what means – this is value, what exists is the domain of individual sciences, and what means – value is the domain of philosophy.

In art, aesthetic value is its deepest layer. The manifestation of this value begins from a depth that is close to the ideal, and ultimately ends in the material, tangible material. The Platonic picture of the world determines European art, including art that seeks the universal, the beautiful in a specific object (the visible). While the picture of the world adopted by the Eastern, specifically Japanese, worldview, which is essentially based on Zen Buddhism, is aimed not at accessing the reality outside of man, but at the inner, psychic, emotional structure within man. An intercultural comparison of Western and Eastern categories of aesthetics is only possible when we know what the meaning of aesthetic concepts is in the East and the West. This is especially true of the concept of beauty, which does not coincide in the East and the West. Also, the understanding of the concept of art is completely different in the East and the West.

The European sense of beauty is dominated by the eye, the gaze, the gaze, light, the appearance of an object in light, colors, visibility, and manifestation. In contrast, the Japanese sense is focused on darkness, the exclusion of colors, the sense of transience, awareness, and the anxiety this causes.

It is impossible for aesthetic values to coincide in Western and Eastern aesthetics and art. In modern postmodern culture, these differences are not only preserved, but also relevant, which contributes to the diversity of views. The process of globalization affects world culture in general, including art. Western ideology is gradually penetrating all cultures. Since the legislative mind has been replaced by the interpretative mind, the attitude towards values has also changed. In the postmodern world, only subjective decisions, subjective choices, remain, and in this sense, art has become synonymous with aesthetics, but aesthetics no longer takes into account the established criteria of beauty, and thus, today everything is acceptable.

**გუსტავ რადე (1831-1903) და სვანეთის  
ეთნოგრაფიის კვლევის ისტორია**

**Gustav Radde (1831-1903) and the History of  
Ethnographic Research of Svaneti**

**როზეტა გუჯეჯიანი**  
**Rozeta Gujejiani**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** გუსტავ რადე, სვანეთი, ეთნოგრაფია, ქართველი  
მთიელები, ტრადიცია, კულტურა

**Keywords:** Gustav Radde, Svaneti, ethnography, Georgian mountaineers, tra-  
dition, culture

გუსტავ რადე (1831-1903 წწ.) იყო ბუნებისმეტყველი, ეთნოგრაფი, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთისა და კავკასიის ერთ-ერთი პირველი მკვლევარი, „კავკასიის მუზეუმის და ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის“ დირექტორი.

გუსტავ რადეს დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს მთიანეთის – სვანეთისა და ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლის საქმეში.

1864 წელს გუსტავ რადემ იმოგზაურა სვანეთში და დეტალურად აღწერა იმ პერიოდის სვანეთის ყოფა და კულტურა. მოგზაურობის შედეგები გამოქვეყნდა რუსულ ენაზე 1866 წელს: „Путешествие в Мингрельских Альпах и в трёх их верхних продольных долинах: Рион, Цхенис-Цхали и Ингур“ (//Зап. Кавк. отд. Рус. геогр. об-ва. – Тифлис, 1866. – В. VII. – С. 1—292).

ცნობილია, რომ XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოში სწრაფი ტემპით იცვლებოდა ყოფა და კულტურა. გუსტავ რადემ აღწერა ტრანსფორმაციის საწყისი ეტაპი, რაც მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სვანეთის კვლევისათვის, არამედ ზოგადად ქართული კულტურის მახასიათებლების ანალიზისთვის, იმდროინდელი ვითარების რეკონსტრუქციისა და შემდგომი ცვლილებების დინამიკის წარმოსაჩენად.

გუსტავ რადეს ამ კონკრეტულ ნაშრომს დღემდე სათანადო ყურადღება არ მიქცევია სამეცნიერო წრეების მხრიდან. ჩვენი დროისათვის ამ ნაშრომის ღირებულება კიდევ უფრო გაზრდილია, მასში დაცული ზოგიერთი ყოფითი რეალია ამ ერთადერთი აღწერილობით არის შემორჩენილი. მეცნიერმა იმოგზაურა სვანეთის ორივე ნაწილში (ზემო და ქვემო). ნაშრომი მოიცავს ინფორმაციას სვანეთის გეოგრაფიული მდებარეობის; ანთროპოლოგიური და ლინგვისტური თავისებურებების; საკომუნიკაციო სისტემების; სოფლების; თემების; მატერიალური კულტურის ნიმუშების – საერო და საეკლესიო არქიტექტურულ ნაგებობების (მაგალითად: ჟიბიანის „ლენქვერის სამეფო სასახლე“, კონსტანტინე დადემშელიანის რეზიდენცია ფარში, ფარის წმიდა გიორგის ეკლესია, სვანურ კოშკები და საცხოვრებელ ები); ჩვეულებითი სამართლის; მეურნეობის ფორმების; ტრადიციული სამოსის; შრომითი და საბრძოლო იარაღის; ჩვეულებ-

ბით სამართლისა და სხვა ტრადიციული კულტურული მახასიათებლების შესახებ.

მნიშვნელოვანია გუსტავ რადეს მიერ მოთხრობილი ისტორიული ფაქტები, მის მიერ აღდგენილი თავად დადებულიანთა გენეალოგიური ხე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბალსქვემო სვანეთის სოფლების (ფარი, სვიფის, ლუჰა, ლახამულა) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ლეგენდა-გადმოცემების აღწერილობები, რადგან მათ შესახებ შედარებით მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება.

ჩვენი მიზანია, გუსტავ რადეს ამ ნაშრომის მეცნიერული კვლევა და მასში გამოქვეყნებული უნიკალური ეთნოგრაფიული მასალის მეცნიერული ანალიზი. გ. რადეს ნაშრომის კომენტირებით მოხერხდება 1860-იანი წლების სვანეთის ყოფის რეკონსტრუქცია და შემდგომდროინდელ ვითარებასთან შედარება.

Gustav Radde (1831-1903) was a naturalist, ethnographer, one of the first explorers of Siberia, the Far East and the Caucasus, and the director of "The Caucasian Museum and the Tbilisi Public Library".

Gustav Radde made a great contribution to the study of the ethnographic life of the Georgian highlands – Svaneti and Khevsureti.

In 1864, Gustav Radde traveled to Svaneti and described in detail the life and culture of Svaneti at that time. The results of the trip were published in Russian in 1866: "Travel in the Mingrelian Alps and in three of their upper longitudinal valleys: Rion, Tskhenis-Tskali and Ingur" (// Zap. Caucasus Department of the Russian Geographical Society – Tiflis, 1866. – Vol. VII. – pp. 1-292).

It is known that in the second half of the 19th century, life and culture in Georgia were changing rapidly. Gustav Radde described the initial stage of the transformation, which is important not only for the study of Svaneti, but also for the analysis of the characteristics of Georgian culture in general, as well as for the reconstruction of the situation at that time and for showing the dynamics of subsequent changes.

This particular work by Gustav Radde has not yet received attention from scientific circles. In our time, the value of this work has increased

even more, as the information regarding some everyday realities is only preserved in this unique description. The scholar traveled to both parts of Svaneti (Upper and Lower). The work includes information about the geographical location of Svaneti, anthropological and linguistic features, communication systems, villages, communities, samples of material culture – secular and church architectural buildings (for example, Zhibiani's "Royal Palace of Lenkveri", the residence of Konstantine Dadeshkeliani in Pari, the Church of St. George in Pari, Svan towers and dwellings); customary law, forms of farming, traditional clothing; labor and military tools; and other traditional characteristics of culture.

The historical facts narrated by Gustav Radde, the genealogical tree of the Dadeshkeliani themselves, restored by him, are important. The descriptions of the monuments of cultural heritage and legends of the villages of Balskvemo Svaneti (Pari, Svipi, Luha, Lakhamula) are especially important, since there is relatively limited information available about them.

Our goal is to conduct a scientific study of this work by Gustav Radde and a scientific analysis of the unique ethnographic material contained in it. Through commenting G. Radde's work it will become possible to reconstruct the life of Svaneti in the 1860s and to compare it with the situation in the subsequent period.



**ბარბარიზმები და სლენგი  
ქართულ მოზარდთა მეტყველებაში**

**Barbarisms and Slang in  
the Speech of Georgian Teenagers**

**ირინე დემეტრაძე**

**Irine Demetradze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ბარბარიზმები, სლენგი, ტიკტოკის ინგლისური

**Keywords:** barbarisms, slang, Tiktok English

ცნობილია, რომ მშობლიურ ენაში საჭიროების გარეშე შემოსულ და დამკვიდრებულ უცხოური წარმოშობის სიტყვებს ბარბარიზმები ეწოდება. თანამედროვე ეპოქაში ბარბარიზმების უმეტესობა განპირობებულია ტექნოლოგიის განვითარებით. ინტერნეტმა და სოციალურმა ქსელებმა შეცვალა თანამედროვე ადამიანის ცხოვრების წესი და მეტყველებაც. ვირტუალური სამყაროდან ყოველდღიურ მეტყველებაში უამრავი ახალი სიტყვა შემოვიდა.

შესაბამისად, ნაშრომში განხილულია ციფრული სამყაროდან ქართულში შემოსული ბარბარიზმები, რომლებსაც თანამედროვე ქართველი მოზარდები იყენებენ ყოველდღიურ საუბარში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ბარბარიზმები, რომლებიც ქართულში ზმნების სახით გავრცელდა და პირიანი ფორმებიც შეიძინა. ქართული ზმნის მოქნილობიდან გამომდინარე, ეს ახალშექმნილი პირიანი ფორმები ეფუძნება არა მარტო ინგლისური ზმნის ძირებს, არამედ ნაწარმოებ სიტყვებსაც. ამათგან, უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს გერუნდის ფორმები, რომლებიც ქართულში გერუნდის მანარმოებელი ing სუფიქსით გადმოვიდა, ბარბარიზმების სახით შემოვიდა როგორც არსებითი სახელები და შემდგომ გადაიქცა ზმნად.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია ინგლისური სლენგი, რომელიც „ტიკტოკის“ გავლენით გავრცელდა მოდასაყოლილ, ერთმანეთში ინგლისურად მოსაუბრე ქართველ მოზარდებში. ასეთი სლენგის აღსანიშნავად მეცნიერებმა შემოიღეს ტერმინი brain rot (ტვინის ლჰობა). აღსანიშნავია, რომ ეს ტერმინი პირველად მეცხრამეტე საუკუნეში გამოიყენა ამერიკელმა მწერალმა და ფილოსოფოსმა ჰენრი დევიდ თორომ. დღევანდელი გაგებით, ეს ტერმინი აღნიშნავს მდარე, უშინაარსო მასალას, რომელსაც ციფრული მედია გვთავაზობს და რომელიც მოზარდებში იწვევს ადიქციას და ახდენს უარყოფით მენტალურ ზემოქმედებას. საყურადღებოა, რომ 2024 წელს ოქსფორდის უნივერსიტეტმა ეს ტერმინი „წლის სიტყვად“ აღიარა.<sup>1</sup>

ნაშრომში განხილულია „ტიკტოკის“ ინგლისურის მავნე ზემოქმედებით ქართველი მიზარდების საუბარში ხშირად გამოყენებუ-

<sup>1</sup> <https://www.merriam-webster.com/slang/brain-rot> (ნახვა – 13.03.2025)

ლი მაგალითები. მასალა მოპოვებულია ინტერნეტწყაროებიდან<sup>2</sup> და ქართველი მოზარდებისგან, რომლებთანაც სპეციალური გამოკითხვა ვანარმოე მოცემულ თემაზე.

კვლევამ გამოავლინა, რომ ქართველ მოზარდთა „ტიკტოკური ინგლისური“ მოიცავს როგორც მარტივ სიტყვებს, ასევე იდიომებს, აბრევიატურებსა და შორისდებულებს. ნაშრომში განხილულია ამ ლექსიკური ერთეულების სემანტიკა და ეტიმოლოგია.

Barbarisms are foreign words that have penetrated the native language without any necessity. In the modern epoch, barbarisms have appeared largely due to digital technologies. The internet and social media have influenced the lifestyle and speech of modern man. The virtual world has introduced a huge number of new words that are used in everyday speech.

The paper analyzes the barbarisms used by contemporary Georgian teenagers. Special focus is made on the barbarisms that have turned into verbs and are used both as infinitive and finite forms. Due to the flexibility of the Georgian verb, these newly-coined verb forms are based not only on the English verbal roots but also on derivatives. Special mention should be made of the English gerund forms which penetrated into Georgian initially as nouns and, later, turned into verbs.

The second part of the paper analyzes the slang words and expressions frequently used by Georgian youngsters who consider it fashionable to communicate with one another in English using Tiktok slang, the so-called “Brain Rot English”. This term was introduced by Henry David Thoreau in the 19th century. Currently, it implies low quality, senseless material provided by the digital media. In 2024, the term “brain rot” was recognized as the word of the year<sup>3</sup>.

The analyzed examples of Tiktok English have been obtained from the internet sources as well as Georgian teenagers who have kindly served as linguistic informants.

Research has proved that the Tiktok English used by Georgian youngsters embraces simple words, idioms, abbreviations and interjections. The paper analyzes the semantics and etymology of these lexical units.

---

<sup>2</sup> <https://www.merriam-webster.com/slang/brain-rot> (ნახვა – 13.03.2025)

<sup>3</sup> <https://gamequitters.com/brainrot-slang/> (ნახვა – 13.03.2025)

# **ნარკვევი ქართული ფენომენოლოგიის ისტორიაში**

## **Essay on the History of Georgian Phenomenology**

**მამუკა დოლიძე**

**Mamuka Dolidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ფენომენოლოგია, ცნობიერება, შემოქმედება

**Keywords:** phenomenology, consciousness, creativity

მნიშვნელოვანია მე-20 საუკუნის ქართველ ფილოსოფოსთა წვლილი ფენომენოლოგიური ფილოსოფიის განვითარებაში. ამ თვალსაზრისით შეიძლება გავაშუქოთ ცნობილ ქართველ ფილოსოფოსთა: კოტე ბაქრაძის, ანგია ბოჭორიშვილის, ზურაბ კაკაბაძის, გურამ თევზაძის, გივი მარგველაშვილისა და მერაბ მამარდაშვილის ფილოსოფიური კონცეფციები.

გერმანიაში ყოფნისას კოტე ბაქრაძე უშუალოდ ესწრებოდა ედმუნდ ჰუსერლის ლექციებს. ეს დიდი შთაბეჭდილებები და თანდართული კომენტარები საფუძვლად დაედო მის ფუნდამენტურ ნაშრომს – „უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები“. კოტე ბაქრაძის თვალსაზრისით, ფენომენოლოგიურმა მეთოდმა ანტიფსიქოლოგიზმის პოზიციიდან გადაწყვიტა კანტის პრობლემა ქეშმარიტების ობიექტურობის შესახებ. იგი ხაზს უსვამს, რომ „მე-ს“ განცდა, როგორც საკუთარი არსებობის განცდა, სცდება ფსიქოლოგიური მოვლენის ფარგლებს. ეს თვითრეფლექსია კი არ ასახავს სუბიექტის არსებობას, როგორც შინაგანი გარეგანს, არამედ სწვდება და ემთხვევა მას იმ ზღვრულ წერტილში, სადაც გარეგანი და შინაგანი ერთად არსებობს და სადაც გვეცხადება სუბიექტი და ობიექტი განუყოფელი ერთიანობის სახით.

ანგია ბოჭორიშვილი ანტიფსიქოლოგიზმის პოზიციას იცავს ესთეტიკური ფენომენოლოგიის სფეროში. ეს კონცეფცია გადმოცემულია მის წიგნში – „ფსიქოლოგიის პრინციპული საკითხები“. ანგია ბოჭორიშვილის აზრით, ესთეტიკური კატეგორიები ისე უნდა დავადგინოთ, რომ გვერდი ავუქციოთ ფსიქოლოგიურ ცნებებს. ფენომენოლოგიამ უნდა დაძლიოს გნოსეოლოგიზმი, ის, რაც ესთეტიკას ავტონომიურობას უკარგავს. ესთეტიკამ თავისთავად, ფსიქოლოგიის და შემეცნების თეორიის დახმარების გარეშე, უნდა დაადგინოს საკუთარი ობიექტი, რომლის საფუძველია „მე-ს“, როგორც ეგზისტენციალური და შემოქმედებითი საწყისის, განცდა.

ზურაბ კაკაბაძე ქართული ფენომენოლოგიური სკოლის ახალ თაობას განასახიერებს. მისი ცნობილი ნაშრომი – „ექსისტენციალური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ცნობიერება“ – ექსისტენციალური ფენომენოლოგიის ვერ-

სიას გვთავაზობს. ფილოსოფოსის აზრით, ინტერსუბიექტურობის გაგებისა და ფილოსოფიის, როგორც მკაცრი მეცნიერების, დადგენის სირთულე არ არის ბრალდება ფენომენოლოგიის მიმართ. იგი გვიჩვენებს ჰუსერლის კონცეფციისა და მეთოდოლოგიის ღიაობას, მისი სუბიექტური არსის ამბოხებას სამყაროსა და ცოდნის ობიექტივაციის წინააღმდეგ. ფენომენოლოგიას არ აინტერესებს არც გარე სამყარო და არც გნოსეოლოგიური სუბიექტი. მისი საგანია ტრანსცენდენტალური სუბიექტის მიერ ობიექტური სამყაროს კონსტრუირების ექსისტენციალური პროცესი.

ასევე მნიშვნელოვანია გურამ თევზაძის თვალსაზრისი ედმუნდ ჰუსერლის და მაქს შელერის შესახებ, რომელიც განვითარებულია მის ნარკვევებში XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორიის შესახებ. შემეცნების ობიექტის ფენომენოლოგიური კონცეფცია გადმოცემულია ნაშრომში – „ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა“.

გურამ თევზაძე შენიშნავს, რომ, ჰარტმანის მიხედვით, შემეცნების საგანი ცნობიერებისთვის იმანენტურიც არის (რაკი აზრი მხოლოდ აზრისეულს შეიმეცნებს) და ტრანსცენდენტურიც (რადგან შემეცნებას დაეკარგება აზრი, თუკი აზროვნება ვერ გასცდა თავის თავს). ეს, რა თქმა უნდა, წინააღმდეგობაა, მაგრამ ცნობიერებაში არსებობს მოცემული წინააღმდეგობის დაძლევისა და გაერთიანების საფუძველი.

ქართველი მწერალი და მოაზროვნე გივი მარგველაშვილი თავის ფილოსოფიურ შემოქმედებას ჰაიდეგერის ონტოლოგიას უძღვნის. მისი ნაშრომი – „ცნობიერების ფენომენოლოგიური კოდები“ წარმოადგენს ჰუსერლისა და ჰაიდეგერის კონცეფციათა შედარებით ანალიზს.

ჰაიდეგერი არ არის ჰუსერლის მემკვიდრე და ოპონენტი მხოლოდ მეთოდოლოგიის თვალსაზრისით. გივი მარგველაშვილის კვლევები ნათელს ჰფენს ღრმად შინაარსობრივ მიმართებას XX საუკუნის ამ ორ დიდ მოაზროვნეს შორის. ორივე ფილოსოფოსს აერთიანებს ამბოხება ფილოსოფიური ტრადიციის წინააღმდეგ/ჰუსერლი ახდენს გადატრიალებას ტრანსცენდენტალური ცნობიერების სფეროში, ჰაიდეგერი კი ქმნის ახალ ონტოლოგიას, სადაც ყოფიერება სტრუქტურირებულია დროის ექსტაზის მიხედვით.

მერაბ მამარდაშვილი, ძირითადად, ახალი, არაკლასიკური რაციონალიზმის პრობლემებს იკვლევდა, მაგრამ მისი წვლილი თანამედროვე ფენომენოლოგიაში მეტად საყურადღებოა, თუნდაც, მარხელ პრუსტის რომანის ორიგინალური ინტერპრეტაციის გამო.

მისი კრებული „გზის ფსიქოლოგიური ტოპოლოგია“ აღნიშნული რომანის – „დაკარგული დროის ძიებაში“ – ფენომენოლოგიურ გააზრებას ეძღვნება.

დრო, როგორც ცხოვრების ერთხელ ჩავლილი მდინარე, განუმეორებელია; რაც იყო, ის აღარ არის, მაგრამ რაც არის, მას შეიძლება მივანიჭოთ გარდასულ მოვლენათა აზრი. მამარდაშვილის ინტერპრეტაციით, მარხელ პრუსტი მოგვითხრობს არა თავისი ცხოვრების შესახებ, არამედ ის გადმოგვცემს თავის ამჟამიერ შემოქმედებას – თუ როგორ იქმნება და იბადება ხელახლა ის, რაც სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. საქმე გვაქვს ანმეოსთან, რომელიც მნიშვნელობს როგორც წარსული და არა გარდასულის მოგონებასთან. ახალი დროის გარდასახვა ძველ, ბავშვობისდროინდელ პერიოდში, ფენომენოლოგიური აქტია, რომელიც წარსულის იდეალიზაციას ახდენს, მის ფაქტობრიობას არსიხულ ფენომენად გარდაქმნის. ამიტომაც არსებობს ფრანგი მწერლის გონებაში წარსული ასეთი რომანტიკული და ამაღლებული სახით.

მამარდაშვილი შენიშნავს, რომ უსაზღვროა მწერლის ნოსტალგია დაკარგული დროის მიმართ, მაგრამ შეუძლებელია მეხსიერებაში ასე წვრილად, ასე გაფაქიზებულად არსებობდეს მისი ბავშვობა. აქ მოგონება გამოგონებად იქცევა. მწერალი იგონებს არა თავის ბავშვობას, არამედ ქმნის წარსულის ეკვივალენტურ ახალ რეალობას. იქნებ, არც არასოდეს ყოფილა ის, რასაც მეხსიერება ასე მონდომებით გვიხატავს? წარსულს ხომ ანმეოს გადასახედიდან ენიჭება განსაკუთრებული აზრი და ხიბლი, ის მისი ძიების, მისკენ უკუქცევის ძალით იტვირთება ახალი, არსობრივი მნიშვნელობებით და თუ ეს ძიება დაუსრულებელია, მაშინ ბავშვობის სამყაროც უსასრულოდ ფართოვდება. მწერალი გადადის რეალობის ყოველგვარ საზღვარს, რათა დაკარგული დროის ამოა ძიებაში მოგონება გამოგონებად აქციოს, ცხოვრებით დამძიმებული ხსოვნა „ახალი წარსულის“ თავისუფალ შემოქმედებად გარდაქმნას.

მარსელ პრუსტის რომანის ასეთი ინტერპრეტაცია გვიჩვენებს, თუ როგორ ესმის მერაბ მამარდაშვილს ფენომენოლოგია – ეს არის აზროვნების, როგორც შემოქმედებითი პროცესის, განხორციელების აქტი.

დასასრულს, შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ XX საუკუნის ქართული ფილოსოფია ფენომენოლოგიას გაიაზრებს ცნობიერებისა და ყოფიერების ერთიანობის შუქზე, რომელიც, ამავე დროს, მათ შორის არსებულ პრინციპულ განსხვავებასაც გულისხმობს. მეტიც შეიძლება ითქვას: სწორედ სუბიექტური არსისა და ობიექტური არსებობის ერთმანეთისგან განსხვავების მეთოდი წარმოადგენს მათი გაერთიანებისა და განუყოფელი შერწყმის ფენომენოლოგიურ გზას.

ჩატარებული მოკლე მიმოხილვა ქართველ ფილოსოფოსთა შემოქმედების შესახებ იმასაც ცხადყოფს, რომ დღეს თანამედროვე ფილოსოფიური აზროვნება წარმოუდგენელია ედმუნდ ჰუსერლის ფენომენოლოგიასთან მიმართების გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად სიძნელეებისა, რომელთაც ქმნიდა საბჭოთა იდეოლოგია, ფენომენოლოგია ღრმად აისახა და შემოქმედებითად განვითარდა ქართველ ფილოსოფოსთა ორიგინალურ შრომებში.

Phenomenology has been a significant focus in Georgian philosophy, with notable contributions from philosophers such as Kote Bakradze, Angia Bochorishvili, Zurab Kakabadze, Guram Tevzadze, Merab Mamardashvili, and Givi Margvelashvili. This review aims to highlight their phenomenological studies, particularly in relation to the works of Husserl, Hartmann's epistemology, and existential ontology.

Kote Bakradze is recognized as the first Georgian philosopher to engage with phenomenology, having attended Husserl's lectures in Germany. His work examined Husserl's anti-psychological stance and its implications for objective truth, suggesting that this attitude is rooted in Kantian philosophy, yet Husserl provided a novel resolution. Bakradze explored themes such as the object of consciousness, truth, and the interplay between individual and general essences, emphasizing a method to identify general essences beyond mere similarities among individual entities.



Bakradze argued that phenomenology can reconcile the internal and external dimensions of consciousness, positioning the self as both an expression of being and the experience of self. His essay, "Essays on New and Contemporary Bourgeois Philosophy", illustrates how phenomenological thinking fosters a new relationship between consciousness and the existential world.

Angia Bochorishvili contributed to phenomenological aesthetics, asserting that Husserl's phenomenology represents a major achievement of the twentieth century. He posits that phenomenology, as a method, transcends psychologism in aesthetics, seeking to define it independently of psychological concepts. His work emphasizes that modern Georgian aesthetics should address the cognitive functions attributed to aesthetics while overcoming gnoseologism that jeopardizes its autonomy.

Zurab Kakabadze, part of a newer generation of Georgian phenomenologists, focuses on existential crises in his work "The Problem of Existential Crisis and Edmund Husserl's Transcendental Phenomenology". He clarifies Husserl's relationship with existentialism, providing a distinct understanding of phenomenological ontology. Kakabadze emphasizes that understanding existence requires essential meaning, advocating for "epoché" to bracket claims about the world's existence. He argues that the intentional life of consciousness underpins existence, linking Husserl's phenomenology to life philosophy, particularly Nietzsche.

Guram Tevzadze examined Hartmann's epistemology, investigating the nature of knowledge as represented in consciousness while recognizing its transcendence. He argued that cognitive acts unify contradictory aspects of knowledge, proposing that consciousness itself is the primary object of knowledge. Thus, Tevzadze positions consciousness as a transcendent phenomenon.

Givi Margvelashvili explored the phenomenological modes of consciousness, revealing a deep conceptual connection between Heidegger and Husserl. He posits that existential ontology, as a modal theory, defines existence through temporal structures. Margvelashvili's works, particularly "Phenomenological Codes of Consciousness", seek to illuminate the unity between Heidegger's and Husserl's approaches.

Merab Mamardashvili, another prominent figure, analyzed phenomenological themes in literature, specifically in Proust's "The Remembrance of Things Past". He examined how the past is shaped by the present, illustrating the interplay of phenomenological experience and temporal perception. His analysis reveals how the past exists as both a separate entity and a phenomenon that transforms through present awareness.

Mamardashvili further delves into the paradox of perceiving events as devoid of inner life, arguing that such perceptions limit our understanding of the world. He contrasts this with a view of objects as conscious phenomena, advocating for an integral understanding of existence that bridges physical and conscious realms. His conclusions draw parallels between Descartes' dualism and Husserl's phenomenology.

Overall, this review underscores the profound impact of Husserlian thought on Georgian philosophy, revealing a rich and nuanced engagement with phenomenology that emerged despite the challenges of the Soviet era.

**სამად გაყოფილი საქართველოს საგარეო  
პოლიტიკური კურსის განსაზღვრისათვის  
(XIII საუკუნის II ნახევარი)**

**For the Determination of Georgia's Foreign  
Policy Course Divided into Three Parts  
(Second Half of the 13th Century)**

**გვანცა ევანისელი**  
**Gvantsa Evaniseli**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მონღოლები, მამლუქთა სასულთნო, პაპობა, და-  
სავლეთ საქართველო, აღმოსავლეთ საქართველო, სამცხე-საათაბაგო

**Keywords:** Mongols, Mamluk Sultanate, Papacy, Western Georgia, Eastern  
Georgia, Samtskhe-Saatabago

მონღოლთა გამოჩენამ საერთაშორისო ურთიერთობებში ბევრი რამ შეცვალა არა მარტო ახლო აღმოსავლეთისთვის, არამედ საქართველოსთვისაც. ერთობ საინტერესო პროცესები წარიმართა მას შემდეგ, რაც თათრებმა ეგვიპტის სასულთნოსთან აინ ჯალუთის ბრძოლაში (1260 წელი) მარცხი განიცადეს. ხანგრძლივი წარმატებული დაპყრობითი ომების შემდეგ პირველად განცდილმა წარუმატებლობამ მონღოლებს ძლიერი მოკავშირის ძიებისაკენ უბიძგა. ასეთებად მიჩნეულნი იქნნენ ლათინი ჯვაროსნები და პაპობა; მეორე მხრივ, არც მამლუქთა სასულთნო იყო გულზეხელდაკრეფილი და აქტიურად ეძებდა თანამებრძოლებს. მათი მხრიდან ასეთად მეორე მონღოლური სახელმწიფო – ოქროს ურდო მოიაზრებოდა. დაპირისპირებულ ბანაკებს შორის ინტერესთა მიხედვით გადანაწილდნენ ამ პერიოდის სხვა, შედარებით ნაკლებ ძლიერი, პოლიტიკური მოთამაშეები.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად, გაზიარებულია შეხედულება, რომლის მიხედვითაც, ილხანთა ბანაკში პაპობა, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, დიდი და მცირე სომხეთი, ვენეციელები და საქართველო შედიოდნენ; მეორე მხრივ, მამლუქთა სასულთნოს სამხედრო ბანაკი ოქროს ურდოს, გენუას, ზოგ შემთხვევაში კი, ბიზანტიასა და სიცილიის სამეფოსაც აერთიანებდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბანაკებად დაყოფა აინ ჯალუთის ბრძოლის შემდეგ, ანუ 1260-იან წლებში, იწყება. უკვე 1259 წლიდან, ან უფრო ადრეც (ჩვენი აზრით, უფრო სამართლიანი იქნება, თუ სამეფოს გაყოფას 1249 წლით დავათარილებთ), ერთიანი საქართველო ორ ნაწილადაა გაყოფილი. დასავლეთ საქართველოს რუსუდანის ძე – დავით VI წარინი, ხოლო აღმოსავლეთს ლაშა-გიორგის ვაჟი – დავით VII ულუ განაგებს. 1266 წლიდან დიპლომატიურ ურთიერთობებში კიდევ ერთი ქართული პოლიტიკური ერთეული – ხასინჯუდ გამოცხადებული სამცხის საათაბაგო – ერთვება.

ასეთ ვითარებაში საინტერესოა, თუ რამდენად იზიარებდა სამივე პოლიტიკური ერთეული პროილხანურ პოზიციას, როგორც ეს დასავლელ ისტორიკოსებს მიაჩნიათ, მაგალითად, მათ შორის, მონღოლ-ილხანთა ურთიერთობების ერთ-ერთ გამორჩეულ მკვლევარ როუვენ ამიტაის.

მოხსენების მიზანია იმის ჩვენება, რომ დასავლეთ საქართველო არ იზიარებდა აღმოსავლეთ საქართველოს პროილხანურ და ანტიეგვიპტურ პათოსს. საპირისპიროდ, მისი მმართველები ოქროს ურდოსა და მამლუქთა სასულთნოსთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებას ცდილობდნენ. მხარს უჭერდნენ ილხანთა წინააღმდეგ აჯანყებულებს. რაც შეეხება სამცხის საათაბაგოს, იგი, აღმოსავლეთ საქართველოს მსგავსად, პროილხანურ პოზიციას იზიარებდა.

ასევე, შევეცდებით ვაჩვენოთ, რომ, მიუხედავად განსხვავებულ ბანაკებში ყოფნისა, სამივე პოლიტიკური ბანაკის მიზანი საერთო იყო. მათი საყოველთაო სურვილი წმინდა მიწის მუსლიმთა ხელიდან გამოხსნა და იერუსალიმში მყოფი ქართული მონასტრების პირობების შემსუბუქება იყო.

არსებული წერილობითი წყაროებიდან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოს მეფე დავით ნარინმა ეგვიპტის სულთან ბეიბარსს (1260-1277) 1265 წელს ძვირფასი საჩუქრებით ელჩობა გაუგზავნა. ეგვიპტელი ისტორიკოსის, ალ მაკრიზის (al-Maqrizi) ცნობაში დაკონკრეტებული არ არის ამ ელჩობის მიზანი, თუმცა უკვე 1268 წლის წერილიდან ესეც ნათელი ხდება. აფხაზთა მეფე ნარინი ბეიბარსს ატყობინებდა, რომ იგი ოქროს ურდოს მმართველს, ბერქეს, დაუკავშირდა. ამდენად, მას უკვე მოკავშირეების ორ უმთავრეს წარმომადგენელთან – მამლუქებთან და ოქროს ურდოსთან ჰქონდა კონტაქტი. მათთან კავშირზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ სწორედ ამ პერიოდში ვითარდება დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები გენუელ ვაჭრებთან – ალიანსის მოკავშირე კიდევ ერთ სახელმწიფოსთან. ნარინი მხარს უჭერდა ილხანთა წინააღმდეგ აჯანყებულ უფლისწულ თეგუდარს და მას აბალა ყაენისაგან თავის დასაღწევად ოქროს ურდოში გაქცევას ურჩევდა;

მეორე მხრივ, აღმოსავლეთ საქართველო და სამცხის საათაბაგო ერთგულად უჭერდნენ მხარს ილხანთა საყაენოს. მონაწილეობდნენ ეგვიპტის წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობებში და მათ საზღვარს ოქროს ურდოს თავდასხმებისაგან იცავდნენ. ამასთანავე, სავარაუდოდ, მონაწილეობდნენ მათ დიპლომატიურ მისიებშიც,

რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში მოკავშირეების ძებნას ისახავდა მიზნად.

სამივე ქართული პოლიტიკური ერთეული აღნიშნულ ალიანსებში „გაწევრიანებით“ მიზნად საკუთარი პოლიტიკური გეგმების განხორციელებას ისახავდა. გარდა იმ ბენეფიტებისა, რასაც თითოეული მხარე მოკავშირეებისაგან იღებდა (მაგალითად: აღმოსავლეთი – რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება, ეკლესიის გადასახადებისგან განთავისუფლება და ა.შ.; დასავლეთი – სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება, სამცხე – გარკვეული ტერიტორიული გაფართოება), მათი საერთო მიზანი წმინდა მიწაზე არსებული ქართული მონასტრების შეწევნა-გამოხსნაც იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ XIII საუკუნის მეორე ნახევარში სამად დაშლილი საქართველოს მმართველები საკუთარ დიპლომატიას ერთმანეთისგან დამოუკიდებლად წარმართავდნენ. მართალია, ისინი სხვადასხვა ბანაკში იყვნენ, მაგრამ ეს ერთმანეთს შორის კონფლიქტს არ განაპირობებდა, თუმცა არც ხელს უშლიდა მათივე მოკავშირეების წინააღმდეგ ბრძოლას.

The Mongols' emergence in international relations had a profound impact, affecting not only the Near East but also Georgia. Notable developments unfolded after the Tatars faced defeat against the Egyptian Sultanate in the Battle of Ain Jalut in 1260. The Mongols' first defeat after a long streak of successful conquests drove them to seek a powerful ally. The Latin Crusaders and the Papacy were considered such allies. On the other hand, the Mamluk Sultanate remained proactive and sought out military allies. From their perspective, the second Mongol state – the Golden Horde – was considered such an ally. Other, relatively less powerful political players of the time were divided between the opposing camps based on their interests.

The prevailing view in contemporary scientific literature is that the Papacy, the countries of Western Europe, Greater and Lesser Armenia, the Venetians, and Georgia were part of the Ilkhanate camp. On the other hand, the military camp of the Mamluk Sultanate included the Golden

Horde, Genoa, and, in certain cases, the Byzantine Empire and the Kingdom of Sicily.

As previously mentioned, the division into distinct camps started after the Battle of Ain Jalut in the 1260s. Starting from 1259, or even earlier (we believe it would be fairer to date the kingdom's division to 1249). Unified Georgia is divided into two parts. David VI Narin ruled the west, the son of Rusudan, while David VII Ulu, son of Lasha-Giorgi, governed the east. Since 1266, the Samtskhe-Saatabago, known as Khasinju, emerged as a new political player in diplomatic relations.

In this context, it is worth considering whether all three political entities aligned with the pro-Ilkhanid stance, as suggested by Western historians. One such historian is Reuven Amitai, a leading researcher on Mongol-Ilkhanid relations.

The purpose of the report is to demonstrate that Western Georgia did not adopt the pro-Ilkhanid and anti-Egyptian position of Eastern Georgia. Instead, its rulers sought to establish diplomatic relations with the Golden Horde and the Mamluk Sultanate. They supported the rebels against the Ilkhans. As for the Saatabago of Samtskhe, it similarly shared the pro-Ilkhan position of Eastern Georgia.

We will also seek to demonstrate that, despite belonging to different camps, the objectives of all three political entities were shared. Their common desire was to liberate the Holy Land from Muslim control and improve the conditions of the Georgian monasteries in Jerusalem.

The existing written sources indicate that David Narin, the king of Western Georgia, sent a diplomatic mission with valuable gifts to Sultan Baybars of Egypt (1260-1277) in 1265. While the Egyptian historian al-Maqrizi does not specify the purpose of this mission, its objective is clarified in a letter written in 1268. The King of Abkhazia, Narin, informed Baybars that he had established contact with the ruler of the Golden Horde, Berke. Thus, he had already forged connections with two principal allies: the Mamluks and the Golden Horde. This is further evidenced by the fact that, during this period, Western Georgia's trade and economic relations with Genoese merchants – another ally in the alliance – were developing. Narin supported Prince Teguder's rebellion against the Ilkhans and advised him to flee to the Golden Horde to escape Abaq Khan.

Conversely, Eastern Georgia and Samtskhe-Saatabago stood steadfastly loyal to the Ilkhanate. They participated in campaigns against Egypt, and guarded their borders against the attacks of the Golden Horde. Moreover, they probably participated in their diplomatic missions aimed at seeking allies in Western European countries.

By joining these alliances, all three Georgian political entities aimed to realize their own political objectives. Beyond the individual benefits they received from their allies (for example, Eastern Georgia gained religious freedom, church tax exemptions, etc., Western Georgia fostered trade and economic relations, and Samtskhe achieved territorial expansion), they shared a common goal: to support and liberate Georgian monasteries in the Holy Land.

In conclusion, it can be stated that in the second half of the 13th century the rulers of fragmented Georgia, divided into three parts, conducted their diplomatic affairs independently. Although they were aligned with different factions, this did not lead to conflict between them. However, it did not prevent them from fighting against their own allies.



**ახალი ატლანტოლოგია**

**New Atlanticology**

**ელიზბარ ელიზბარაშვილი**

**Elizbar Elizbarashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ატლანტიდა, პლატონი, მითოსი

**Keywords:** Atlantis, Plato, myth

X საუკუნის შუა წლებში დასავლურ ცივილიზაციაში შექმნილი სულიერ-ინტელექტუალური სიტუაცია საყოველთაო სკეპტიციზმით, პოზიტივიზმით და ანტიმეტაფიზიკურობით გამოირჩეოდა. მეცნიერება აბსოლუტურად გაბატონებული იყო ცივილიზაციის სხვა დარგებზე. შეუმცდარობის კრიტერიუმად მიჩნეული იყო ექსპერიმენტული დამტკიცება და შემდგომი რაციონალური ანალიზი. ამ დროს – 50-იან-60-იან წლებში – ატლანტიდის თემის კვლევაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც განიზრახეს, დაპირისპირებოდნენ კლასიკური ატლანტოლოგიის მიღწევებს, კვლევაში გეზი მეცნიერულ-პოზიტივისტური მეთოდებისაკენ აედოთ და ყველაფერში ეჭვი შეეტანათ, სანამ ამ რაიმეს უკვე ემპირიულად დასაბუთებულად არ ჩათვლიდნენ.

როგორც ცნობილია, თაურსიბრძნე ანუ „მითოლოგემური“ მატრიცა შემერულ მითოსში გამოვლინდა ხუთი შემადგენელი ელემენტის სახით:

- 1) ღმერთების მიერ ადამიანისა და ცივილიზაციის შექმნა,
- 2) სრულყოფილი პირველცივილიზაციის არსებობა,
- 3) პირველცივილიზაციის დაღუპვა,
- 4) ღმერთების ომი,
- 5) სიბრძნის ღვთაებრივი წარმომავლობა.

ატლანტიდის ცივილიზაციაზე პლატონის ტექსტებში ხუთივე ელემენტი ჩვენ სახეზე გვაქვს წარმოდგენილი, მაგრამ დონელიდან დაწყებული ხშირად რომელიმე ამ ელემენტთაგანი ავტორების ყურადღების მიღმა რჩებოდა ან საერთოდ შეგნებულად არ საუბრობდნენ მასზე. ატლანტოლოგიის კლასიკური პერიოდი ხასიათდება იმ ნიშნით, რომ აქ მოქმედი ყველა მნიშვნელოვანი ფიგურა ბოლომდე დარწმუნებული იყო ატლანტიდის წინარე ცივილიზაციის არსებობაში. დონელისა და ბარჩენკოს გარდა, მათი, ყველასი, ამოსავალი წერტილი იყო უძველესი ოკულტური ტრადიცია, მეთოდად კი ინტუიციურ-მისტიკურ ჭვრეტას იყენებდნენ. დონელისა და ბარჩენკოს გარდა, ასევე ყველანი მთავარ აქცენტს ატლანტიდელების მორალურ დაცემასა და მისგან მომდინარე ყველა დამღუპველ შედეგზე აკეთებენ. ლუის სპენსმა ეს საკითხი ბოლომდე მიიყვანა

და რადიკალურად დასვა კითხვა ჩვენი ცივილიზაციის მომავალთან დაკავშირებით.

ახალი ატლანტოლოგიის ძირითადი ნიშანი კი ის იყო, რომ ისინი საერთოდ არ საუბრობდნენ გილგამეშის ეპოსზე, როგორც ამ თაურსიბრძნის პირველად წყაროზე, და მისი შემადგენელი ხუთი ელემენტიდან მხოლოდ ორზე – სრულყოფილი ცივილიზაციის არსებობასა და ამ პირველცივილიზაციის დაღუპვაზე ახდენდნენ თავიანთი კვლევების კონცენტრირებას. ისინი თაურსიბრძნეზე საერთოდ არ საუბრობდნენ, არ იყვნენ დარწმუნებულები ატლანტიდის ცივილიზაციის უეჭველ არსებობაში და მუდმივად ამ მიმართულებით სკეფსისსაც გამოხატავდნენ. ამიტომ მათი სტიქია იყო ატლანტიდის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის პრაქტიკული ძიება, მისი პოვნის იმედით. ამ პროცესში მათ დიდად გაფართოვეს პარაცივილიზაციის ნაშთების ძეგლის გეოგრაფიული არეალი. აქედან გამომდინარე, მათი შეხედულებები იყო გაცილებით უფრო ფრთხილი და ნაკლებად გაბედილი. ისინი აღარ ამოდიოდნენ უძველესი ოკულტური ტრადიციიდან, ოკულტიზმთან საერთოდ მათ არაფერი შეხება არ ჰქონდათ და არ იყენებდნენ მეთოდად ინტუიციურ-მისტკიურ ჭვრეტას, არამედ ამოდიოდნენ თავიანთი თანამედროვე ემპირიული მეცნიერების ბაზისიდან და მეთოდებად ცნობდნენ მხოლოდ მეცნიერული კვლევის მეთოდებსა და ლოგიკურ-რაციონალური მსჯელობების წარმართვას. ახალი ატლანტოლოგია წარმოიშვა როგორც წარსულის კვლევაში ოკულტიზმთან მძაფრი დაპირისპირების რეაქცია. მათ სურდათ, ატლანტოლოგიის დარგი ეზოთერული მოძღვრებიდან გარდაექმნათ ნორმალურ მეცნიერებად, რომელიც სავსებით მოთავსდებოდა კერძო მეცნიერების სტანდარტებში. ამ მიდგომებმა, რომ მხოლოდ ატლანტიდის არსებობისა და შემდგომ მისი განადგურების არქეოლოგიური ფაქტობრივი მონაცემების პოვნით იყვნენ დაკავებულნი, განაპირობეს ის, რომ ახალი ატლანტოლოგები არ ახდენდნენ ამ ცივილიზაციის შემქმნელი არსებების რაობის კვლევას და არ ახდენდნენ ამ ცივილიზაციის სოციალურ-პოლიტიკური და მორალური პრობლემების ანალიზს. ეს საკითხები მათთვის ჯერ დღის წესრიგში არც იდგა, სანამ არ განხორციელდებოდა ზემოთ ნახსენები ემპირიული აღმოჩენები. ამიტომაც ამ პლუადის

ატლანტოლოგების ყურადღების მიღმა იყო პარაცივილიზაციის დაღუპვის მორალურ-ფსიქოლოგიური მიზეზები, ჩვენი ცივილიზაციის მდგომარეობა, მისი მომავალი და მხოლოდ ბუნებრივი კატასტროფების ვერსიებზე აკეთებდნენ აქცენტს. აქედან გამომდინარე, ისინი არც თანამედროვე დასავლური თუ საკაცობრიო ცივილიზაციის კრიზისსა და მისი განადგურების საფრთხეებთან ახდენდნენ ატლანტიდის განადგურების დაკავშირებას.

ამიტომაც ახალი ატლანტოლოგების წინამორბედად და მმართველების მიმცემად წარმოგვიდგება სწორედ იგნატიუს ლოიოლა დონელი, რომელიც, როგორც ვიცით, თავისი დროის მეცნიერებაზე აკეთებდა სწორებას, ცდილობდა, საკითხები გადაეჭრა თავისი დროის გეოლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მეცნიერების ვრცელი მასალების ანალიზის გზით, ამ საკითხთა განხილვისას უკუაგდებდა ყოველგვარ ეზოთერიკას და დასავლურ ფილოსოფიას, პლატონის ძირითად თეზას კი – რომ ატლანტიდა დაიღუპა მისი მოსახლეობის მორალურ-ზნეობრივი დაცემის შედეგად – არ ეთანხმებოდა და ატლანტიდის დაღუპვის ვერსიებად ბუნებრივ კატაკლიზმებს განიხილავდა – ჯერ მიწისძვრას, შემდგომ მეტეორის ჩამოვარდნას. დონელი არის ახალი ატლანტოლოგიისთვის ბიძგის მიმცემი ავტორი, მაგრამ საერთოდ არ გამოდგებოდა, კლასიკური ატლანტოლოგიის საფუძვლად მოგვეაზრებინა იგი.

მოხსენებაში განხილული გვაქვს ახალი ატლანტოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი ავტორები, როგორებიცაა: ამერიკელი მწერალი, ფენტეზის ჟანრის ერთ-ერთი დამწყები – ლაიონ სპრეგ დე კამპი, ავსტრიელი ატლანტოლოგი ოტო ჰენრიხ მუკი, საბჭოთა ატლანტოლოგიის დამწყები, ნიკოლაი ჟიროვი, პოლონელი ასტრონომი ლუდვიგ ზაიდლერი, ბერძენი სეისმოლოგი, არქეოლოგი და მწერალი ა. გალანოპულოსი, ცნობილი ფრანგი ოკეანოლოგი ჟაკ-ივ კუსტო, ჩეხი გეოლოგი ზდენეკ კუკალი, რუსი ატლანტოლოგი ვლადიმერ შერბაკოვი, შვეიცარიელი მწერალი ერის ფონ დენიკენი, ბრიტანელი მკვლევარი დევიდ დევენპორტი და სხვები, რომლებიც აყალიბებენ თანამედროვე ატლანტოლოგიის სახეს.

The spiritual-intellectual situation created in Western civilization in the middle of the 10th century was characterized by universal skepticism, positivism, and anti-metaphysicalism. Science absolutely dominated other branches of civilization. Experimental confirmation and subsequent rational analysis were considered the criterion of infallibility. At that time – in the 50s and 60s – in the study of the Atlantis topic there appeared some people who intended to oppose the achievements of classical Atlantology, to take the path of scientific-positivist methods in research, and to doubt everything until they considered it empirically substantiated.

As is known, the Taurisibrzne, or “mythologemic” matrix, was revealed in the Sumerian myth in the form of five constituent elements:

- 1) The creation of man and civilization by the gods;
- 2) The existence of a perfect primitive civilization;
- 3) The destruction of the primitive civilization;
- 4) The war of the gods;
- 5) The divine origin of wisdom.

All the five elements are present in Plato's texts on the civilization of Atlantis, but starting with Donnelly, often one of these elements remained beyond the attention of the authors or was not consciously discussed at all. The classical period of Atlantology is characterized by the fact that all the important figures active here were completely convinced of the existence of the pre-civilization of Atlantis; except for Donnelly and Barchenko, all of them had an ancient occult tradition as their starting point and used intuitive-mystical contemplation as their method. Apart from Donnelly and Barchenko, all of them also focus on the moral decline of the Atlanteans and all the disastrous consequences that followed. Lewis Spence took this issue to the end and radically raised the question of the future of our civilization.

The main feature of the new Atlantology was that they did not speak at all about the Epic of Gilgamesh as the primary source of this ancient wisdom, and concentrated their research on only two of its five elements – the existence of a perfect civilization and the destruction of this primitive civilization. They did not speak about ancient wisdom at all; they were not convinced of the undoubted existence of the Atlantean civilization,

and constantly expressed skepticism in this direction. Therefore, their element was the practical search for the actual location of Atlantis, in the hope of finding it. In the process, they greatly expanded the geographical area of the remains of the paracivilization. Therefore, their views were much more cautious and less daring. They no longer came from the ancient occult tradition, they had nothing to do with occultism at all and did not use intuitive-mystical contemplation as a method, but came from the basis of their modern empirical science and recognized only the methods of scientific research and the conduct of logical-rational reasoning as methods. The new Atlantology arose as a reaction to the sharp opposition to occultism in past research. They wanted to transform the field of Atlantology from esoteric doctrines into a normal science that would fully fit into the standards of private science. These approaches, which were only concerned with finding archaeological factual data on the existence of Atlantis and its subsequent destruction, led to the fact that the new Atlantologists did not study the nature of the creatures who created this civilization and did not analyze the socio-political and moral problems of this civilization. These issues were not even on the agenda for them until the above-mentioned empirical discoveries were made. Therefore, the moral-psychological reasons for the demise of the paracivilization were beyond the attention of these Pleiadian Atlantologists, the state of our civilization, its future, and they focused only on versions of natural disasters. Therefore, they did not connect the destruction of Atlantis with the crisis of modern Western or human civilization and the threats of its destruction.

That is why the forerunner and guide of the new Atlanteans is Ignatius Loyola Donnelly, who, as we know, corrected the science of his time, tried to resolve issues through the analysis of extensive materials of the geological and historical-ethnographic sciences of his time, and when discussing these issues, he rejected all esotericism and Western philosophy, and did not agree with Plato's main thesis – that Atlantis perished as a result of the moral decline of its population – and considered natural cataclysms as versions of the destruction of Atlantis – first an earthquake, then a meteorite fall. Donnelly is the author who gave impetus to the new

Atlanteans, but it would not be appropriate to consider him as the basis of classical Atlanteans.

The report discusses such important authors of the new Atlanticology as: American writer, one of the pioneers of the fantasy genre – Lion Sprague de Camp, Austrian Atlanticologist Otto Heinrich Muck, Soviet Atlanticologist Nikolai Zhirov, Polish astronomer Ludwig Seidler, Greek seismologist, archaeologist and writer A. Galanopoulos, famous French oceanologist Jacques-Yves Cousteau, Czech geologist Zdenek Kukal, Russian Atlanticologist Vladimir Shcherbakov, Swiss writer Erich von Däniken, British researcher David Davenport and others, who shape the face of modern Atlanticology.

**ტიფლისიდან ერევანამდე:  
ეკატერინა ლაჩინოვას უცნობი ხელნაწერი**

**From Tiflis to Yerevan:  
The Unknown Manuscript of Ekaterina Lachinova**

**დალი კანდელაკი**  
**Dali Kandelaki**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რუსი მწერლები, ეკატერინა ლაჩინოვა, საქართველო, სომხეთი, XIX საუკუნე

**Keywords:** Russian writers, Ekaterina Lachinova, Georgia, Armenia, 19th century



ეკატერინა ლაჩინოვას (1810–1896) მიერ 1839 წელს დაწერილი ნარკვევი – „გზა ტიფლისიდან ერევანამდე. ერევანი 1839 წელს. ექიმიაძინის მონასტერი“ – უნიკალური ისტორიული და ლიტერატურული წყაროა, რომელიც ასახავს კავკასიის რეგიონის XIX საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ გარემოს. მწერალი 1836–1840 წლებში კავკასიაში იმყოფებოდა მეუღლესთან, კავკასიის ცალკეული კორპუსის გენერალ ნიკოლაი ემილიანის ძე ლაჩინოვთან ერთად. ურთიერთობები სამოქალაქო და სამხედრო ხელისუფლების მაღალ წრეებთან მას საშუალებას აძლევდა, ახლოდან დაკვირვებოდა რეგიონში მიმდინარე მოვლენებსა და იმპერიულ პოლიტიკას. ე. ლაჩინოვა ასევე ცნობილია ფსევდონიმით „ე. ხამარ-დაბანოვ“, რომლის სახელითაც 1844 წელს გამოაქვეყნა „ხრიკები კავკასიაში“ – რომანი-პამფლეტი, რომელიც კავკასიის ომის სამხედრო მოვლენების ერთგვარი ქრონიკაა.

რუსულად დაწერილი ნარკვევი მწერალმა თავადვე თარგმნა ფრანგულად და 1840 წლის მაისში ინგლისელ მოგზაურს, ანა ლისტერს (1791–1840), თბილისში ყოფნისას აჩუქა. ეს ხელნაწერი 2022 წელს ბრიტანეთის ეროვნულ არქივში რუსმა ხელოვნებათმცოდნე ოლგა ხოროშილოვამ აღმოაჩინა და რუსულად თარგმნა, რომელიც 2024 წელს გამოაქვეყნა ლიტერატურათმცოდნე ვალენტინა მალახოვამ წიგნში – „გოროდიშკო“. ე. ლაჩინოვას ნარკვევი ქართულ ენაზე არაა თარგმნილი და უცნობია სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებისთვის.

მწერალი დეტალურად აღწერს თბილისიდან ერევანამდე მოგზაურობას, გზის ბუნებრივ ლანდშაფტს, დასახლებებსა და არქიტექტურულ ძეგლებს. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ერევნის სარდარის სასახლის, ექიმიაძინის მონასტრის და, ზოგადად, სომხეთის ისტორიული მემკვიდრეობის აღწერას. ავტორი მოგვითხრობს ერევნის ციხესიმაგრეზე, რომელიც 1827 წელს რუსებმა სპარსელებთან ომში დაიკავეს, ხოლო სარდარის სასახლე, სადაც იმხანად რუსეთის იმპერიის ადგილობრივი ადმინისტრაცია იყო განთავსებული, დაწვრილებით არის დახასიათებული. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სასახლის სარკეებიან დარბაზს, რომელიც შაჰებისა და სპარსელი გმირების პორტრეტებით იყო მორთული.

ნარკვევში აღწერილია ერევანში რუსი იმპერატორის, ნიკოლაი I-ის, ყოფნის ეპიზოდები: ეკატერინა ლაჩინოვამ სარდარის ყოფილ სასახლეში აღმოაჩინა კედელში ჩასმული ჩარჩო, რომლის შუშის ქვეშაც იმპერატორის მიერ დატოვებული წარწერა იყო: „ნიკოლაი, 1837 წლის 5 ოქტომბერი“. მწერალი აღნიშნავს, რომ სომხებმა ეს წარწერა შუშით დაფარეს და შენარჩუნებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს.

ე. ლაჩინოვას მონათხრობში აღწერილია მისი ვიზიტი ერევნის მეჩეთებში, რომელთაგან ერთ-ერთი უკვე არსენალად იყო გადაკეთებული, მეორე კი კვლავ ფუნქციონირებდა. მან ვერ მოახერხა გეგარტის მონასტრის მონახულება, თუმცა აღწერს მას ადგილობრივების მონაყოლზე დაყრდნობით.

ეჩმიაძინის მონასტრისკენ მოგზაურობისას პროვინციის მმართველმა რუსი გენერლის მეუღლეს ოცი მუსლიმი მხედრისგან შემდგარი დაცვა გააყოლა. მწერალი დეტალურად აღწერს მონასტრის არქიტექტურას, ბიბლიოთეკას, სტამბას, სასულიერო სემინარიას, სატრაპეზოსა და სასაფლაოს. მან ნახა მონასტრის გალერეაში გამოფენილი რუსეთის იმპერატორის, გენერალ გოლოვინის, თავად პასკევიჩისა და ბარონ როზენის პორტრეტები. მოგზაური შეხვდა 80 წლის კათოლიკოსს და დაესწრო ღვთისმსახურებას, რომელსაც ბერძნული და კათოლიკური ტრადიციების ნაზავად მიიჩნევს.

ნარკვევში მოყვანილია ინფორმაცია იმ რუსი ოფიცრების მემორიალის შესახებ, რომლებიც 1828 წელს ეჩმიაძინის დაცვისას სპარსელებთან ბრძოლაში დაიღუპნენ. მწერალი ასევე აღწერს რეგიონის ეკონომიკას, სადაც ბამბისა და ბრინჯის წარმოება სომხეთის პროვინციის მთავარ რესურსებად არის მოხსენიებული.

ეკატერინა ლაჩინოვას ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა XIX საუკუნის კავკასიის ისტორიის, რუსეთის იმპერიული პოლიტიკისა და რეგიონში მცხოვრები ხალხების კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისთვის. რუსი მწერლის თხზულება, გარკვეულწილად, იმპერიული პროპაგანდის ელემენტებსაც შეიცავს – რუსული ადმინისტრაციის პოლიტიკა დადებითად არის წარმოდგენილი, ხოლო ადგილობრივი კულტურისადმი დამოკიდებულება ზოგჯერ ზედაპირულია. მიუხედავად ამისა, ეს ნარკვევი მნიშვნელოვან ადგილს იკა-

ვებს როგორც სამოგზაურო ლიტერატურაში, ასევე რეგიონის შესახებ არსებულ ისტორიულ წყაროებში. ტექსტი არა მხოლოდ ავსებს იმ პერიოდის კავკასიაზე დაწერილ ნაშრომებს, არამედ ეკატერინა ლაჩინოვას, როგორც მგრძნობიარე დამკვირვებლისა და მწერლის, უნარებსაც წარმოაჩენს.

The essay “The Road from Tiflis to Erivan. Erivan in 1839. The Monastery of Etchmiadzin”, written in 1839 by Ekaterina Lachinova (1810–1896), is a unique historical and literary source that reflects the social, political, and cultural environment of the Caucasus region in the late 1830s. The writer resided in the Caucasus between 1836 and 1840 with her husband, General Nikolai Emilianovich Lachinov of the Separate Caucasian Corps. Her close connections with high-ranking civil and military officials allowed her to observe regional events and imperial policies firsthand. Lachinova is also known by her pseudonym, “E. Khamar-Dabanov”, under which she published the novel-pamphlet “Escapades in the Caucasus” in 1844, a kind of chronicle of the military events of the Caucasian War.

The essay, originally written in Russian, was translated into French by the author herself and gifted in May 1840 to the English traveler Anne Lister (1791–1840) during her stay in Tbilisi. In 2022, this manuscript was discovered in the British National Archives by Russian art historian Olga Khoroshilova and translated it into Russian. It was subsequently published in 2024 by literary scholar Valentina Malakhova in the book “Gorodishko”. E. Lachinova’s essay has not been translated into Georgian and is unknown to representatives of the scientific field.

The writer provides a detailed description of her journey from Tbilisi to Erivan, depicting the natural landscape, settlements, and architectural monuments along the way. Special attention is given to the description of the Sardar’s Palace in Erivan, the Monastery of Etchmiadzin, and Armenia’s historical heritage in general. The author recounts the history of Erivan Fortress, which was captured by the Russians from the Persians in 1827, and extensively characterizes Sardar’s Palace, which at the time housed the Russian imperial administration. Of particular note is the Mirror Hall, decorated with portraits of shahs and Persian heroes.

The essay also includes an episode about Emperor Nikolai I's visit to Erivan: Ekaterina Lachinova discovered a framed inscription embedded in the wall of the former Sardar's Palace, protected under glass, which read: "Nikolai, October 5, 1837." She notes that the Armenians preserved this inscription under glass, attributing great significance to it.

E. Lachinova describes her visit to Erivan's mosques, one of which had been converted into an arsenal, while the other remained in use. She was unable to visit Geghard Monastery herself but recounts its description based on local accounts.

On her journey to the Monastery of Etchmiadzin, the provincial governor assigned her an escort of twenty Muslim horsemen. The writer provides a detailed description of the monastery's architecture, library, printing house, theological seminary, refectory and cemetery. She saw portraits of the Russian Emperor, General Golovin, Prince Paskevich, and Baron Rosen displayed in the monastery gallery. Traveler also recounts her meeting with the 80-year-old Catholicos and attended a religious service, which she describes as a blend of Greek Orthodox and Catholic traditions.

The essay also mentions the memorial dedicated to Russian officers who perished defending Etchmiadzin from the Persians in 1828. Additionally, the writer describes the region's economy, noting cotton and rice as the principal products of Armenia's province.

Ekaterina Lachinova's work is an important source for studying the history of the Caucasus in the 19th century, Russian imperial policy, and the cultural heritage of the region's peoples. Her text, to some extent, contains elements of imperial propaganda – portraying Russian administration in a positive light while sometimes approaching local culture with a superficial perspective. Nevertheless, this essay occupies a significant place not only in travel literature but also among historical sources on the region. It not only complements other contemporary works about the Caucasus but also highlights Ekaterina Lachinova's keen observational skills and literary talent.

**შოთა ჩანტლაძის პოეტიკის  
რამდენიმე ასპექტი**

**Several Aspects of Shota Chantladze's Poetry**

**თორნიკე კანდელაკი**

**Tornike Kandelaki**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ლიტერატურა, არამეინსტრიმული პოე-  
ზია, პოეტიკა, ლიტერატურული გავლენა, შოთა ჩანტლაძე

**Keywords:** Georgian literature, non-mainstream poetry, poetics, literary  
influence, Shota Chantladze

შოთა ჩანტლაძის ფიგურა XX საუკუნის და, ზოგადად, ქართული არამეინსტრუმული ლიტერატურის ყველაზე მკაფიო წარმომადგენელია. ის ფაქტი, რომ სიცოცხლის განმავლობაში პოეტს მასობრივი ბეჭდური საშუალებებით არასოდეს უსარგებლია და მის შემოქმედებას იდეოლოგიური ცენზურის ხელი არ შეჰხებია, უტყუარ გარანტიად რჩება მისი ნაწარმოებების ავთენტიკურობისა. ეს კი უხვ საშუალებას გვაძლევს, ნათლად დავინახოთ შემოქმედის ჭეშმარიტი პოეტური ნატურა და, იმავდროულად, ანარეკლი მის თანამედროვე ლიტერატურულ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებისა.

XX საუკუნის 25-იანი წლებიდან სოციალისტური რეალიზმის აქტიურად დამკვიდრების ხანამ იდეოლოგიური წნეხის გამო შემდეგი ათწლეულების განმავლობაში წამყვანი როლი შეასრულა ქართულ ლიტერატურაში. მაგრამ მანამდელი კულტურული მონაპოვარი, მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტურ მოთხოვნებს პირდაპირ არ პასუხობდა და, პირიქითადაც, ეწინააღმდეგებოდა, თავისი მონუმენტურობის გამო ყურადღების მიღმა არ დარჩენილა შემდეგი თაობების მწერლებისათვის. შემოქმედებითი თვითჩამოყალიბების გზაზე შოთა ჩანტლაძეს ცალსახად არ დაუწყია წინამორბედების ლიტერატურული ტრადიციის გამართლება, ან მათი პოეტური კრედიტების გამეორება, მაგრამ სახეობრივ, ენობრივ და განწყობის დონეზე ბევრი ლიტერატურული პარალელი იძებნება მის პოეზიაში, რომელიც, პირდაპირ თუ ასოციაციურად, მოდერნისტების შემოქმედების გავლენაზე მიუთითებს.

პირველი მოცემულობა, რაც თვალშისაცემი ხდება ახალგაზრდა შოთა ჩანტლაძისათვის, როცა ის გალაკტიონ ტაბიძის პოეტურ ფენომენს ეცნობა, ესაა „მესაფლავის“ ავტორის პოეზიის დიდი უპირატესობა სხვებთან შედარებით. ლექსში – „საკუთარი“ – შოთა ჩანტლაძე მოკლედ აჯამებს კლასიკოსი პოეტის პოეზიის მასშტაბს და ასკვნის, რომ გალაკტიონმა სამუდამოდ დაჩრდილა სხვები ჯერ კიდევ ახალგაზრდობისდროინდელი ლექსით – „მესაფლავე“. შოთა ჩანტლაძისათვის ღრმა ინტერესის საგანი ხდება გალაკტიონის სტილისთვის დამახასიათებელი პოეტიკური საშუალებების ათვისება. ერთი ასეთი ხერხი სიტყვათქმნადობაა და ეს, განსაკუთრებით, გამოიხატება ზმნის მიმღეობით ფორმებზე აქცენტირებით,

რომელმაც, ტექნიკური თვალსაზრისით, დიდი მაგალითი და საშუალება მისცა პოეტს რითმის გამდიდრებისთვის, და არა მხოლოდ. ყველაზე მკაფიოდ კი გალაკტიონის მხატვრულ-იდეური გავლენა სემანტიკურ დონეზე იკვეთება. ქარის მხატვრული სახე, რომელიც არაერთგვარად პერსონიფიცირებული და გაღრმავებული ფორმით ქართულ პოეზიაში ყველაზე მეტად გალაკტიონის პოეზიაში იჩენს თავს, შეპირისპირების ფონზე, ნათელი გახდა, რომ შოთა ჩანტლაძესთან ინარჩუნებს გალაკტიონისგან მინიჭებულ მხატვრულ თვისებებს, მაგრამ ავტორს კიდევ უფრო მეტი სირთულე და დატვირთულობა შეაქვს მის საზღვრებში. შოთა ჩანტლაძე, ერთი მხრივ, ლირიკულობის ნაკადს ანელებს და მხოლოდ ქარის ბუნების განსახიერებაზე ორიენტირდება ამ ლექსებში, ხოლო მეორე მხრივ, ეროვნულ მოტივებს უკავშირებს და მტრის სახეს მოიაზრებს ქარში.

მიუხედავად ამისა, საკუთარი პოეტური ბუნების რეპრეზენტაციისთვის შოთა ჩანტლაძე წინაპარი პოეტებიდან ტიციან ტაბიძის ფიგურას მოიხმობს და იგი იმდენად დიდ სულიერ სიახლოვეს გრძნობს „ცისფერყანელ“ პოეტთან, რომ თამამად ასახელებს თავს მისი ლიტერატურული ტრადიციის გამგრძელებლად. იმპულსურობა, როგორც ძირითადი მახასიათებელი ტიციან ტაბიძის პოეზიისა, შოთა ჩანტლაძისთვის არაა უცხო და იგი უხვად იძლევა ამ პროცესის ტიციანისებურ ანალოგიას.

„სქოლიოს“ გვერდით, სადაც მწერალი თავმდაბლად აცხადებს, მისთვის სავსებით საკმარისია, დარჩეს წამყვანი ლიტერატურული პროცესების განზე და ლიტერატურულ ასპარეზზე ისეთივე ადგილი დაიკავოს, როგორიც სქოლიოს უკავია წიგნის ფურცლებზე, მოიძებნება სტრიქონები, სადაც იგი გენიალურად აფასებს საკუთარ პოეტურ ნიჭს და ფიგურას. ეს პოეტს შეიძლება, ლიტერატურულ თვითრეკლამად ან გადაჭარბებად ჩავუთვალოთ, მაგრამ მკვლევართა მხრიდან გამოთქმულია არაერთი დადებითი მოსაზრება მის ნოვატორობასთან დაკავშირებით. ამ ნოვატორობაში კი უმთავრესად თვისებრივად ახალი ვერლიბრის დამკვიდრება მოიაზრება.

ორიგინალური პოეზიის შექმნის გზაზე, რასაც პოეტი იქადნის, აღნიშვნის ღირსია შოთა ჩანტლაძის მიდრეკილება ვერსიფიკაციული ვირტუოზობისკენ. თუ თავდაპირველად მისი რითმები და

მეტრიკა კლასიკურია, მოგვიანებით ის განზრახ ემიჯნება და უარყოფს კლასიკურ სიზუსტეს, ეს ნორმიდან გადახვევა კი თანდათან მის სტილურ მახასიათებლად იქცევა. ვერლიბრიც კი, რომელიც, მისი აზრით, პოეტური სისუსტეა, შემოქმედების სხვადასხვა ეტაპზე მის ერთ-ერთ მთავარ გამოხატვის საშუალებად იქცევა. კლასიკური სწორხაზოვანი მხატვრული კომპოზიციის, რომანტიკული ტონისა და ვერსიფიკაციის ათვისების გვერდით იგი თანდათან იწყებს მათსავე დეკონსტრუქციას და ცდილობს, დაამკვიდროს საკუთარი რეაქციული სტილი. კლასიკოსების ამაღლებული რომანტიკული სტილისგან განსხვავებით, მის პოეტურ ენაში ჭარბად ჩნდება ყოველდღიური სასაუბრო ენის ელემენტები, რომელთაც ერწყმის არქაული ლექსიკა და ეს შეზავება და კონტრასტი თემისადმი პოეტის ირონიულად განწყობის შთაბეჭდილებას ქმნის.

გაორებული განწყობიდან წარმოშობილ ამ პოზიციას ლიტერატურის თეორეტიკოსი ჰაროლდ ბლუმი „დაიმონიზაციას“ უწოდებს თავის წიგნში „გავლენის შიში“ და მკაფიოდ ხსნის, რა ფსიქოლოგიური პროცესები უძღვის წინ პოეტის მიერ წინა თაობის შემოქმედის უარყოფას, როცა იგი მისივე ენერგეტიკით საზრდოობს, მაგრამ „მემკვიდრედ ველარ აცნობიერებს თავის თავს“.

შოთა ჩანტლადის პოეზია საბჭოთა კონიუნქტურას გარიდებული არამეინსტრიმული ლიტერატურაა, რომლის ავტორიც შემოქმედებითი მრწამსითაც და ბუნებითაც წარმმართველი პროცესებისგან განზე მდგომი პიროვნებაა. ეს ტიპური იატაკქვეშა ლიტერატურაა, სადაც ავთენტიკურად ისახება, რა ლიტერატურული პროცესები მიმდინარეობს რეალურად ქართულ პოეზიაში, თუ როგორ განვითარდებოდა თავისუფალი ლიტერატურა, რა „ძვირფასს ქვებს“ (პაოლო იაშვილი) მიიღებდა და უარყოფდა წარსულისაგან და რა ტენდენციებს შეიძენდა, რომ არა საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიური სამოცდაათწლიანი.

Shota Chantladze is the most distinct representative of the 20th century, and, in particular, Georgian non-mainstream literature. The fact, that during his life the poet never used mass print media and his work was not touched by ideological censorship, remains an undoubted guarantee of the authenticity of his works. This allows us to clearly see the true artistic



nature of the author and, at the same time, the reflection of the literary processes of his contemporary literary scene.

The era of the active establishment of socialist realism from the 1925s played a leading role in Georgian literature during the following decades due to ideological pressure. But the previous cultural achievements, despite the fact that they did not directly respond to socialist demands and, on the contrary, contradicted them, were too monumental to be ignored by subsequent generations of writers. On his path of creative self-formation, Shota Chantladze did not set out to justify the literary tradition of his predecessors or simply replicate their poetic credos, but many literary parallels can be found in his poetry at the level of form, language, and mood, which directly, if not associatively, indicate the influence of the work of modernists.

The first fact that becomes noticeable to the young Shota Chantladze, when he becomes acquainted with the poetic phenomenon of Galaktion Tabidze, is the great superiority of the poetry of the author of "The Gravedigger" over others. In the poem "My Own", Shota Chantladze briefly summarizes the scope of the classic poet's poetry and concludes that Galaktion forever overshadowed others with the poem "The Gravedigger" written in his youth. Shota Chantladze is deeply interested in the mastery of poetic techniques characteristic of Galaktion's style. One such method is word formation, and this is especially expressed in the emphasis on receptive forms of the verb, which, from a technical point of view, provided the poet with a great example and opportunity to enrich the rhyme and not only. The artistic and ideological influence of Galaktion is most clearly seen at the semantic level. The artistic image of the wind, which in various personified and deepened forms in Georgian poetry appears most in Galaktion's poetry, against the background of contrast, it became clear that Shota Chantladze retains the artistic qualities given by Galaktion, but the author introduces even more complexity and intensity into its boundaries. Shota Chantladze, on the one hand, slows down the flow of lyricism and focuses solely on the embodiment of the nature of the wind in these poems, while, on the other hand, he connects national motifs identifying the wind as a metaphor for the enemy.

Nevertheless, to represent his own artistic nature, Shota Chantladze invokes the figure of Titsian Tabidze, one of his predecessor poets, and he feels such a great spiritual closeness to the author of the “Blue Horns” that he boldly names himself as the continuer of his literary tradition. Impulsiveness, as the main characteristic of Titsian Tabidze’s poetry, is not foreign to Shota Chantladze, and he abundantly provides a Titsian-like analogy of this process.

Next to the “Footnote”, where the writer humbly declares that it is quite enough for him to remain apart from the leading literary processes and occupy the same marginal place in the literary arena as the footnote occupies on the pages of a book, there are lines where he brilliantly evaluates his own poetic talent and figure. This can be considered as literary self-promotion or exaggeration, but researchers have expressed positive opinions regarding his innovative approach. This innovation is mainly considered to be the establishment of a fundamentally new form of free verse.

On the path to creating original body of work – something the poet aspires to – Shota Chantladze’s tendency towards versification virtuosity is worth noting. If initially his rhymes and metrics are classical, later he deliberately distances himself from and rejects classical accuracy, and this deviation from the norm gradually becomes his stylistic characteristic. Even free verse, which, in his opinion, is a poetic weakness, becomes one of his primary means of expression at different stages of his creative journey. Alongside the mastery of classical linear artistic composition, romantic tone and versification, he gradually begins to deconstruct them and tries to establish his own reactionary style. Unlike the elevated romantic style of the classics, his poetic language is abundant with elements of everyday colloquial speech, combined with archaic vocabulary, and this mixture and contrast create the impression of the poet’s ironic attitude towards the topic.

Literary theorist Harold Bloom calls this position, which arises from a dualistic attitude, “demonization” in his book “The Anxiety of Influence” and clearly explains the psychological processes that precede the poet’s rejection of the creator from the previous generation, while he is drawing

sustenance from their creative energy – “yet no longer recognizing himself as an heir“.

Shota Chantladze’s poetry is non-mainstream literature that has escaped the Soviet conjuncture, he is the author and person who stands apart from the leading processes both in terms of creative beliefs and nature. This is typical underground literature, which authentically reflects the literary processes actually occurring in Georgian poetry, it offers a version of how free literature might have evolved, what “precious stones” (Paolo Iashvili) it would have embraced or discarded from the past, and what tendencies it would have acquired if it were not for the seventy-year ideological dominance of the Soviet regime.

**სვანეთი და კავკასია  
(არქეოლოგიური მონაცემების შუქზე)**

**Svaneti and the Caucasus  
(in the light of archaeological data)**

**ზვიად კვიციანი  
Zviad Kvitsiani**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კავკასია, სვანეთი, ლებიქვი

**Keywords:** Caucasus, Svaneti, Lebiqvi

სვანეთი ქართველი ეთნოსის შედარებით წმინდად შემონახული გენეტიკური კოდია. სვანეთში უხვად შემონახული მრავალფეროვანი კულტურული მემკვიდრეობის დარგობრივი მეცნიერული შესწავლის შედეგად სადღეისოდ უკვე ცნობილია სვანეთის საპატრიო ადგილი და როლი, არა მარტო კოლხურ, არამედ მთლიანად კავკასიის კულტურებს შორის.

არქეოლოგიური მონაცემებით, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერდობის მაღალმთიანი ზოლის სამეურნეო ათვისება ნეოლითის ხანაში იწყება. ამის დასტური კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე – ბულნარის, ლებიქვის, ლაზგას და ჩრდილოეთ კავკასიაში – სოსრუკის „მთის ნეოლითური“ ძეგლების სიახლოვეა.

სვანეთიდან ჩრდილო კავკასიაში გამავალი საუღელტეხილო გზები 50-ს აღემატება, რომელთა შორის ყველაზე გამოყენებადი უნდა ყოფილიყო ქლუხორის, ჭებერის, ნაკრას, ტვიბერის, ბეჩოს საუღელტეხილო გზები. დიდი ალბათობით, მათი გამოყენებით, ძვ.წ. IV–III ათასწლეულებიდან გარკვეული კონტაქტები ხორციელდებოდა ჩრდილო კავკასიის მხარესთან (მაიკოპური კულტურა – ნოვოსვაბოდნაიას ეტაპი). იქნებ სვანეთის რეგიონზე გამავალი საუღელტეხილო გზები იყო ერთ-ერთი უმოკლესი დამაკავშირებელი მონაკვეთი ჩრდილო კავკასიის, შიდა ქართლისა და ზემო იმერეთის ტერიტორიებზე გავრცელებულ არქეოლოგიურ კულტურებთან, მათ შორის მაიკოპურ და მტკვარ-არაქსულ კულტურებს შორის კონტაქტების დამყარებისას.

მომდევნო პერიოდებში პროტოყობანურ და ყობანურ ხანაში, როგორც ჩანს, ეს კონტაქტები უფრო ძლიერდება. რაჭასთან ერთად, ამ რეგიონთან გარკვეული კონტაქტები ჩანს შუაბრინჯაოს მიწურულსა გვიანბრინჯაოს საწყის ეტაპებზე. როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, რაჭა-დიგორის კულტურის თუ ჯგუფის ძეგლები – ბრილის სამაროვნის ბრინჯაოს ინვენტარის გარკვეული ნაწილი (შტანდარტები, ყუამილიანი ცულების, სატევრების, პუნქტირებით შემკული დისკოსებურთავიანი საკინძებისა და საკიდების ზოგიერთი სახეობა) ახლოს დგას ჩრდილო კავკასიის – ფასკაუსა და ზემო რუხთას ამ კატეგორიის ძეგლების ანალოგიურ მასალებთან. ამ ორი რეგიონის ბრინჯაოს არტეფაქტების გარკვეული ნაწილის დი-

დი მსგავსება, რის გამოც გამოიყო კიდევ დიგორი-რაჭის რაიონი (ა. იესენი). ზოგიერთი მკვლევარი დიგორის კულტურის წრეში აქცევს მომიჯნავე ბალყარეთის მხარესაც (სკაკოვი).

გვიანბრინჯაო – ადრერკინის ხანაში სვანეთი კოლხური კულტურის სამთამადნო და მეტალურგიული წარმოების ძლიერი კერა იყო. სვანეთში საკმარისად იყო განვითარებული რკინის მეტალურგია, რომლის არქეოლოგიური საბუთია 2011-2024 წლებში თსუ-ის სვანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ გამოვლენილი მეტალურგიული მოედნები და რკინის სადნობი ქურები, რკინის წიდები, რკინის ნალვენთები, ქურის კერამიკული საქშენი მილები, რკინის სამეურნეო და საბრძოლო იარაღები და სხვ. დაფიქსირებული მასალის რაოდენობა და ტერიტორიის მასშტაბი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სვანეთში მოპოვებული რკინით იმ პერიოდში არა მხოლოდ კოლხეთი, არამედ ჩრდილოკავკასია და წინა აზიის სახელმწიფოებიც მარაგდებოდა. გამოვლენილი ქურები და რკინის ქვის კარიერები მისი მასშტაბებიდან (80–100 ჰა) გამომდინარე, რკინის ხანის სამთო მეტალურგიის ყველაზე დიდი რეზერვუარები შეიძლება აღმოჩნდეს, რასაც მომავალი არქეოლოგიური კვლევა-ძიება დაადგენს.

ანტიკური ხანის არქეოლოგიურ და ნუმისმატიკური მასალებში კარგად ჩანს ამ რეგიონისა და მთლიანად ჩრდილო კავკასიის საგარეო, სავაჭრო-ეკონომიკური და ნაწილობრივ კულტურული ურთიერთობების გეოგრაფია, რომელიც მოიცავს იმდროინდელი ბერძნული სამყაროსა და მცირე აზიის სავაჭრო-საწარმოო ცენტრებს, საიდანაც ფუფუნების საგნები კოლხეთის სავაჭრო ცენტრების მეშვეობით შემოდის მდ. რიონის, ცხენისწყლის, ენგურისა და კოდორის ხეობებში, აქედან კი – უღელტეხილების გავლით – ჩრდილოეთ კავკასიაში (ლარილარის, ბრილისა და ყუბანის, ლუგოვოეს, რუთმის სამაროვნების მასალები).

მნიშვნელოვანია შეხვედრები მითოლოგიურ და რელიგიურ ასპექტებში. აქ შემონახულ მითოლოგიურ-რელიგიურ რიტუალებს, სიუჟეტებსა და პერსონაჟებს პარალელები ეძებნებათ კავკასიური ხალხების მითოლოგიასა და რელიგიურ ტრადიციებთან.

სვანეთისა და ჩრდილოკავკასიის ხალხთა ეთნოკულტურული ურთიერთობების საუკეთესო დადასტურებაა ანტიკურ და შუა საუკუნეებში აქაური არქიტექტურული ძეგლები – საბრძოლო კოშკები, ციხე-სახლები, დილეგები, ბურჯებიანი-ქიმქონგურიანი გალავნები, დახურული წყალსადენები, საიდუმლო გვირაბები, მშვილდისრები, არბალეტები და სხვ.

Svaneti is a relatively pure genetic code of the Georgian ethnos.

According to archaeological data, the agricultural exploitation of the high-mountainous strip of the southern slope of the main Caucasus ridge begins in the Neolithic era. This is confirmed by the proximity of the “mountain Neolithic” monuments on the southern slope of the Caucasus – Bughnari, Lebkvi, Lazga and in the North Caucasus – Sosruk.

From the same period, the process of communication with the corresponding strip of the North Caucasus begins. In ancient times, Svaneti's contacts with the outside world were carried out along ravine, side and pass roads. The pass roads leading from Svaneti to the North Caucasus exceed 50, among which the most usable were the Klukhori, Chuberi, Nakra, Tviberi, Becho passes [Kvitsiani]. Most likely, using them, certain contacts were carried out with the North Caucasus side from the 4th–3rd millennia BC (Maikop culture-Novosvobodnaya stage).

In the following periods, in the Proto-Kobanian and Kobanian periods, these contacts seem to be getting stronger. Some researchers previously noticed a great similarity of some of the bronze artifacts of these two regions, which is why the Digori-Racha region was even distinguished (A. Yesenin).

Iron metallurgy was sufficiently developed in Svaneti, the archaeological evidence of which was found in 2011-2024 by the TSU Svaneti Archaeological Expedition: metallurgical sites, iron smelting furnaces, iron slag, ceramic furnace nozzles, iron agricultural and military tools, etc. The amount of material found and the scale of the territory allow us to say that the iron mined in Svaneti supplied not only Colchis, but also the North Caucasus and the states of the Far East.

The archaeological and numismatic materials of the ancient period clearly show, on the one hand, the geography of the mountains and plains, and, on the other, the geography of foreign, trade-economic and partly cultural relations of this region and the entire North Caucasus, which includes the trade-production centers of the Greek world and Asia Minor of that time, from where, through the trade centers of Colchis, luxury items entered the valleys of the rivers Rioni, Tskhenistskali, Enguri and Kodori. From here – through the passes – to the North Caucasus (Larilar, Bril and Kuban, Lugovoe, Rutmi burial materials).

Meetings in mythological and religious aspects are important.



**იაკობ გოგებაშვილის „იავნანამ რა ჰქმნა“  
– დარგუელი მწერლის, აჰმედ აბუ-ბაქარის  
რომანის ინსპირაცია**

**“What did the Lullaby do” by Iakob Gogebashvili  
– Inspiration for the novel of Dargwan  
Writer Ahmed Abu-Bakar**

**ხვთისო მამისიმედიშვილი  
Khvtiso Mamisimedishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** დარგუელი რომანი, აბუ-ბაქარი, იაკობ გოგებაშ-  
ვილი

**Keywords:** Dargwa novel, Abu-Bakar, Iakob Gogebashvili

აბუ-ბაქარი არის დარგუელი მწერლის, პუბლიცისტისა და სცენარისტის, ახმედხან აბაქარის ძე აბაქაროვის ფსევდონიმი. მისი ნაწარმოებები მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი. ის სამწერლო საპარეზზე გასული საუკუნის შუა წლებში გამოვიდა.

ა. აბუ-ბაქარის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია რომან „მანანას“, რომელიც შექმნილია იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის – „იავნანამ რა ჰქმნას“ – მოტივებზე. რომანში ასახული მოქმედებების ერთი ნაწილი სწორედ საქართველოში ვითარდება.

„მანანა“ ისტორიულ-სათავგადასავლო რომანის ჟანრს მიეკუთვნება. იგი სავსებით აკმაყოფილებს ისტორიული რომანის ყველა მოთხოვნას. რადგან დარგუელი მხატვრული ლიტერატურა ძირითადად საბჭოთა პერიოდში განვითარდა, მას თავისებური დალი დაასვა კომუნისტურმა იდეოლოგიამ. ა. აბუ-ბაქარი რომანში „მანანა“ საბჭოთა-პარტიული და სოციალისტური რეალიზმის პოზიციებიდან განიხილავს XX საუკუნის 10-იან-20-იან წლებში რუსეთის იმპერიაში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებს.

სოციალური კოლაფსის ეპოქა რომანში ლეკებისა და ქართველების ტრადიციული სამყაროს, მათი წეს-ჩვეულებების, მენტალიტეტისა და ადგილობრივი კოლორიტის ფონზე იშლება. მწერალი ხოტბას ასხამს შემოდგომის სიმწიფის სურნელით აფერადებულ კახეთის ველ-მინდვრებს.

იაკობ გოგებაშვილის მოთხრობაში ლეკების მიერ ქეთოს დაღესტანში გატაცება განუსაზღვრელ დროში ხდება და ქართველი მწერალი მაინცდამაინც არ აკონკრეტებს ქეთოს მოტაცების დროს. ა. აბუ-ბაქარის რომანში განვითარებული სიუჟეტი მთლიანად აცდენილია იმ ხანას, რომელსაც ქართველი მწერალი თავის მოთხრობაში წარმოგვიდგენს. ეს იწვევს ერთგვარ შეუსაბამობას ქართულ მოთხრობასა და დაღესტნურ რომანს შორის; ასევე, იაკობ გოგებაშვილის მოთხრობის პერსონაჟები ა. აბუ-ბაქარმა რომანში განსხვავებული სახელებით წარმოადგინა. დარგუელმა მწერალმა საქართველოდან დაღესტანში გატაცებულ ქეთოს, ქართველ გოგონას, მანანა დაარქვა, ხოლო დედამისს, მაგდანის ნაცვლად, – ვარ-

დო. მწერალმა უცვლელად შეიტანა თავის რომანში მოტაცებული ბავშვის მამის გვარ-სახელი – ზურაბ ქართველადე.

მწერალს ნაწარმოებში არაერთხელ მოჰყავს ქართული სააკ-ვნო სიმღერის ბნეკარედული თარგმანი, რომელიც რომანის კომპოზიციაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ იაკობ გოგებაშვილის მოთხრობა „იავნანამ რა ჰქმნა“ და, ზოგადად, ქართული კულტურა ა. აბუ-ბაქარისთვის რომანის დაწერის ერთგვარი ინსპირაცია გახდა.

დაღესტნელმა მწერალმა გოგებაშვილისეული ფაბულა – ქართველი ქალიშვილის დაღესტანში გატაცებისა – კრიზისულ ხანას, რევოლუციების ეპოქას დაუკავშირა და რომანის ძირითადი სიუჟეტები სოციალისტური რეალიზმის პრინციპებით გადმოგვცა. რომანში მოქმედება ხდება ოქტომბრის რევოლუციამდე და ასევე რევოლუციების ეპოქაში, ასე რომ, ნაწარმოებში, მთიელი ხალხის ცხოვრებასთან ერთად, აისახა ისტორიული მოვლენები, რომლებიც რომანის ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს ქმნიან და ერთ მთლიანობაში აყალიბებენ ა. აბუ-ბაქარის „მანანას“ კომპოზიციას.

რომანში მწერალმა ასახა უაღრესად მნიშვნელოვანი ეპოქა, როგორც საქართველოსთვის, ისე დაღესტნისა და მთელი რუსეთისთვის. რომანში მოქმედების ათვლა იქიდან იწყება, როცა ვარდომ მანანა შობა. ნაწარმოები ორ ნაწილისგან შედგება. წიგნის პირველ ნაწილში, რომელსაც ჰქვია „წინანდლის ვარდი“, ნაჩვენებია დაღესტნელი და ქართველი ხალხების ურთიერთობა XIX – XX საუკუნეების მიჯნაზე, ხოლო მეორე ნაწილი, „ჰაჯი-მურატის შვილიშვილი“, მოგვითხრობს კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შესახებ.

რომანში მონაწილეობენ როგორც რეალური, ისე გამოგონილი პერსონაჟები. თუმცა მწერალი მაინცდამაინც არ ამახვილებს ყურადღებას პერსონაჟთა პირად ცხოვრებაზე. ნაწარმოებში განვითარებულ ყველა კონფლიქტს ავტორი ეპოქალურ მოვლენებს უკავშირებს, რომლებიც დაღესტნის, საქართველოსა და რუსეთის ტერიტორიებზე განვითარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ აბუ-ბაქარის შემოქმედებამ გავლენა მოახდინა XX საუკუნის II ნახევრის დაღესტნის ლიტერატურულ

პროცესებზე და, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, მისი მხატვრული პროზა კვლავაც ახდენს გავლენას დაღესტნის თანამედროვე მწერლობაზე. სწორედ ეს გარემოებები განაპირობებს ა. აბუ-ბაქარის შემოქმედების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესსა და მისი შესწავლის აქტუალობას.

ა. აბუ-ბაქარის „მანანა“ მნიშვნელოვანია, ასევე, ხალხთა ურთიერთობის თვალსაზრისით, რადგან ნაწარმოებში ავტორის ყურადღების ცენტრში დგას ორი ხალხი: ლეკები და ქართველები, აქედან გამომდინარე, რომანი გამდიდრებულია ეთნოგრაფიული პლასტებით. ა. აბუ-ბაქარს ნაწარმოებში შემოჰყავს ფოლკლორული და ისტორიული პერსონაჟები, როგორებიც არიან: დაღესტნური საგმირო ბალადების გმირი ხოჩბარი, ასევე ისტორიული პირები – იმამი შამილი და ჰაჯი-მურატი. რომანში ავტორი მიმართავს არა მხოლოდ ტრადიციულ თხრობას, არამედ მასში რეპროდუცირებულია ფილოსოფიური იგავები, ლეგენდები, ზღაპრები და მითები. ფოლკლორული ელემენტების შემოტანით ავტორი ნაწარმოებს რომანტიკულ იერს ანიჭებს.

რომანი „მანანა“ დღემდე არ არის თარგმნილი ქართულ ენაზე. მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია აჰმედ აბუ-ბაქარის რომანის ქართულ ენაზე თარგმნა და მისი ქართველი მკითხველისთვის გაცნობა.

Abu-Bakar is the pseudonym of the Dargwa writer, publicist, and scenarist Akhmedkhan Abakar Abakarov. His literary works have been translated into many languages of the world. He became known in the literary world in the middle of the last century.

A special place in A. Abu-Bakar's literary heritage is occupied by the novel "Manana", which was created on the motifs of the story "What did the Lullaby do" by Iakob Gogebashvili (1840-1912). Part of the actions depicted in the novel take place in Georgia.

"Manana" belongs to the genre of historical-adventure novel. It fully meets the criteria of a historical novel. Since Dargwan fiction mainly developed during the Soviet period, it was given a peculiar stamp by communist ideology. In the novel "Manana" A. Abu-Bakar discusses the

revolutionary events that developed in the Russian Empire in the 10s and 20s of the 20th century from the positions of Soviet-party and socialist realism.

In story of Iakob Gogebashvili the kidnapping of Keto by the Lezgins in Dagestan takes place at an indefinite time, and the Georgian writer does not specify the time of Keto's kidnapping. The plot developed in A. Abu-Bakar's novel is completely out of date with the era that the Georgian writer presents in his story. This causes a kind of discrepancy between the Georgian story and the Dagestan novel. A. Abu-Bakar in his novel also presented the characters of Iakob Gogebashvili's story with different names. The Dargwan writer named Keto, a Georgian girl kidnapped from Georgia to Dagestan, Manana, and her mother, instead of Magdani named Vardo. The writer in his novel invariably included the name and surname of the kidnapped child's father – Zurab Kartveladze.

The writer in his literary work repeatedly cites the translation of lines from a Georgian lullaby, which plays an important role in the composition of the novel. Thus, it can be said that Iakob Gogebashvili's story "What did the Lullaby do" and Georgian culture in general were a kind of inspiration for A. Abu-Bakar to write the novel.

The Dagestan writer connected Gogebashvili's fable – the abduction of a Georgian girl in Dagestan – to the crisis period, the time of revolutions, and conveyed the main plots of the novel using the principles of socialist realism. The action in the novel takes place before the October Revolution and also in the era of revolutions, so the literary work, along with the life of the mountain people, reflects historical events that form the main structural elements of the novel and form the composition of A. Abu-Bakar's "Manana" as a whole.

In the novel, the writer depicted an extremely important era for both Georgia and Dagestan and for all of Russia. The action in the novel begins when Vardo gives birth to Manana. The novel consists of two parts. The first part of the book, called "The Rose of Tsinandali", shows the relations between the Dagestan and Georgian peoples at the turn of the 19th and 20th centuries, and the second part, "Hadji Murat's Grandson", tells about the establishment of Soviet power in the Caucasus.

The novel features both real and fictional characters. However, the writer anyway does not focus on the personal lives of the characters. The author connects all the conflicts in the novel with epochal events that took place in the territories of Dagestan, Georgia, and Russia.

It should be noted that the creativity of Abu-Bakar influenced the literary processes of Dagestan in the second half of the 20th century, and, as researchers point out, his literary prose continues to influence modern Dagestan writing. It is precisely these circumstances that determine the special interest to A. Abu-Bakar's creativity and the relevance of its study.

It is a pity that the novel "Manana" has not yet been translated into Georgian. It is extremely important to translate Ahmed Abu-Bakar's novel into Georgian and introduce it to Georgian readers.

**მოგონებათა ნაკადი ივანე ჯავახიშვილის  
ფენომენისთვის**

**A Stream of Memories for the Phenomenon  
of Ivane Javakhishvili**

**მარიამ მარჯანიშვილი**  
**Mariam Marjanishvili**

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

Kutaisi State Historical Museum

**საკვანძო სიტყვები:** მოგონება, ფენომენი, ანექსია-ოკუპაცია, ტრავმული ცნობიერება, ალმა-მატერი

**Keywords:** memory, phenomenon, annexation-occupation, traumatic consciousness, Alma Mater

1918 წლის 8 თებერვალს, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა პირველი ქართული უნივერსიტეტი, რომელზეც ოცნებობდნენ „თერგდალეულები“. აქედან დაიწყო ახალი რენესანსის გზა, რასაც თავისთავად მოჰყვა ქვეყნის დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

წითელი ბოლშევიკების მიერ საქართველოს ანექსია-ოკუპაციის შემდეგ დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობამ და ინტელექტუალური ელიტის ნაწილმა საერთაშორისო სამართლის გზით დაკარგული თავისუფლების კვლავ აღსადგენად თავი უცხოეთს შეაფარა.

ამ პოლიტიკურ ორომტრიალში ათეული წლები მიილია, მაგრამ დიდი ეპოქალური მოვლენები ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტთათვის „ტრავმულ ცნობიერებაში“ გადაიზარდა. შემდეგ ემიგრანტთა სააზროვნო არეალში ჩართული ინდივიდუალური მეხსიერება, წარსული, მოგონებების ნაკადად იქცა, რომლის მაგალითია თბილისში ქართული უნივერსიტეტის დაარსების გახსენება.

პარიზში გამომავალ ჟურნალ „კავკასიონის“ XIII ნომრის ფურცლებზე გაშუქებულია ემიგრანტთა მოგონებები ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და შემდგომში იქ მიმდინარე პროცესების შესახებ.

უნივერსიტეტის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაწერილ მოგონებებში ასახულია როგორც „აღმა-მატერის“ დაარსების სასიხარულო მოვლენები, ასევე საბჭოთა ყოფის ამსახველი მეხსიერებითი არსენალი, რომელსაც თან ახლავს „ტრავმული ცნობიერება“.

ერთიც და მეორეც რეალობაა, რომელიც თავიდან სამშობლოში დაიწყო და ეს მოგონებები გაგრძელდა ემიგრაციაში, რითაც ყველა ემიგრანტი მეყსეულად უბრუნდება სამშობლოს.

On February 8, 1918, on the day dedicated to David Aghmashenebeli, the first Georgian University was opened, thus fulfilling the dream of the “Tergdaleulis”. This gave start to a road of new Renaissance which was followed by independence and liberation of the country.



After the Bolsheviks' occupation of Georgia, the Georgian government and part of intellectual elite found shelter in foreign countries to find international support in restoring the lost freedom.

This took several decades, but great epochal events turned into "traumatic consciousness" for Georgian political emigrants. Later, all their individual memories and their past turned into a stream of memories. One of the examples is the memory about the establishment of Georgian University in Tbilisi.

The XIII issue of the journal "Kavkasioni", which was published in Paris, included emigrants' memories about the establishment of the Georgian University and all the processes going there.

The memories dedicated to the 50<sup>th</sup> anniversary of the university depict the happy event connected with the establishment of Alma Mater, as well as the events linked with Soviet life followed by "traumatic consciousness".

Both are realities, which started in Georgia and continued in emigration, and these memories returned the emigrants to their homeland.

# **ქართული პალეოგრაფია: ასო-ბგერა „ჭარი“**

## **Georgian Paleography: The Letter – ჭ**

**რუსუდან მიქელაძე**

**Rusudan Mikeladze**

პარიზის კავკასიის ევროპული სახლი  
Association European Caucasus House

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული პალეოგრაფია, დამწერლობების და-  
თარიღების პრობლემატიკა, 'ჭარ' და 'ან' ასოთა ხატოვანი წარმომავ-  
ლობა

**keywords:** Georgian paleography, dating problems of the alphabet, the  
grapheme of the letters (ჭ) ch'ari and (ან) ani

1926 წელს ივანე ჯავახიშვილი გამოსცემს წიგნს სახელწოდებით: **„ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“**, რომელსაც დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მიუძღვნის გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, პაპიროლოგ გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთელს. ამ ფუნდამენტური ნაშრომით ჯავახიშვილი საფუძველს ჩაუყრის იმ მნიშვნელოვან დარგს, რომელსაც ქართული პალეოგრაფია ჰქვია. წიგნის დასკვნით ნაწილში ავტორი აღნიშნავს ქართული დამწერლობის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, რომელიც **„ჩვენი ეხის ინტენსიური კულტურული ცხოვრებისა და შემოქმედების ნაყოფი ახის და ხომდის შესწავლასაც ისეთივე ყუჩადღება უნდა მიეძღვებოდეს, როგორც კულტურის ისტორიის სხვაგვარი გამოხატულებას“**.


ჯავახიშვილი ეხება ქართული ანბანის წარმოშობის საკითხსაც და გვთავაზობს ქართულ-ბერძნულ-სემური დამწერლობის შედარებით ანალიზს, რის შედეგადაც დაასკვნის, რომ **„სამუდამოდ უკუგდებული უნდა იყოს აზრი ქართული ანბანის მეხუთე საუკუნეში გამოგონების შესახებ და რომ უნდა განმტკიცდეს აზრი, რომ ქართული დამწერლობა გაცილებით უფრო ძველია და მისი დასაწყისი შოხეუდ წახსდღში და მცხიე აზიაში და ახა საბეჰდნეთში უნდა ვეძებოთ“**.

ქართულ ანბანში თავიდან დაწყებული 23-ე ასომდე დაცულია თანმიმდევრობა, რომელიც უძველეს სემიტურსა და შემდგომ ბერძნულში იყო გამოყენებული, მაგრამ მას ემატება ქართული ენისათვის დამახასიათებელი ასო-ბგერების გამომხატველი 7 ნიშნი: ლ, ყ, შ, ჩ, ც, წ, ქ. ანბანურ დამწერლობებში ასოთა თანმიმდევრობას და ასოთა დასახელებებს თავისი წარმომავლობა და საფუძვლები აქვთ. იმის გათვალისწინებით, რომ ანბანური დამწერლობა ჩამოყალიბდა ხატოვნისაგან, რომელთა წერის დროს თითოეული სიტყვისათვის იყენებდნენ ცალკეულ ნახატს და რომელთა განვითარებასაც მოჰყვა აკროფონიის საფუძველზე ახალი წესის გამომუშავება: იხატებოდა საგნები და წარმოითქმოდა ამ საგანთა სახელთა მხოლოდ სანყისი ასო. ბერძნულში A და B ასოს სახელები სემიტური წარმოშობის არიან, რომლის მიხედვითაც „ალეფი“ ხარს ნიშნავს და „ბეთ“ – სახლს, რაც ადასტურებს, რომ ამ ასოთა სახელწოდებანი ხატოვანი დამწერლობების ეპოქიდან მომდინარეობენ, როდესაც A ასოს წასაკითხად ხარი იხატებოდა, ხოლო B-სთვის კი სახლი. ამ-

გვარად წარმოიქმნა სიტყვა „აღფაბეტი“, რომლის მნიშვნელობაც არის „ხარის სახლი“ .

ივანე ჯავახიშვილი ამ მოვლენას შემდეგნაირად ახსნის: „*„ათ-გან ‘აღფ’ ხაისა ნიშნავს და ხაი ვითაჲცა ჰქოსანი პიჲუტყვი ეგვიპტელებსა და მთვაჲის თაყვანისმცემედ ეხებასც წმინდა, საზვაჲაკო ცხოვედად მიაჩნდათ, შესაძლებელია გვეფიქჲა, ჰომ ასოთა ხიგში პიჲ-ვედად ხაის, ‘აღფ’-ის გამომხატვედ ნიშანს ეხთგვაჲი სახწმუნოებ-ხივი ღედააზი, ვედხების გამომხატვედი დანიშნულება ჰქონიყო...“*

ჯავახიშვილის ამ ჰიპოთეზამ მიიპყრო ჩემი ყურადღება და გადავწყვიტე, მომეხდინა ქართული ანბანური დამწერლობების პირველი გრაფემის შესწავლა. ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, V-X საუკუნეებით დათარიღებული ქართული ანბანური დამწერლობის სამი სისტემის პირველი ნიშანი განსხვავდება ბერძნული და სემიტური ალფაბეტისაგან; რამდენადაც მათ მიერ შემონახული ხატოვანი დამწერლობის გადმონაშთი არ არის „აღფი“, განსხვავებით, 1940 წელს არქეოლოგიური გათხრების შედეგად მცხეთაში აღმოჩენილი დამწერლობის ნიმუშისა, რომელიც გიორგი წერეთელმა ამოიკითხა და **არმაზული** უწოდა მას.

 თუ მივყვებით ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, მაშინ არმაზული – ‘ა’ ასოს მოხაზულობის მსგავსება სემიტური ანბანის ‘აღფ’ ნიშანთან უნდა მოწმობდეს ერთი რელიგიური სისტემიდან მეორეზე გადასვლის შედეგად ანბანის პირველი ნიშნის შეცვლას, რასაც, თავის მხრივ, უნდა გამოეწვია ძველი გრაფემის ჩანაცვლება ხარის თავის საკულტო სიმბოლიკით. გამორიცხული არ არის, რომ ძველი დამწერლობები ქართული მხედრულისა და ასომთავრულის პარალელურად ვითარდებოდნენ. თუ დავაკვირდებით V-VII საუკუნეებისათვის დამახასიათებელ პალეოგრაფიულ მონაცემებს, დავინახავთ, რომ ასომთავრული დამწერლობის მიხედვით ‘ჟ’ ასოს გრაფემა იწერება ზემოდან ქვევით და მისი ფორმა ძალიან წააგავს მხედრული დამწერლობის პირველ ‘ა’ ასოს, რაც ადასტურებს, რომ ორივე მათგანს საერთო პიქტოგრამული წარმომავლობა უნდა ჰქონოდა. XII საუკუნიდან ვაკვირდებით ასომთავრულით ჩაწერილი პირველი ასოს გრაფიკული ჩამოშლის პროცესს: ხდება ორ შემადგენელ ნაწილად მისი დაყოფა და XIV-XV საუკუნეების პალეოგ-

რაფიული მასალის მიხედვით ორ პარალელურ ტალღოვან წრფედ დაშლა; გეომეტრიული ფორმიდან ხდება გადასვლა ხატოვან დამწერლობაზე და ამასთან იკვეთება არქაული შუმერულისტოვის დამახასიათებელი გველის პიქტოგრამა, რომელიც ფონეტიკური ღირებულების (A) ბგერად ჩამოყალიბდება ახლო აღმოსავლეთში.

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული წყაროების მიხედვით, V-X საუკუნეებით დათარიღებული ქართული ანბანური დამწერლობის სამი სისტემა განსხვავდება ბერძნული და სემიტურისაგან, რამდენადაც ის ასახავს ხატოვანი დამწერლობის გადმონაშთს ზოომორფული პირველი საწყისი ნიშნით, რომელიც არის გველი და შესაბამისად არ წარმოადგენს 'აღეფ' – ხარის თავს, რაც ამყარებს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ქართულის ანბანის დასაწყისი მცირე აზიში და არა საბერძნეთში უნდა ვეძიოთ.

Unlike alphabetic systems derived from the Phoenician, the first letter of the Georgian alphabet does not come from the drawing of the bull's head (*alef*) and, according to my research, it represented by the grapheme of the snake.

As for the scientific opinion on the original roots of three writing systems of the Georgian alphabet, there are problems of dating. This question was revisited in 1926 by Ivane Javakhishvili in his monography 'Georgian paleography' and later in 1940 by Giorgi Tsereteli (1904-1973), the paleographer. Deciphering the bilingual funerary stele of Armazi (II-III century), Tsereteli with certainty stated that the roots of the Georgian alphabet are much older than the 5th century.

Semiotic analysis of biblical texts has revealed the pictographic origin of Georgian writing. This unexpected phenomenon, later verified by the in-depth treatment of graphic systems, was confirmed by an archaic Sumerian sign of the snake.

We can suppose that the ancient scripts developed in parallel with the Georgian Mkhedruli and Asomtavruli. If we look at the paleographic data characteristic of the 5th-7th centuries, we will see that according to the Asomtavruli script, the grapheme of the letter 'ჭ'-ch'ari, is written from

top to bottom and its shape is very similar to the first letter ‘՝-ani, of the Mkhedruli script, which confirms that both of them must have had a common pictographic origin. Since the 12th century, we have been observing the process of graphical collapse of the first letter written in Asomtavruli: it is divided into two constituent parts and, according to the paleographic material 4th-15th centuries, it is decomposed into two parallel wavy lines; We observe a transition from a geometric form to a pictographic script, and the snake pictogram characteristic of the archaic Sumerian emerges, which will develop into a sound with the phonetic value (A) in the Middle East.

‘՝-ani

ძველმოცუბო	წიგნის	სტრიქონი	პროტოტიპი	საბუთების
				V
				VI-VII
				VIII
				IX
				X
				XI
				XII
				XIII
				XIV
				XV
				XVI
				XVII
				XVIII

‘ჭ’-ch’ari

ძველმოცუბო	წიგნის	სტრიქონი	პროტოტიპი	საბუთების
				V
				VI-VII
				VIII
				IX
				X
				XI
				XII
				XIII
				XIV
				XV
				XVI
				XVII
				XVIII

**XIX საუკუნის მეორე ნახევრის  
ქართველი ისტორიკოსები და  
წყაროთმცოდნეობითი კვლევები**

**Georgian Historians and Source Studies of the  
Second Half of the 19th Century**

**ქეთევან ნადირაძე**  
**Ketevan Nadiradze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** წყარო, კვლევა, კრიტიკა, მეთოდი

**Keywords:** source, research, criticism, method

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი არის ქართული ისტორიოგრაფიის ის ხანა, როდესაც თითქმის ყველა გამოჩენილი ისტორიკოსი, ამავე დროს, წყაროთმცოდნე იყო და თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ წყაროთმცოდნეობითი ბაზის შექმნა. მათ ამ კუთხით დიდი შრომა გასწიეს და, ვფიქრობ, დღევანდელი სინამდვილისთვისაც მნიშვნელოვანი ნაშრომები დატოვეს. ქართულ ისტორიოგრაფიაში მათი ღვაწლი დაფასებულია, მაგრამ გაბატონებულია აზრი, რომ ამ მეცნიერთა წარმატებები წყაროთმცოდნეობით დარგში წყაროების გამოვლენით, პირველადი დამუშავებით და გამოცემით შემოიფარგლება; ყურადღება არ ექცეოდა წყაროთა კრიტიკულ შესწავლას, ტექსტის აღდგენას, წყაროთა დიფერენცირებას, წყაროთა კლასიფიკაციას და სხვ. არსებობდა მხოლოდ თხზულების ჟანრობრივი დახასიათება და ავტორთა მედასეობის გამორკვევა. ერთადერთი საზომი ავტორის თანამედროვეობის გარკვევა იყო (რ. კიკნაძე). ვფიქრობ, ეს აზრი გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს. ვეცდები, მოკლედ ვაჩვენო, თუ რატომ ვფიქრობ ასე. შესაბამისი მასალის წარმოდგენამდე მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო: ამ პერიოდის მეცნიერთა ნაღვანის შეფასება დღევანდელი მითხვნათა გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ არასწორი იქნება, რადგან, განვითარების თანამედროვე ეტაპზე სულ სხვა შინაარსი შეიძინა ისტორიული წყაროს ცნებამ. რადგან დღეისათვის წყაროთმცოდნეობას აქვს თავისი საგანი, თეორია, მეთოდოლოგია, მეთოდოლოგია, ისტორიულ წყაროებზე მუშაობის პრაქტიკა და სხვ., მკვლევართა ფართო წრე მივიდა დასკვნამდე, რომ წყაროთმცოდნეობა ჩამოყალიბდა როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება და მან დაკარგა დამხმარე დისციპლინის ტრადიციული გაგება. ამიტომ ჩვენ მიერ განსახილველი პერიოდის მეცნიერთა ნაღვანის შეფასება უნდა მოხდეს ისტორიულ კონტექსტში, იმის გათვალისწინებით, თუ როგორი იყო იმდროინდელი განვითარების დონე. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში (ვგულისხმობ პრაქტიკულ კვლევებს) ხშირ შემთხვევაში ხდება მათი ნააზრვეის უგულებელყოფა, რაც არა მარტო სამწუხაროა, არამედ დამაზიანებელი მეცნიერების წინსვლისთვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მეცნიერთა წყაროთმცოდნეობითი კვლევა – ძეგლის სანდოობის, ცნობების სიუხვისა და



მნიშვნელობის, გამოყენებული წყაროებისა და თარიღის დადგენა – მჭიდრო კავშირშია მათ არქეოგრაფიულ მოღვაწეობასთან – ხელნაწერის დასახელება, ფორმატის, მოცულობის, სტრიქონების, რაოდენობის აღწერა და სხვ. – ეს უკანასკნელი მკვლევართა მიერ ძეგლების მოძიება-გამომზეურებასა და გამოცემასთან. ამავე დროს, თავადვე შემოჰქონდათ მეცნიერულ მიმოქცევაში ახალი წყაროები და აქტიურად იყენებდნენ ისტორიოგრაფიულ კვლევებში. შეძლებისდაგვარად ყურადღებას უთმობდნენ წყაროთა უცხო ენაზე თარგმნას (ძირითადად რუსულად), რადგან კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამას წყაროს პოპულარიზაციისათვის. ვფიქრობ, სწორედ ამ მიმართულებით უნდა მოხდეს მათი მემკვიდრეობის წარმოჩენა.

განსახილველი პერიოდის მკვლევრები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან წყაროს გამოცემას. არ არის მართებული, რომ ისტორიოგრაფიაში მათ გამოცემებს არასამეცნიერო გამოცემებს უწოდებენ. უნდა აღინიშნოს, რომ მკვლევარი წყაროს გამოქვეყნების დროს ცდილობს, არ დაამახინჯოს ტექსტი, მასში ცვლილებები არ შეიტანოს და შეუნარჩუნოს პირველადი სახე. ხოლო კრიტიკულ შენიშვნებს, განმარტებებსა და დასკვნებს ათავსებს ცალკე, სქოლიოში. მათ მიაჩნდათ, რომ ყველა ხელნაწერი, „ვარგისია თუ უვარგისი, აუჩქარებლად უნდა განიხილონ, აღწერონ. განმარტონ მათი არქეოლოგიური და მეცნიერული მნიშვნელობა და ჩაურთონ კატალოგში. ალბათ ამ პრინციპით არის შეტანილი ბევრ პუბლიკაციებში „ნატყუარი“ საბუთები, რომლებიც, კვლევისათვის, გარკვეული თვალსაზრისით, ფასეულობას წარმოადგენს. დიდ ადგილს უთმობენ მოსახსენებელ ჩანაწერებს, წერილებს, რეესტრებს, საკანონმდებლო ძეგლებს და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საეკლესიო მწერლობას, როგორც საისტორიო წყაროს. აღსანიშნავია, აგრეთვე ის, რომ განსახილველი პერიოდის მკვლევრები იყენებენ „შედარებითი“ გამოცემის მეთოდს. მართალია, ისინი წერილობითი წყაროების საგანგებო დიფერენცირებას არ ახდენენ, მაგრამ მათ შრომებში მაინც არის წყაროთა ერთმანეთისგან განსხვავების მცდელობა. ისინი წერილობით წყაროებს აქვეყნებენ ადგილმდებარეობის გათვალისწინებით და მათ შემდეგი სახელწოდებებით

იხსენიებენ: სიგელი, გუჯარი, საბუთი; ხოლო შინაარსის მიხედვით გამოყოფენ: „საკითხავი“, „საგვარეულოს ისტორია“ და თავისებურ განმარტებებს იძლევიან. მაგ. „საკითხავებს“ ეკლესიაში წარმოთქვამდნენ ამბიონიდან მრევლის წინაშე, „მატიანე“ კი არის ისტორიული თხზულება და ა.შ.

ერთი სიტყვით, ჩვენ მიერ წარმოებული კვლევის პროცესიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას: არა ის, რომ, როგორც მიჩნეულია, ივ. ჯავახიშვილამდე ყურადღება არ ექცეოდა წყაროთა კრიტიკულ შესწავლას, ტექსტის აღდგენას, წყაროთა დიფერენცირებას და სხვ., არამედ ევროპელი მეცნიერების მიერ მე-20 საუკუნის დასაწყისში შემუშავებული მეცნიერული ანალიზის მეთოდიკა პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში დანერგა და გამოიყენა ივ. ჯავახიშვილმა, ხოლო დიდი გარჯის შედეგად, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქართველოლოგებმა ხელი შეუწყვეს მეცნიერების წინსვლასა და განვითარებას, რამაც, თავის მხრივ, ქართველოლოგიური მეცნიერების ახალ ეტაპზე აყვანის შესაძლებლობა მისცა მომავალ თაობას, რომლის სახესაც წარმოადგენს სწორედ ივ. ჯავახიშვილი.

Second half of the 19th century is the period of Georgian historiography, when almost all outstanding historians were simultaneously source scientists. They regarded the creation of a source database as their primary obligation. In this respect, they made great efforts and, in my opinion, their works are of significance for the current reality. Their merits are appreciated in Georgian historiography, but there is a widespread view that the success of these scientists, in the sphere of source studies, is limited to the identification of sources, their primary processing and publication, critical study of the sources, restoration of the texts, differentiation and classification of sources and clarification of the authors' belonging to one or another group. The only measurement was clarifying whether the author was up to date or not (R. Kiknadze).

In our opinion, this view requires a certain correction. We shall attempt to demonstrate briefly why we think so. Before presentation of the

relevant materials, we would like to emphasize that: the assessment of the contribution of the scientists of this period, regarding current requirements, would be incorrect, as at the current stage of development, the concept of historical source has acquired quite a different meaning. As currently source study has its subject, theory, methodology, techniques, practices of work on historical sources etc., a wide circle of researchers concluded that source studies have formed as an independent science and lost the traditional sense of supplementary discipline. Therefore, the contribution of the scientists of the period under consideration should be assessed within the historical context, regarding the development of that time. In many cases, their views are neglected in modern Georgian historiography (here we imply practical studies) and this is not only regrettable, but also hinders the progress of the science.

Source studies of the scientists of the second half of the 19th century – with respect to monument trustworthiness, abundance of data and their significance, identification of the used sources and dates – are closely related to their archeographic activities – titles of the manuscripts, description of their format, size, lines, quantities etc. – discovery and revealing of the monuments and their publication by the scientists. At the same time, they brought into the scientific circulation the new sources and extensively used them in historiographic studies. As far as possible, they paid attention to translation of the sources into the foreign languages (mostly into Russian), as they clearly understood significance of this, for source popularization. We regard that their heritage should be presented in this respect.

Researchers of the period under consideration showed responsible attitude to publication of the sources. It is not adequate that in historiography, their publications are regarded as non-scientific ones. It should be admitted that a researcher, in publishing the source, makes efforts not to distort the text, not to make changes to it and maintain it in its original form. And the critical notes, explanations and conclusions are placed separately, in the footnotes. They regarded that each manuscript, “whether suitable or unsuitable, should be considered and described without hurry. Its archeological and scientific significance should be explained and

included into the catalogue. Probably, according to this principle, many publications contain “false” documents that comprise certain value for research. They pay great attention to the memorial records, letters, registries, legislative monuments etc. Particular attention was paid to the church records, as the historical source. In addition, it should be admitted that the researchers of the period under consideration applied the method of “comparative” publication. While they did not specially differentiate the written sources, in their works they still attempted to differ the sources from one another. They published the written sources by their locations and mentioned them by categories, as: deed, instrument, document and by contents: “reading”, “family history” and provided certain explanations, e.g., “readings” were told at the churches, from amvon to the parish and “chronicle” is the historical work etc.

Briefly, regarding the process of our research, at this stage, it could be said that: it is regarded that before Iv. Javakhishvili, no attention was paid to critical study of the sources, restoration of texts, differentiation of sources etc., while actually, methodology of scientific analysis developed in early 20th century by the European scientists was first introduced to Georgian historiography and used by Iv. Javakhishvili and Kartvelian scientists working in the second half of 19th century, with their great efforts, contributed to progress and development of the science and this, in turn, provided the opportunity of taking Kartvelian studies to the new level to further generation of scientists and Ivane Javakhishvili embodies this generation.

**შვიდი ეფესელი ყრმის წამების  
ქრისტიანული არაბული ვერსია XVIII საუკუნის  
ანტიოქიური ხელნაწერის მიხედვით**

**Christian Arabic Version of the Martyrdom  
of Seven Ephesian Youths According  
to the 18th-Century Antiochian Manuscript**

**მარიამ ნანობაშვილი**

**Mariam Nanobashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ჰაგიოგრაფია, შვიდი ეფესელი მოწამე

**Keywords:** hagiography, Seven Ephesian Martyrs

ჰაგიოგრაფიული თხზულება ეფესელ მძინარე ჭაბუკთა შესახებ მეტად პოპულარული ყოფილა, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამ წმინდანებთან დაკავშირებულ დღესასწაულს აღნიშნავენ როგორც მართლმადიდებლები და კათოლიკეები, ისე ყველა აღმოსავლური ეკლესიის წარმომადგენელი. შვიდი ყრმის მოტივი ფართოდაა გავრცელებული ისლამის სამყაროშიც, მას ცენტრალური ადგილი უკავია ყურანის XVIII სურაში. როგორც ე. ჰონიგმანი შენიშნავს, „ეს ამბავი იმდენ ადგილას ჩაიწერა და გადაიწერა უამრავ ენაზე სხვადასხვა დროს, რომ უიმედო ჩანს მცდელობა, გზა გაიკვლიო ამ უხვი ლიტერატურული მასალის ლაბირინთში.“

გარდა ამისა, ეფესელ წმინდანებთან დაკავშირებით დაგროვდა დიდძალი სამეცნიერო ლიტერატურა, თუმცა მაინც რჩება გარკვეული საკითხები, რომლებიც შემდგომ კვლევასა და შესწავლას მოითხოვენ. წლების წინ ჩვენ გამოვაცქეყნეთ შვიდი ყრმის წამების ადრეული ქართული და ქრისტიანული არაბული ვერსიები, ძირითადად, XI საუკუნის ხელნაწერების მიხედვით. ამჯერად ჩვენი კვლევა ეხება აღნიშნული თხზულების გვიანდელ ქრისტიანულ არაბულ თარგმანს. წინამდებარე ნაშრომში გამოვცემთ ამ ძეგლის არაბულ ვერსიას, რომელიც დაცულია ბეირუთის წმინდა იოსების უნივერსიტეტის აღმოსავლური ბიბლიოთეკის ხელნაწერში Ms. Beirut Arab. 628 (დათარიღებულია 1721 წლით).

ქრისტიანული არაბული ლიტერატურა, რომლის განვითარების პირველი ეტაპი დაახლოებით XIII საუკუნეში დასრულდა და მომდევნო პერიოდში მას ბევრი სიახლე აღარ შემატებია, XVII საუკუნიდან კიდევ ერთხელ აღმავლობის გზაზე დადგა. ანტიოქიის მართლმადიდებელი საპატრიარქოს ქრისტიან არაბთა შორის ჩამოყალიბდა ორი ლიტერატურული მიმართულება: პირველი მათგანი ისევ აღმოსავლურ წყაროებს ეყრდნობოდა, ძირითადად ბერძნულსა და სირიულ მელქიტურს, ხოლო მეორე, დასავლელ მისიონერთა ზეგავლენით, აქტიურად შეუდგა ლათინური, იტალიური და ფრანგული წყაროების გამოყენებას. საბოლოოდ, ამ მეორე, შედარებით მცირერიცხოვანმა ჯგუფმა რომის უნიაც მიიღო (1724 წ.).

ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი ანტიოქიის საპატრიარქოში აღმოცენებულ სქიზმამდე ცოტა ხნით ადრეა შექმნილი და მრავალ


ჰაგიოგრაფიულ თხზულებას აერთიანებს. ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი, ძირითადად, ბერძნულიდანაა ნათარგმნი. კრებული მოიცავს მხოლოდ მსოფლიო წმინდანთა და მართლმადიდებელ ეკლესიაში კანონიზებულ მოღვაწეთა შესახებ ძეგლებს, მისთვის უცხონი არიან კათოლიკე წმინდანნი.

ზოგიერთ შემთხვევაში ბეირუთის ხელნაწერის გადამწერს ტექსტები მცირე ცვლილებებით აქვს გადმოტანილი ადრეული კრებულებიდან. მსგავსი ვერსიები გვხვდება საკმაოდ ძველ ხელნაწერებში, მაგალითად, ბრიტანულ ნუსხაში Brit. Mus. Or. 5019. მ. ვან ესბროკმა ისევ ლონდონში მიაკვლია კრებულის სხვა ნაწილს, რომელიც გატარებული ყოფილა შრიფტით Add. 266 177. დასახელებული ბრიტანული ნუსხები, ძირითადად, შეიცავენ ჰაგიოგრაფიულ ნაწილს. ი. მ. სოჟემ მილანში შეძლო ჰომილეტიკური ნაწილის იდენტიფიცირება, მისი ფრაგმენტები ასევე გაბნეულია ბირმინგემსა და მიუნხენში. არსებობს ვარაუდი კრებულის სინური წარმომავლობის შესახებ. მისი შექმნის თარიღად, ძირითადად, მიჩნეულია X-XI საუკუნეები, უფრო მეტად კი XI საუკუნე.

საინტერესოა, შვიდი ეფესელი ყრმის წამების ტექსტი, რომელიც წარმოდგენილია ბეირუთის XVIII საუკუნის ხელნაწერში, რაიმე მსგავსებას ავლენს თუ არა XI საუკუნის კრებულში შემავალ თარგმანთან. ამ ორი ვერსიის შედარება გვიჩვენებს, რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი თარგმანებია, თუმცა ერთსა და იმავე წყაროს, წინამეტაფრასულ ბერძნულ ვერსიას ეყრდნობიან.

XVII-XVIII საუკუნეებში ქრისტიანი არაბების მიერ ახალი თარგმანების შესრულებას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა, რომელთაგან უმთავრესი იყო ტექსტების ენობრივი დახვეწა, მათი გამართვა სალიტერატურო არაბული ენის ნორმების მიხედვით. როგორც ცნობილია, VIII-XIII საუკუნეებში ქრისტიანი არაბი მოღვაწენი ორიგინალურ თხზულებებსა თუ თარგმანებს ქმნიდნენ ისეთ ენაზე, რომელიც არ იყო სათანადოდ სტანდარტიზებული, გარკვეულწილად, მოიცავდა დიალექტურ ფორმებს, დაუდევარ სტილს. სამწუხაროდ, ამ ხარვეზის გამოსწორება ვერც ამ ახალ თარგმანებში მოხერხდა, რასაც ნათლად ადასტურებს შვიდი ყრმის წამების არაბული თარგმანიც. მისი ენობრივი და ორთოგრაფიული თავისებურებანი აშკარად უკავშირდება სირიულ დიალექტს.

ნაშრომში ასევე ყურადღებას გავამახვილებთ, რამდენად შეუწყო ხელი შვიდი ეფესელი ყრმის მიმართ ქრისტიან არაბთა შორის განახლებულმა ინტერესმა ამ მოტივის პოპულარობას ოსმალეთის იმპერიაში. ისლამურ ტრადიციაში ეფესელი ჭაბუკნი ოდითგან განსაკუთრებულ პატივისცემას იმსახურებდნენ, ვინაიდან ყურანის XVIII სურის ძირითადი სიუჟეტი სწორედ მათ ეძღვნება. ამას დაემატა ისიც, რომ ოსმალეთის სამხედრო ფლოტი შვიდი ყრმის სახელს ატარებდა. ცნობილია 1766-1767 წლებში აბდ ალ-კადირ ჰისარის მიერ შექმნილი კალიგრაფიული სურათი, ეფესელ წმინდანთა სახელებით (არაბული ასოების მოხაზულობით) დახატული სამხედრო გემი, რომელსაც აგრეთვე წარმოვადგენთ წინამდებარე მოხსენებაში.



აბდ ალ-კადირ ჰისარი, შვიდი ეფესელი ყრმის სახელებით დახატული კალიგრაფიული სურათი, ოსმალეთის იმპერიის სამხედრო გემი (1766-67). მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი, ნიუ-იორკი.



ამრიგად, შვიდი ეფესელი ყრმა XVII-XVIII საუკუნეებში ისევ პოპულარული იყო როგორც ქრისტიანთა, ისე მუსლიმთა შორის, რასაც ადასტურებს ქრისტიანი არაბების მიერ ანტიოქიის საპატრიარქოში შექმნილი ახალი არაბული თარგმანი, ოსმალეთის ფლოტის გემებზე ამ წმინდანთა სახელების გამოჩენა და მათი ასახვა კალიგრაფიულ ხელოვნებაში.

The hagiographic work about the Ephesian Sleeping Youths was very popular, as evidenced by the fact that the feast associated with these saints is celebrated by both Orthodox and Catholics, as well as representatives of all Eastern churches. The motif of the Seven Youths is widespread in the Islamic world, it occupies a central place in Surah XVIII of the Quran. As E. Honigmann notes, "This story has been recorded in so many places and copied in so many languages at so many different times that it seems hopeless to try to find one's way through this labyrinth of abundant literary material."

In addition, a large amount of scholarly literature has accumulated regarding the Ephesian saints, although there are still some issues that require further research and study. Years ago we published early Georgian and Christian Arabic versions of the Martyrdom of the Seven Youths, mainly based on manuscripts of the 11th century. This time our research concerns the later Christian Arabic translation of the aforementioned work. In the present article we will publish the Arabic version of this monument, preserved in the manuscript Ms. Beirut Arab. 628 (dated 1721) of the Oriental Library of St. Joseph University in Beirut.

Christian Arabic literature, the first stage of its development having ended around the 13th century and not much new material added to it in the subsequent period, has once again begun to rise since the 17th century. Two literary trends emerged among the Christian Arabs of the Orthodox Patriarchate of Antioch, the first of which again relied on Eastern sources, mainly Greek and Syriac Melkite, while the second, under the influence of Western missionaries, began to actively use Latin, Italian and French sources. Eventually, this second, relatively small group also accepted the Roman Union (1724).

The manuscript of interest to us was created shortly before the schism that broke out in the Patriarchate of Antioch and combines many hagiographic works. An examination of the texts shows that they are mainly translated from Greek. The collection includes only monuments about world saints and figures canonized in the Orthodox Church; Catholic saints are foreign to it.

In some cases, the copyist of the Beirut manuscript copied the texts with minor changes from earlier collections. Similar versions are found in quite old manuscripts, for example, in the British collection Brit. Mus. Or. 5019. M. van Esbroeck also traced another part of the collection in London, which was registered as Add. 266 177. The British manuscripts mainly contain the hagiographic part. I. M. Sauget was able to identify the homiletic part in Milan, and its fragments are also scattered in Birmingham and Munich. There is an assumption about the Sinaitic origin of the collection. The date of its creation is generally considered to be the 10th-11th centuries, and more likely the 11th century.


It is interesting to see whether the text of the Martyrdom of the Seven Ephesians, which is presented in the 18th-century Beirut manuscript, shows any similarity to the translation included in the 11th-century collection. A comparison of these two versions shows that they are independent translations, although they are based on the same source, the pre-metaphrastic Greek version.

In the 17th-18th centuries, Christian Arabs made new translations for several reasons, the most important of which was to refine the language of the texts and bring them into line with the norms of the literary Arabic language. As is known, in the 8th-13th centuries, Christian Arab writers created original works or translations in a language that was not properly standardized, to some extent included dialectal forms and a sloppy style. Unfortunately, this shortcoming could not be corrected in these new translations either, as is clearly confirmed by the Arabic translation of the Martyrdom of Seven Sleepers. Its linguistic and orthographic features are clearly related to the Syrian dialect.

The paper will also focus on the extent to which the renewed interest in Seven Youths of Ephesus among Christian Arabs contributed to the popularity of this motif in the Ottoman Empire. In Islamic tradition, the

Ephesian Youths have always been held in special esteem, since the main plot of the XVIII Surah of the Quran is dedicated to them. In addition, the Ottoman navy was named after the Seven Youths. A calligraphic painting by Abd al-Kadir Hisari in 1766-67 is known, depicting a warship painted with the names of the Ephesian saints (in Arabic script), which is also presented in this paper.

Thus, the Seven Ephesian Youths were still popular among both Christians and Muslims in the 17th-18th centuries, as evidenced by the new Arabic translation created by Christian Arabs in the Patriarchate of Antioch, the appearance of the names of these saints on the ships of the Ottoman fleet, and their reflection in calligraphic art.



Abd al-Qadir Hisari, Calligraphic Ottoman Galleon (1766-67),  
painted with the names of Seven Sleepers of Ephesus  
The Metropolitan Museum of Art, New York

**პოეტური თარგმანის ფუნქციური  
მნიშვნელობა ლინა კოსტენკოს  
ორი ლექსის მაგალითზე**

**The Functional Importance of Poetic Translation  
on the Example of Two Poems by Lina Kostenko**

**ნინო ნასყიდაშვილი**

**Nino Naskidashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ლინა კოსტენკო, ფუნქციური მნიშვნელობა, პოეტური თარგმანი, თარგმანის ანალიზი, უკრაინული ლიტერატურა

**Keywords:** Lina Kostenko, functional importance, poetic translation, translation analysis, Ukrainian literature

პოეტური თარგმანის ფუნქციური მნიშვნელობა განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელი პერიოდის პოეტურ ნაწარმოებებში. კონცეპტუალიზაციის ტიპების, თარგმანის ენის თავისებურებების, მხატვრული ხერხებისა და ლექსთწყობის ელემენტების დაცვით, პოეტური ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი შიდა კონფიგურაციის, ავტორის ჩანაფიქრისა და გადმოცემის პოეტური ხერხების გათვალისწინებით პოეზიის თარგმნა რთული ამოცანაა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შესწავლილ და განხილულ იქნეს წარმოდგენილი უკრაინული თანამედროვე პოეზიის ნიმუშების კომპლექსური ხასიათი, შესაბამისობა თარგმნილ ტექსტებთან და ფუნქციური თანხვედრა ორიგინალსა და თარგმნილ ტექსტებს შორის, ასევე ენობრივ-მხატვრული თავისებურებების გამოკვეთა და ავტორის კონცეფციის შენარჩუნება.

უკრაინელი სამოციანელი მწერლის, ლინა კოსტენკოს, შემოქმედება განსაკუთრებულ ლირიზმით გამორჩევა. მისი პოეზია ხასიათდება ღრმა ფილოსოფიური ქვეტექსტებით, პოეტური სიტყვის ესთეტიკური სრულფასოვნებით, თანაბრად ითავსებს ლირიკული გმირების ცხოვრების სიუჟეტებს, ამდიდრებს ისტორიული მეხსიერებით და ზოგადასაკაცობრიო იდეებით.

საკვლევად წარმოდგენილი ლინა კოსტენკოს ორი ლექსის – „თეთრი სიმფონიისა“ (მთარგმნელი რუსუდან ჭანტურიშვილი) და „... ფიჭვის ტყე სიმებს ათრთოლებს ხემით“ (მთარგმნელი ნია აბესაძე) – ქართული თარგმანები ხასიათდება ლირიკული ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხების სიმრავლით, ემოციურობით, გრძნობების, განცდების სიუხვით, დედნისა და თარგმნილი ტექსტების ფარული ურთიერთკავშირით, სისადავითა და მაქსიმალური ეკვივალენტობით.

ქართული თარგმანები განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ქართულ-უკრაინული ლიტერატურული ურთიერთობების, საქართველოში უკრაინული ლიტერატურის კვლევის, პოეტური თარგმანის თეორიული და პრაქტიკული საკითხების შესწავლის თვალსაზრისით.

The functional importance of poetic translation has especially been highlighted in the poetic works of the last period. Translating poetry is a difficult task, especially by considering the types of conceptualization, peculiarities of the translation language, artistic methods and elements, internal configuration characteristic of poetic work, the main idea of the author and poetic techniques.

The purpose of this paper is to study and discuss the complex nature of the samples of modern Ukrainian poetry presented for research, similarities and functional congruence between original and translated texts, also, highlighting linguistic and artistic features, and preserving the author's concept.

The work of Ukrainian writer of the 1960's, Lina Kostenko, stands out with its special lyricism. Her poetry is characterized by deep philosophical subtext, the aesthetic perfection of the poetic word, equal accommodation of the stories of the lives of lyrical heroes, enrichment with historical memory and ideas for the general public.

For the study, Georgian translations of two poems of Lina Kostenko are presented: "White Symphony" (translated by Rusudan Tchanturishvili) and "...The Pine Forest Swings the Strings with the Violin Bow" (translated by Nia Abesadze), they are fulfilled with the abundance of artistic techniques characteristic of lyrical work, emotions, feelings, hidden connection between original and translated texts, simplicity and maximum equivalence.

Georgian translations are especially important for Georgian-Ukrainian literary relations, in terms of researching Ukrainian literature and studying theoretical and practical issues of poetic translations in Georgia.

**ფოლკლორული ნიმუშების გავლენა  
პროფესიულ სამუსიკო სივრცეზე  
(ხორუმის მაგალითი)**

**The Impact of Folklore on the Professional  
Musical Space  
(Example of Khorumi)**

**ლილი ნემსაძე**  
**Lili Nemsadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** მუსიკალური ფოლკლორი, ხორუმი, პროფესიული მუსიკა, ინოვაცია, საქართველო

**Keywords:** musical folklore, Khorumi, professional music, innovation, Georgia

მდიდარი ქართული ფოლკლორი საუკუნეების განმავლობაში უწყობდა ხელს ქართული კულტურის განგრძობითობის შენარჩუნებას. დროთა ვითარებაში ფოლკლორის ელემენტები პროფესიული სფეროების ინსპირაციის საგანი ხდება. ეს ბუნებრივი პროცესია და ფოლკლორის ყველა სფეროს შეეხება. ჩემი ინტერესი ამჯერად მიემართება მუსიკალური ფოლკლორის პროფესიულ მუსიკალურ სივრცეზე გავლენის კვლევას. ფოლკლორის როლი ინდივიდუალურ კომპოზიტორთა მუსიკალური კრეატიულობის სტიმულირებაში ზოგადად არის სამეცნიერო კვლევის საგანი მუსიკათმცოდნეების, ფოლკლორისტების, ეთნოლოგების წრეებში. ცხადია, რომ პროფესიონალი მუსიკოსები კონკრეტული სოცოკულტურულ სივრცის ნაწილს შეადგენენ და მათი სოციალიზაციისას მიღებული ცოდნა თუ შთაბეჭდილებები ბიძგს აძლევენ მათ მსოფლმხედველობებსა და მუსიკალური არტიკულაციის ფორმებს. მათი ინდივიდუალური სტილი, პირად მახასიათებლებთან ერთად, დიდად არის დამოკიდებული ეთნოკულტურულ ფესვებზე. ბევრი კომპოზიტორისთვის ფოლკლორი ქცეულა შთაგონების წყაროდ. არ არის გამონაკლისი არც ქართული სამუსიკო სივრცე. მოხსენებაში განვიხილავ ქართული ფოლკლორის უმნიშვნელოვანესი ნიმუშის – ხორუმის – მაგალითს. ხორუმს ეროვნული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს 2013 წლიდან. ხორუმი საბრძოლო შინაარსის უძველესი ცეკვაა. იგი საფერხულო წყობისაა და მისთვის დამახასიათებელია თავისებური მუსიკალური ზომა 5/8. ხორუმის რითმი გამოიყენა გამოჩენილმა კომპოზიტორმა სულხან ცინცაძემ კლასიკურ მუსიკალურ ნაწარმოებ „ხორუმში“ – პიესა ალტისა და ფორტეპიანოსათვის. მოგვიანებით ხორუმი საესტრადო ჟანრის სიმღერის შთაგონების წყაროდ იქცა (ლ. ნემსაძის სოლისტისა და გუნდისთვის შექმნილი სიმღერა). ორივე შემთხვევაში ფოლკლორული ნიმუში არის საფუძველი პროფესიული ნაწარმოებების შექმნისა. რასაკვირველია, პროფესიული ინტერპრეტაცია, მიზნებიდან გამომდინარე, შემოქმედებითად უდგება პირველწყაროს. სწორედ ეს მიმართება არის საინტერესო კვლევისთვის, რადგან ფოლკლორი დღესაც ინარჩუნებს უმნიშვნელოვანეს მახასიათებლებს კულტურისა და ეთნიკური ჯგუფისათვის. კერძოდ, მას აქვს ისტორიული



დატვირთვა, მაინტეგრირებელი ფუნქცია, შემოქმედებითი შთაგონების სტიმულირების უნარი, სოციალური ცნობიერების ამაღლების ფუნქცია და აღმზრდელობითი ფუნქცია. ფოლკლორული ნიმუშების ეთნოგრაფიულ ყოფაში არსებობისგან დამოუკიდებლად ისინი გავლენას ახდენენ მთელი ჯგუფის იდენტობის, საკუთარი თავის აღქმის ფორმირებაზე. მათი პროფესიულ სცენაზე ტრანსფორმირების ფაქტებიც კულტურული განგრძობითობის უზრუნველყოფასა და ე.ი. ეთნოკულტურული ჯგუფის შიდა ინტეგრაციას უწყობს ხელს.

The richest Georgian folklore has contributed to the continuity of Georgian culture for centuries. Over time, elements of folklore become the subject of inspiration for professional spheres. This is a natural process and concerns all spheres of folklore. My research interest is focused on the influence of musical folklore on the professional musical space. The role of folklore in the stylization of the musical creativity of individual composers is generally a subject of scientific research in the circles of musicologists, folklorists, and ethnologists. It is clear that professional musicians are part of a specific socio-cultural environment, and the knowledge and perceptions gained during their socialization give an impetus to their worldviews and forms of musical articulation. Their individual style, along with personal characteristics, is largely dependent on ethno-cultural roots.

Folklore has become a source of inspiration for many composers. The Georgian musical space is not an exception. In the paper, I will discuss the example of Khorumi, the most important element of Georgian folklore. Khorumi has had the status of a monument of national intangible cultural heritage since 2013. Khorumi is an ancient dance of martial content. It is an art of ancient dances and is characterized by a peculiar musical measure of 5/8. The prominent Georgian composer Sulkhani Tsintsadze in his classical musical work “Khorumi” – a piece for viola and piano – used the rhythm of Khorumi. Later, Khorumi became a source of inspiration for a pop song (a song created by L. Nemsadze for soloists and choirs). In both cases, the folklore sample is the basis for the creation of professional works.

Of course, professional interpretation, depending on the goals, creatively redefines the primary source. It is precisely this relationship that is interesting for research, because folklore still retains the most important characteristics for a culture and an ethnic group nowadays. In particular, it has a historical significance, an integrating function, and an ability to stimulate creative inspiration, a function of raising social consciousness and an educational function as well. Independently of the existence of folklore samples in ethnographic life, they influence the formation of the identity of the entire group, their self-perception. The facts of transformation of folklore on the professional stage also ensures cultural continuity, and this contributes to the further integration of the ethno-cultural group.

**ჩვილუდი ღმრთისმშობლის სახე  
სვეტიცხოვლის დასავლეთ ტიმპანის  
მხატვრობაში და მისი  
მომგებლის საკითხისათვის**

**The Image of the Virgin with Child in the Painting  
of the Western Tympanum of Svetitskhoveli  
and the Question of its Donor**

**ლალი ოსეფაშვილი**

**Lali Osepashvili**

საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა  
და კინოს უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University

სახელოვნებო მეცნიერებების, მედიისა და მენეჯმენტის ფაკულტეტი  
Faculty of Arts, Media and Management

**საკვანძო სიტყვები:** ღმრთისმშობელი პორტაიტისა, სვეტიცხოვლის  
ტაძრის მოხატულობა, ქართული ხელოვნება, ქრისტიანული იკონოგ-  
რაფია

**Keywords:** The Portaitissa Icon, painting of Svetitskhoveli Cathedral, Geor-  
gian art, Christian iconography

სვეტიცხოვლის ტაძარი საუკუნეთა განმავლობაში ქართველთა შინაგან სულიერ მდგომარეობას გამოხატავდა და მათი რწმენის უზენაესი განსახიერება იყო. ტაძრის წიაღში დავანებული უდიდესი საქრისტიანო სინმიდის – უფლის კვართის – წყალობით, მომლოცველნიც, შემწირველნი, მოღვაწენიცა და, სამწუხაროდ, მტერნიც არ ელეოდა. შუა საუკუნეების სიძველეებზე უკვე მესამე ასწლეულია, რაც მრავლად იწერება პუბლიკაციები და გამოკვლევები, როგორც ჩვენი, ისე უცხოელი მეცნიერების მიერ, ცხადია, ამით ჩვენი ხელოვნება ათვალსაჩინოებს ჩვენს წინაპართა სულიერ ღვაწლს.

სვეტიცხოვლის ტაძრის შემორჩენილ მხატვრობებზე არცთუ ბევრია დაწერილი. მოხსენების მიზანია დასავლეთ შესასვლელს ზემოთ, ტიშპანზე აღბეჭდილი სატრიუმფო კომპოზიცია, აღსაყდრებული დედა ღმრთისა ჩვილით, ფლანკირებული მთავარანგელოზთა – მიქაელისა და გაბრიელის – ფიგურებით, რომელნიც მათ თაყვანს სცემენ. XIX საუკუნის მკვლევარებში (ა. მურავიოვი, ა. ნატროშვილი) გამოსახულება ასოცირდა ათონის განთქმულ ივირონის კარის ღმრთისმშობელთან. თვით ტაძრის კარიბჭეს ახლავს წარწერა მხედრულით, სადაც განმარტებლად მოიხსენიება ვარლამ ექსარხოში, მცხეთისა და ყოვლისა საქართველომცა, ქსნის ერისთავის დავითის ძე. თარიღიცაა მითითებული – 1813 წლის 1 ოქტომბერი. ამის შემდეგ, სამწუხაროდ, დღემდე მკვლევრებს ამ დიდებულ მხატვრობაზე ყურადღება აღარ გაუმახვილებიათ. რატომღაც XIX საუკუნის ნიმუშად აღიქმება.

თუ ჩავუკვირდებით, კარიბჭის დღევანდელ მდგომარეობას, მის სამხრეთ კედელში ჩართულია დომენტი კათოლიკოსის მოსახსენიებელი ქვა, რომელმაც, ბუნებრივია, მიიქცია ისტორიკოსთა და პალეოგრაფთა ყურადღება; აღნიშნულია მისი მიცვალების თარიღი – 1676 წელი, რამაც მისცა მკვლევართ საფუძველი ქვეყნისა და, საკუთრივ, ტაძრის ისტორიის ნათელსაყოფად. დომენტი III საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი (1660-1676წწ.) ვახტანგ V-ის ბიძაშვილი, ბაგრატიონთა მუხრანის შტოს წარმომადგენელი იყო. ისტორიკოსთა მიერ მისი პიროვნება, ასე ვთქვათ, სამართლიანადაა შარავანდმოსილი (ვახუშტი, ბერი ეგნატაშვილი, ფეშანგი, თედო ჟორდანია და სხვ.). ანტონ ნატროშვილი თავის აქამდე არსე-

ბულ ერთადერთ ფუნდამენტურ ნაშრომში სვეტიცხოველზე აღნიშნავს, რომ 1892 წელს მხატვარმა ი. პიჩმა გადანერა საკურთხეველისა და დასავლეთ ტიმპანის მხატვრობა, რაც საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ ტიმპანზე აღბეჭდილი დედა ღმრთისას გლორიფიკაცია ამავე საუკუნის დასაწყისის ქმნილება ვერ იქნება და მისი შექმნა გაცილებით ადრე უნდა ვივარაუდოთ, თან მარიოლოგიის თემის წინ წამოწევა საქართველოში ყოველთვის აქტუალური იყო; იმის დაშვებაც შეუძლებელია, ტიმპანის არე 1813 წლამდე ცარიელი, მოურთავი ყოფილიყო. 1670-იან წლებში ათონზე იწყება ქართველთა მონასტრის ერთგვარი გამოცოცხლება, აქტიურად მოიხსენიება სამუხრანბატონო შტოს წარმომადგენელი აშოთანი. მისი პიროვნების ღვაწლის შესწავლამ მომცა საფუძველი, მეფიქრა, რომ სწორედ აშოთან მუხრანბატონი უნდა ყოფილიყო მომგებელი აღნიშნული კომპოზიციისა, რაც, რასაკვირველია, გამყარებულია ისტორიული და სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლითა და ღრმად გააზრებით. აშოთანის ათონზე მოღვაწეობის პერიოდია 1672-1687წწ., რაც სავსებით ემთხვევა მცხეთაში დედა ღმრთისას სახის ტიმპანზე აღბეჭდვას.

აღსაყდრებული დედა ღმრთისას ანგელოზთა მიერ თაყვანისცემა საკმაოდ მრავალი ხნის წინ იღებდა სათავეს, კატაკომბების დროიდან მოყოლებული, ადრეულ შუა საუკუნეებში – 431 წელს – ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მისი კულტის დამკვიდრება, რამაც განაპირობა ტაძართა კედლებსა თუ ხატებზე, წიგნებზე, ჯვრებზე და ა. შ. მარიამის გამოსახულების აქტიურად ჩართვა ქრისტოლოგიურ სცენებსა თუ დამოუკიდებელი სახით. ცნობილია მისი გამოსახვის ძირითადი იკონოგრაფიული ტიპებიც – ოდიგიტრია, ელეუსა, პლატიტერა და სხვ. ნიშანდობლივია, საუკუნეების განმავლობაში მარიამის ხატებს სასწაულთმოქმედი ბუნება ჰქონდათ, რაც მის კულტს უფრო აღვივებდა და აძლიერებდა. ადრეულ ხანაში უფლის მტკირთველი დედა ღმრთისას სახე მოგვიანებით ზეციური დედოფლის, „ზებუნებრივი მფარველის“ ხატება, ვიზუალური ანალოგი გახდა, რომელიც გამარჯვებასთან, მეოხებასა და ხსნასთან ასოცირდებოდა. თან, თუ გავითვალისწინებთ ივერთა მონასტრის პორტაიტისას სახელით ცნობილ ხატს, რომელმაც სასწაულმოქმედი ბუნებით გაითქვა სახელი, ვფიქრობ, შემთხვევით არ დაუკავში-

რეს სვეტიცხოვლის ტაძრის დასავლეთ ტიმპანს. ათონის სინმიდების, ხელნაწერების და სხვათა შემსწავლელ მეცნიერთა ნააზრევებით საკმაოდ საინტერესო პარალელის დანახვაა შესაძლებელი. ათონი სახელდებულია, ვითარცა „ღმრთისმშობლის ბაღი“ (ეს სახელი დღემდე ასეა დამკვიდრებული და სათავეს XVI საუკუნის გარიჟრაჟზე იღებს) და ღმრთისმშობლის ხატები სასწაულთმოქმედი გადმოცემებით, ნარატივებით, მოიხსენიება ვითარცა ამ „ბაღის ყვავილები“. თუ გავიხსენებთ, „წმიდა ნინოს ცხოვრების“ მიხედვითაც, მეფემ სამეფო ბაღში ტაძრის აშენება გადანყვიტა და სწორედ აქ იქნა აღმოცენებული „სვეტი-ცხოველი“.

ამდენად, ცხადი ხდება აზრობრივი კავშირი ტრიუმფალური, საზეიმო კომპოზიცია დედა ღმრთისასი ქრისტეთი და მთავარანგელოზებით. სამოთხისეული გლორიფიკაციის გამოხატულება გვეგვება ტაძარში შესვლის წინ და შეგვიძღვის იმ სამოთხეში, სადაც იქნა აღმოცენებული და დაფუძნებული „სვეტი-ცხოველი“, ვითარცა ახალი „ხე სიცოცხლისა“ და უფლის კვართი დაიფლა, რომელსაც, გადმოცემების მიხედვით, მეორედ მოსვლისას შეიმოსავს მაცხოვარი.

For centuries, Svetitskhoveli Cathedral has stood as a significant reflection of the spiritual identity of the Georgian people, embodying their faith. Its importance is further reinforced by the presence of one of Christianity's most revered relics – the Robe of Christ, which has been enshrined at the heart of the temple. This sacred artifact has historically attracted pilgrims, benefactors, laborers, and, at times, adversaries, underscoring the site's exceptional spiritual and cultural importance. Since the 19th century, extensive research has been conducted on medieval Georgian ecclesiastical heritage, with contributions from both Georgian and international scholars. These academic endeavors not only enhance our understanding of Svetitskhoveli's historical and artistic value but also reflect the enduring spiritual and cultural legacy of past generations.

Not much has been written about the surviving paintings of Svetitskhoveli Cathedral. The purpose of the report is to analyze the triumphal composition depicted on the tympanum above the western entrance, with

the enthroned Virgin with Child, flanked by figures of the archangels – Michael and Gabriel, who are worshipping her. In the 19th century, researchers (A. Muravyov, A. Natroshvili) associated the image with the famous Portaitissa Icon. The cathedral gate itself is accompanied by an inscription in Mkhedruli, which mentions Varlam Exarchos of Mtskheta and all Georgia, son of David, the Duke of Ksani, along with the date –October 1, 1813. After that, unfortunately, researchers have not paid attention to this magnificent painting. For some reason, it is perceived as a work of the 19th century.

If we look at the current state of the gate, its southern wall contains a stone commemorating Catholicos Domentius, which naturally attracted the attention of historians and paleographers, indicating the date of his death as 1676. This gave scholars a basis for deciphering the history of the country and the temple itself. Domentius III, Catholicos Patriarch of Georgia (1660-1676), was a cousin of Vakhtang V, a representative of the Mukhrani branch of the Bagrationi dynasty. His personality is rightly considered by historians to be revered (Vakhushti, Monk Egnatashvili, Peshangi, Tedo Zhordania, etc.). Anton Natroshvili, in his only fundamental work on Svetitskhoveli, notes that in 1892 the artist I. Pitsch copied the painting of the altar and the western tympanum, which leads us to conclude that the glorification of the Virgin depicted on the tympanum could not have been created at the beginning of the same century; instead, it must have been painted much earlier. The theme of Mariology has always been significant in Georgia, making it unlikely that the tympanum area remained empty and undecorated until 1813. In the 1670s, a kind of revival of the Georgian monastery began on Mount Athos, and Ashotan, a representative of the Mukhranbatoni branch, was actively mentioned. The study of his personal achievements led me to believe that Ashotan Mukhranbatoni was likely the author of the aforementioned composition, a theory supported by extensive historical and scientific research. The period of Ashotan's activity on Mount Athos is 1672-1687, which completely coincides with the depiction of the Virgin's face on the tympanum in Mtskheta.

The worship of the enthroned Virgin by angels originated quite a long time ago, dating back to the time of the catacombs and continuing into

the early Middle Ages – culminating in the establishment of her cult at the Oecumenical Council of Ephesus in 431, which led to the active inclusion of the image of Mary on the walls of churches, on icons, books, crosses, etc., whether in Christological scenes or as an independent representation. It is known that the main iconographic types of her depiction include: Hodegetria, Eleusa, Platytera, etc. It is noteworthy that over the centuries the icons of the Virgin had a miraculous nature, which further stimulated and strengthened her cult. In earlier periods, the image of the Virgin as the Theotokos (God-bearer) evolved into that of the Heavenly Queen, the “Supernatural Protector,” becoming a visual symbol associated with victory, intercession and salvation. If we take into account the icon known as the Portaitissa of the Iveron Monastery, which became famous for its miraculous nature, I believe it is no coincidence that it was linked to the western tympanum of Svetitskhoveli Cathedral. According to the views of scholars studying the relics, manuscripts and other artifacts from Athos, an intriguing parallel emerges. Athos is called the “The garden of the Virgin” (this name has been established since the early 16th century), and the icons of the Virgin, in miraculous traditions and narratives, are referred to as the “flowers of this garden”. If we recall, according to The Life of Saint Nino, the king decided to build a temple in the royal garden, and rightly so, the “pillar of life” was erected here.

Thus, it becomes clear that the conceptual connection between the triumphal, solemn composition of the Virgin with Christ and the Archangels serves as an expression of heavenly glorification, welcoming us before we enter the temple and guiding us toward that paradise, where the “pillar of life” sprouted and was established, like a new “tree of life.” There, the robe of the Lord was buried – an object that, according to tradition, the Savior will wear at the Second Coming.



**ნიკიფორე ირბახის დიპლომატიური  
მისია რომში**

**(საკითხის ახლებური გაგება)**

**The Diplomatic Mission of Nikifor Irbakh  
to Rome  
(A New Understanding of the Issue)**

**მურმან პაპაშვილი**

**Murman Papashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** რომი, დიპლომატია, ირბახი, კათოლიკობა

**Keywords:** Rome, diplomacy, Irbakh, Catholicism

გამოჩენილ ქართველ საეკლესიო და კულტურის მოღვაწეს, ნიკიფორე ირბახს (ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი), 1626-1629 წლებში ქართლ-კახეთის მეფის, თეიმურაზ I-ის (1625-1632), დავალებით დასავლეთში დიპლომატიური მისიის შესრულებამ მოუწია. დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდძალი საარქივო მასალა (ესპანეთისა და ვატიკანის არქივებიდან) მოგვეპოვება ამ საკითხის შესასწავლად. როგორც ქართულ, ასევე უცხოურ ისტორიოგრაფიაში არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა ამ ელჩობის ამოცანებისა და მიზნების შესწავლას. მიუხედავად ამისა, ეს პრობლემა ბოლომდე შეუსწავლელია. ამასთანავე, უმეტესად ელჩობის მიზნები და ამოცანები გაზვიადებულად და არასწორადაა წარმოდგენილი, ხოლო ირბახის დიპლომატიურ ხერხებსა და უნარებს არასწორი შეფასებები ეძლევა.

ამჟამად ჩვენი ინტერესის საგანია იმის გარკვევა, თუ რატომ არ ეწვია თავიდანვე ირბახი რომის პაპს, ვიდრე მადრიდში ჩავიდოდა დიპლომატიური მოლაპარაკებების გასამართავად. იმდროინდელი დიპლომატიური პრაქტიკის თანახმად, მართლმადიდებელი ქვეყნის წარმომადგენლის დიპლომატიური მისია კათოლიკური ქვეყნის სუვერენთან მხოლოდ და მხოლოდ წმინდა ტახტის შუამავლობით ხდებოდა. ამ პრობლემის გარშემო ყველა წყაროს კრიტიკულმა ანალიზმა შემდეგ დასკვნამდე მიგვიყვანა:

პირველი, რადგან დიპლომატიური მისია მადრიდში არ შეიცავდა კონფესიური ხასიათის ელემენტებს, თეიმურაზ I-მა და ირბახმა უმჯობესად მიიჩნიეს, რომის პაპის გვერდის ავლით განეხორციელებინათ მისია ესპანეთის სამეფო კარზე. ამით ორივეს სურდა, თავიდან აეცილებინა ეკლესიათა უნიის საკითხზე რაიმე ვალდებულების აღება, რაშიც ორივე ცდებოდა. მადრიდში კი ირბახის დიპლომატიური მისიის მიზანი, მიეღწია ესპანეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური კავშირისათვის ირანის წინააღმდეგ, აღნიშნულის გარეშე (თუნდაც ფორმალური სახით) წინ ვერ წაინეჭდა.

მეორე, ნიკიფორე ირბახმა იერუსალიმში, საიდანაც გაემართა მისი ელჩობა მადრიდში 1626 წლის სექტემბრის შემდეგ, გაითვალისწინა აღნიშნული ფაქტორი და თვითონ დაწერა რომის პაპისადმი წერილი თეიმურაზ მეფის სახელით იერუსალიმში, რომელ-

შიც აღიარებდა პაპის პრიმატს ქრისტიანულ სამყაროში და თავს კათოლიკური სამყაროს შვილად მიიჩნევდა. ეს იყო სათადარიგო დიპლომატიური სვლა იმ შემთხვევისათვის, თუ მაინც მოუწევდა ირბახს რომის პაპთან ჩასვლა. სწორედ ამგვარმა არასწორმა დიპლომატიურმა ნაბიჯმა გამოიწვია ნიკიფორე ირბახის ელჩობის მიმართ როგორც მადრიდში, ასევე რომშიც ეჭვები, რომ ის არ იყო თეიმურაზ მეფის მიერ ელჩობის ამოცანებით გაგზავნილი დესპანი.

მესამე, მადრიდის სამეფო კარზე მოლაპარაკებების (1627 წლის ივლისიდან 1628 წლის იანვრის ბოლომდე) მსვლელობის დროს ნიკიფორე ირბახს პირდაპირ მიუთითეს, რომ ის უნდა ეწვიოს რომის პაპს და თავისი მეფის სახელით დადოს პირობა რომაულ-კათოლიკურ ეკლესიასთან უნიის შესახებ. ამის შემდეგ კი მიღწეული იქნებოდა საქართველო-ესპანეთს შორის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის გაფორმება. სწორედ ამ ფაქტორმა აიძულა ნიკიფორე ირბახი, სწვეოდა რომს, სადაც 1628 წლის იანვრის მიწურულიდან ამავე წლის აგვისტოს ბოლომდე ეწეოდა დიპლომატიურ მოლაპარაკებებს რომის პაპსა და წმინდა ტახტის სხვადასხვა რანგის წარმომადგენლებთან.

მეოთხე, მადრიდის მსგავსად, რომშიც ნიკიფორე ირბახი თავიდან არ აღიარეს თეიმურაზ მეფის ელჩის რანგში. ამ მდგომარეობიდან ის გამოიყვანა ორმა გარემოებამ: პირველი, ქართველთა მფარველისა და მეგობრის, ცნობილი პიეტრო დელა ვალეს მხარდაჭერამ და, მეორე, ნიკიფორე ირბახის მიერ კათოლიკობის აღიარებამ. ეს უკანასკნელი ფაქტი მოუთითებს იმაზე, რომ ნიკიფორე ირბახი არასოდეს სწავლობდა პროპაგანდის ბერძნულ კოლეჯში, როგორც ეს აღიარებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში.

მეხუთე, რომში, როგორც მადრიდში, ნიკიფორე ირბახის მისიის განვითარებამ ნათლად აჩვენა, რომ იგი მოკლებული არ იყო ავანტიურისტულ ელემენტებს, რაც ამ ელჩობას არ წარმოადგენს საუკეთესო კუთხით.

The prominent Georgian church and cultural figure Nikifor Irbakh (Nikoloz Cholakashvili) had to carry out a diplomatic mission to the West in 1626–1629 on behalf of the King of Kartli-Kakheti Teimuraz I (1625–1632). Today, Georgian historiography has extensive archival materials (from the archives of Spain and the Vatican) to study this issue. The research of the tasks and goals of this ambassadorial mission has been the subject of many interesting studies in both Georgian and foreign historiography. However, this problem has not been fully studied. At the same time, the goals and objectives of the mission are often exaggerated and distorted, and Irbakh's diplomatic methods and skills are underestimated.

We are now interested in finding out why Irbakh did not initially visit the Pope before arriving in Madrid for diplomatic talks. According to the diplomatic practice of that time, the diplomatic mission of a representative of an Orthodox country to the sovereign of a Catholic country was carried out exclusively through the mediation of the Holy See. Critical analysis of all sources devoted to this problem, led us to the following conclusion:

First, since the diplomatic mission to Madrid did not contain any confessional elements, Teimuraz I and Irbakh considered it expedient to carry it out at the Spanish royal court, bypassing the Pope. By doing so, both wanted to avoid making any commitments on the issue of church union, in which both were wrong. Without this, the goal of Irbakh's diplomatic mission in Madrid – achieving a Spanish-Georgian military-political alliance against Iran – could not have been realized (even formally).

Second, in Jerusalem, from where he went on a mission to Madrid after September 1626, Nikifor Irbakh took this factor into account and himself wrote a letter to the Pope on behalf of King Teimuraz in Jerusalem, in which he recognized the primacy of the Pope in the Christian world and considered himself a son of the Catholic world. This was a diplomatic backup move in case Irbakh had to turn to the Pope. It was this incorrect diplomatic move that raised suspicions regarding the diplomatic mission of Nikifor Irbakh both in Madrid and in Rome, that he was not an envoy of King Teimuraz on an ambassadorial mission.

Third, during the negotiations at the Madrid court (from July 1627 to the end of January 1628), Nikifor Irbakh was directly instructed to visit the

Pope and, on behalf of his king, promise union with the Roman Catholic Church. After this, the signing of a military-political alliance between Georgia and Spain would have been achieved. It was this factor that forced Nikifor Irbach to visit Rome, where from the end of January 1628 until the end of August of the same year he conducted diplomatic negotiations with representatives of various ranks of the Holy See.

Fourth, like Madrid, Rome initially did not recognize Nikifor Irbach as the ambassador of King Teimuraz. Two circumstances brought him out of this situation: Firstly, the support of the famous Pietro della Valle, patron and friend of the Georgians; and, secondly, the recognition of Catholicism by Nikifor Irbach. The latter fact indicates that Nikifor Irbakh never studied at the Greek College of Propaganda, as is recognized in Georgian historiography.

Fifth, in Rome, as in Madrid, the development of the mission of Nikifor Irbach clearly showed that it was not devoid of adventurous elements, which does not present this diplomatic visit in the best light.

**თანამედროვე ტექნოლოგიების  
გავლენა ეთნოლოგიურ კვლევებსა  
და ტრადიციულ კულტურებზე**

**The Impact of Modern Technologies on  
Ethnological Research and Traditional Cultures**

**ციცინო პაპიაშვილი**

**Tsitsino Papiashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული ტექნოლოგიები, ეთნოლოგია, ტექნოლოგიური გავლენა

**Keywords:** digital technologies, ethnology, technological impact

თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები, როგორებიცაა: სოციალური მედია, ვირტუალური რეალობა, ციფრული არქივები, ინტერნეტი და ქსელები, ღრმა გავლენას ახდენს მეცნიერების ყველა სფეროზე, მათ შორის ეთნოლოგიასა და ტრადიციულ კულტურებზე. ტექნოლოგიების ეს პროგრესული ევოლუცია გავლენას ახდენს ტრადიციული კულტურების აღქმაზე, გავრცელებასა და ავთენტიკურობაზე.

კვლევის მიზანია, შეისწავლოს თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების დადებითი და უარყოფითი გავლენა ეთნოლოგიურ კვლევებსა და ტრადიციული კულტურების განვითარების პროცესზე. კერძოდ, კვლევაში ყურადღება გამახვილებული იქნება იმაზე, თუ როგორ შეიძლება, ტექნოლოგიებმა ხელი შეუწყოს ტრადიციული კულტურების დაცვას, პოპულარიზაციასა და ავთენტიკურობის შენარჩუნებას თანამედროვე სამყაროში. განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა სოციალურ მედიასა და ციფრულ არქივებს, რომლებიც ზრდის წვდომას და საშუალებას იძლევა, რაც შეიძლება, ფართოდ გავრცელდეს ინფორმაცია ტრადიციულ კულტურებზე, მაგრამ ასევე შევსებით ავთენტიკურობის შენარჩუნების პრობლემებსაც.

კვლევის მეთოდებია: დოკუმენტური ანალიზი, ინტერვიუები, გამოკითხვის მეთოდი.

Modern digital technologies, such as social media, virtual reality, digital archives, the Internet, and networks, have a profound impact on all fields of science, including ethnology and traditional cultures. This progressive evolution of technologies influences the perception, dissemination, and authenticity of traditional cultures.

The aim of this research is to explore the positive and negative impact of contemporary digital technologies on ethnological research and the development of traditional cultures. Specifically, the study will focus on how technologies can contribute to the preservation, popularization, and maintenance of authenticity of traditional cultures in the modern world. Particular attention will be given to social media and digital archives, which increase accessibility and allow for widespread dissemination of information about traditional cultures, but the study will also address the challenges related to preserving authenticity. The research methods include: document analysis, interviews, and surveys.

# **სიცოცხლე სიყვარულსა და შიშს შორის**

## **Life between Love and Fear**

**ვალერიან რამიშვილი**

**Valerian Ramishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სიყვარული, შიში, ადამიანი, მეტაფიზიკა, ჰაიდეგერი

**Keywords:** love, fear, human, metaphysics, Heidegger



ადამიანის სიცოცხლე შეიძლება დახასიათდეს როგორც ყოფნა დაბადებასა და სიკვდილს, სიკეთესა და ბოროტებას, სამართლიანობას და უსამართლობას, შიშსა და სიყვარულს, შიშსა და იმედს შორის. მაგრამ მხოლოდ სიყვარული და შიში არის უმთავრესი, მათ გარეშე არაფერი არ ხდება ადამიანის ცხოვრებაში. შიშს დღეს განიხილავენ მხოლოდ როგორც ფსიქიკურ და ფიზიოლოგიურ მოვლენას და ებრძვიან სამდიცინო საშუალებებით, თუმცა შიშის ფენომენი გამოიყენება ადამიანის, მასების მანიპულაციისათვის. ამავე დროს ადამიანი ივიწყებს ექსისტენციალურ შიშს, როგორც მეტაფიზიკურის განცდის ფორმას. ჩვენ გვაინტერესებს სიყვარული, შიში და იმედი როგორც არა მარტო ონტიური ფენომენები, არამედ როგორც მეტაფიზიკური და თეოლოგიური ფენომენი, როგორც ექსისტენციალი, რომელშიც ყველაზე უკეთ ვლინდება ადამიანის წარმოდგენა იმ სამყაროზე, რომელშიც არსებობს, და, ამასთანავე, დამოკიდებულება საკუთარი სიცოცხლისა და სამყაროს მიმართ. მათში ვლინდება ადამიანის მეტაფიზიკური პოზიცია. სამყაროს პირველადი აღმოჩენა ჩვენს განწყობილებას უნდა მივანდოთ. ადამიანის სიცოცხლე არის ყოფნა „დაბადების მოლოდინით გამონვეული უსიტყვო სიხარულსა, თრთოლვას და სიკვდილის მექარით მოგვრილ კანკალს შორის“ (ჰაიდეგერი).

შიში არის ბოროტების მოლოდინი (არისტოტელე). უნდა განვასხვავოთ შიში, რომელიც მოდის გარედან, როგორც მექარა, და შიში, რომელიც ამოიზრდება ადამიანის ყოფიერების წესიდან, რომელსაც შეიძლება ექსისტენციალური შიში ვუწოდოთ. ადამიანში არსებული შიშის საფუძველია სიკვდილი – ადამიანის უსაკუთრივესი შესაძლებლობა, რომელიც ადამიანს პრინციპულად შეაგრძნობინებს სიმართლევს. სიკვდილში ვერავინ შეგენაცვლება. კვდები მხოლოდ შენ, ახლა შენი დროა, დატოვო სამყარო. სიკვდილი ნიშნავს დავინწყებას, ამიტომ სთხოვს ადამიანი ღმერთს: „ღმერთო, არ დამივიწყო“. ადამიანს, ასევე, ეშინია მარტოობის, ამიტომაც ამბობს: „ღმერთო, არ მიმატოვო“. შიში არის უცნობის, გაუგებარის, გაცნობიერების და მასთან დამოკიდებულების პირველადი ფორმა, რომელიც სიცოცხლის უკან დაინახავს სიკვდილს, არარას და არა ყოფიერებას. ადამიანს ეშინია იმის, რაც მისთვის უცხო, გაუგებარი,

მიუწვდომელია, მაგრამ ადამიანს აშინებს ის, რაც მან იცის – ეს არის სიკვდილი და კიდევ უფრო იმის არცოდნა, რა არის სიკვდილის შემდეგ. ადამიანს ეშინია ამ სამყაროში სიცოცხლის და, ამავე დროს, უყვარს ეს სამყარო და ამ სამყაროში – სიცოცხლე.

ადამიანი ეძებს საშუალებას, რაც მას დაეხმარება შიშის ფენომენის ახსნაში, შიშის განცდის შემცირებაში ან საერთოდ გაქრობაში. ფილოსოფია და რელიგია ცდილობენ, ადამიანს მისცენ იმედი და სიყვარული, რომლითაც იგი დაუპირისპირდება შიშს. ადამიანი სამყაროსა და შიშს უპირისპირებს სიყვარულსა და იმედს. ადამიანს აქვს არჩევანი: იცხოვროს სიცოცხლის სიყვარულით, ანდა ეშინოდეს სიცოცხლის. ქრისტიანობა ცდილობს, სიყვარული და შიში ერთმანეთს დააშოროს და ღმერთს წარმოიდგინს მხოლოდ სიყვარულის სახით. ადამიანი განიცდის შიშს, მაგრამ ვერ ხედავს შიშის დადებით მხარე, რომელსაც იგი ღმერთისკენ მიჰყავს. სიკვდილის შიში არის საკუთარი სიცოცხლისადმი სიყვარულის გამოვლინება, მაგრამ, მეტაფიზიკური ასპექტით, ამ სიყვარულში პირველადია ღმერთის სიყვარული, როგორც სიცოცხლის საწყისის, და ნამდვილი სიცოცხლის მიმართ. ამიტომ შიში კეთილი საქმეა ადამიანისთვის, რომელიც ღმერთს დაშორდა, რადგან „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

ჩვენ ვხედავთ, ვიცით და ბევრი რამ გვესმის სიყვარულზე, მაგრამ არაფერი ვიცით სიყვარულის შესახებ. ეს არის სამყაროს უდიდესი ამოუხსნელი საიდუმლო! შემთხვევითი არ არის, რომ მ. შელერი საუბრობს „ორდო ამორისზე“. როცა სიტყვა „სიყვარულს“ ვამბობთ, არ ვგულისხმობთ რაიმე კონკრეტულ სიყვარულს: მამრობითი და მდედრობითი სქესის, მშობლებისა და შვილების, ან ოჯახის, ქვეყნის, სახელმწიფოს სიყვარულს. სიყვარულის ცნება მოიცავს ყველაფერს – დაწყებული უცხო ადამიანების მიმართ ღიმილიანი თანაგრძნობიდან დამთავრებული ღმერთის სიყვარულით. სიყვარული არის სიცოცხლის, სინამდვილის უპირობო მიღება და ნდობა. სიყვარულის საწყისისეული მდგომარეობა არის შინაგანი სინამდვილე. ღმერთი სწორედ ასეთ სიყვარულს მოითხოვს.

სიკვდილის შიშისგან ამოიზრდება ღმერთის, როგორც მხსნელისა და სიცოცხლის წყაროს, სიყვარული. სიკვდილის შიში დაიძ-

ლევა მარადიული სიცოცხლის სიყვარულით, რომელიც არის ღმერთის სიყვარული. ჩვენ უნდა ვიყოთ ღმერთთან, რათა გავიმარჯვოთ შიშზე. ღმერთი მარადიული სიცოცხლეა, მაგრამ ეს რომ იწამო, თვითონ უნდა გიყვარდეს მთელი სულით, გულით და რაშიც ხელს გიშლის მცირედმორწმუნეობა („რად გეშინით მცირედმორწმუნე-ნო?“ – მათე 8,26).

ადამიანმა დაივიწყა ღმერთი, ყოფიერება. იგი აღარ ფიქრობს ღმერთზე, მან დაავიწყდა შიში ღმერთის წინაშე. ღმერთისა და ყოფიერების შესახებ აზროვნების განახლება შეიძლება დავიწყოთ სიყვარულის და შიშის ფენომენის განხილვით. შიში და ძრწოლა, უპირველესად, მეტაფიზიკური განცდაა და ადამიანს აჩვენებს არარას შესაძლებლობას, რომ იგი არარას ჩრდილში იმყოფება, რომელიც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია მისი სიცოცხლის ძაფზე (ჰაიდეგერი). ყოფნა სიკვდილისაკენ, როგორც სიკვდილის თემატიზაცია, არის რწმენისა და აზროვნების მეშვეობით მის მიმართ შეგნებული დამოკიდებულების გამომუშავება, რაც განსაზღვრავს ადამიანის ამქვეყნიურ ცხოვრებას.

Human life can be characterized as being between birth and death, good and evil, justice and injustice, fear and love, fear and hope. But only love and fear are the most important, without them nothing happens in human life. Fear today is considered only as a mental and physiological phenomenon and is fought with medical means, although the phenomenon of fear is used to manipulate people, the masses. At the same time, man forgets about existential fear as a form of understanding of metaphysical. We are interested in love, fear and hope not only as ontic phenomena, but also as metaphysical and theological phenomena, as existential, in which the human idea of the world in which he exists, his attitude towards his own life and the world, the nature of the relationship between man and the world are best revealed. They reveal the metaphysical position of man. Heidegger said: we must entrust the initial discovery of the world to our mood. Human life is a being “between the speechless joy caused by the expectation of birth, the awe and the trembling caused by the threat of death” (Heidegger M.).

“Fear is defined as the expectation of evil” (Aristotle). Fear accompanies a person throughout his life. We must distinguish between fear that comes from the outside, as a threat, and fear that grows out of the human way of being as a unique possibility, which we can call existential fear. The basis of fear in a person is death – a unique human possibility, which makes a person fundamentally alone. No one can replace you in death. Only you die, now is your time to leave this world. Death means forgetting, so man says to God: “God, do not forget me.” Man is also afraid of loneliness, so he says: “God, do not leave me.” Fear is not only an expression of the instinct of self-preservation but is one of the expressions of human finitude. Fear is the primary form of awareness and the attitude towards the unknown, the incomprehensible for a person. The Fear behind the life sees death, nothingness, and not the Being. Man is afraid of what he does not know, but man is also afraid of what he does know – this is death, and even more so of not knowing what is after death. Man is afraid of life in this world and, at the same time, he loves this world and life in this world. Man is looking for a means that will help him explain the phenomenon of fear, reduce the feeling of fear or make it disappear altogether. Philosophy and religion try to give man hope and love with which he will confront fear. Man confronts the world and fear with love and hope. Man has a choice: to live with love or to be afraid of life.

Christianity tries to separate love and fear and presents God only in the form of love. A person experiences fear, but does not see its positive side, which leads him to God. The fear of death is a manifestation of love for one’s own life; but from a metaphysical aspect, the primary thing in this love is the love of God as the origin of life and true life. Therefore, fear is a good thing for a person who has separated from God, because “from fear sprouts love.” We see, know and hear a lot about love, but we know nothing about love. This is the greatest unsolved mystery of the world! It is no coincidence that M. Scheler speaks of the “Ordo Amoris”. When we say the word “love”, we do not mean any specific love: love between male and female, between parents and children, or love of family, country, state. The concept of love includes everything: beginning from sympathy and a smile to strangers and ending with love for God. Love is the unconditional

acceptance and trust in life, reality. The initial state of love is to be in a state of inner purity. This is the kind of love God requires. From the fear of death grows the love of God as the Savior and the source of life. The fear of death is overcome by the love of eternal life, which is in the love of God. We must be with God to overcome fear. God is eternal life, but to believe in this, you must love God with all your soul and heart. And what does your little faith prevent you from doing? "You of little faith, why are you so afraid?" (Mt. 8, 26).

Man has forgotten God, Being, no longer thinks about God, and man has forgotten fear before God. We can begin to renew thinking about God, about Being, by considering the phenomena of love and fear. They are primarily metaphysical phenomena and show a person the possibility of nothingness, that he is in the shadow of nothingness, which, like the sword of Damocles, hangs on the thread of his life (Heidegger). Being towards death, as the thematization of death, is the development of a conscious attitude towards it through faith and thought, which determines a person's life in this world.

**„პოსტსაბჭოთა“ პოეტური თაობის  
თემატურ-შინაარსობრივი გეზის  
განსაზღვრისათვის**

**Defining the Thematic and Substantive Direction  
of the “Post-Soviet” Poetic Generation**

**ქეთევან სამადაშვილი**

**Ketevan Samadashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
გრიგოლ წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Grigol Tsereteli Library

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** „პოსტსაბჭოთა“ თაობა, ლირიკა, პოეტური ტენ-  
დენციები

**Keywords:** “post-Soviet” generation, lyrics, poetic tendencies

ქართული ლიტერატურის განვითარება მჭიდროდ უკავშირდება მსოფლიო ლიტერატურულ პროცესებს. ეროვნულ ლიტერატურათა ბედის დაახლოება, კარჩაკეტილობიდან გასვლა, კონტაქტების დამყარება – ბუნებრივი მოვლენაა. დღეს უკვე წარმოუდგენელია ვისაუბროთ რომელიმე ერის ლიტერატურული პროცესის იზოლირებულად განვითარებაზე. არც ქართული ლიტერატურაა გამონაკლისი. თუმცა ძნელი, თითქმის შეუძლებელია, განისაზღვროს, ურთიერთშერწყმის პროცესში რა წილი უნდა ედოს ეროვნულ ტრადიციულსა და საერთოს, ინტერნაციონალურს. თეორიული თვალსაზრისით ამდაგვარი ნორმების დაწესება უაზრობაა.

XX საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლები ქართულ ლიტერატურაში მნიშვნელოვნად გარდამტეხი პერიოდი იყო, რომელიც სამოქალაქო ომისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების ფონზე მიმდინარეობდა. აღნიშნული პერიოდის ქართულ ლიტერატურულ ასპარეზზე გამოსულ თაობას სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ: „პოსტსაბჭოთა“, „ომისშემდგომი“, „დაკარგული“, „გატეხილი“, „გაბზარული“... ამავსე თაობის თვალსაჩინო წარმომადგენელი შოთა იათაშვილი 90-იანელებს „გაცვეთილ თაობას“ უწოდებს.

უკანასკნელი განსაზღვრება ყველაზე ზუსტად ასახავს „რკინის ფარდის“ მიღმა გამოზრდილ და იდეოლოგიათა რღვევის ფონზე დაღვინებულ თაობას. გამოვლილი ომების თანმდევმა სულიერმა კრიზისმა, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურმა დაძაბუნებამ, გლობალური სიახლეებისთვის ფეხის აწყობისა და, ხშირ შემთხვევაში, უარყოფის მცდელობამ შესაბამისი მხატვრული ასახვა პოვა ლიტერატურაში.

საანალიზო საკითხის მიზანია, საბჭოთა ცენზურისგან თავდახსნილი ლიტერატურის, XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ქართული ლირიკის თემატურ-შინაარსობრივი გეზის განსაზღვრა.

90-იანელთა პოეტური შემოქმედების კვლევისას აქტუალობას არ კარგავს გავლენათა და პარალელთა ძიება, რაც თავისთავად გულისხმობს ახლებური ხედვებისა და შეფასებების გამოვლენას.

ნაშრომის სიახლეა ინტერკულტურული იზოლაციის რღვევის, ფართო შესაძლებლობებისა და საასპარეზო სივრცეების გახსნის

კვალდაკვალ ლირიკულ პოეზიაში თემატური გამრავალფეროვნებისა და ახალი ვერსიფიკაციული ტენდენციების გამოვლენა, ნოვაციებისა და თვითდამკვიდრების გზების ძიება.

ნაშრომში გათვალისწინებულია, რომ ლიტერატურის „გავლენების“ თანამედროვე გაგება გარკვეულწილად განსხვავდება ტრადიციულისგან – საკუთარი სტილის პოვნის პერიოდში შემოქმედს მისაბაძი ავტორის სტილით წერაც ეპატიება.

სოციოკულტურული პრობლემატიკა და პოსტმოდერნისტული მისწრაფებები 90-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში ახალფეხადგმული თაობის წარმომადგენელთა უმთავრესი სამსჯელო საკითხებია. ანდრო ბუაჩიძის, ირაკლი კაკაბაძის, ნინო სადღობელაშვილის, ლელა ცუცქერიძის, რატი ამალლობელისა და „პოსტსაბჭოთა თაობაში“ მოაზრებულ სხვა პოეტთა ნაწარმოებებში აქტიურად განიხილება პიროვნების სულიერი ტრანსფორმაციისა თუ პიროვნების საზოგადოებასა და ეპოქასთან დაპირისპირების თემები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, ოთხმოცდაათიანელ პოეტთა თვითდამკვიდრებისა და შემოქმედებითი ტენდენციების კვლევა მეტად საშური და მნიშვნელოვანი საქმეა.

The development of Georgian literature is connected with world literary processes – establishing contacts is a natural phenomenon. Today it is already unthinkable to talk about the development of the literary process of any nation in isolation. Georgian literature is no exception. It is impossible to determine the place of the traditional and the international. From a theoretical point of view, establishing such norms is unacceptable.

The last decade of the 20th century was an important period in Georgian literature. It came after the civil war and the declaration of independence. The generation that emerged on the Georgian literary scene is called: “post-Soviet,” “lost,” “broken,” “cracked”...

The crisis of the past wars, the political and economic weakening of the country, global innovations were reflected in literature.

The purpose of the topic is to study the thematic and content themes of Georgian lyric poetry of the 1990s.



The novelty of the work is the identification of thematic and versification tendencies in poetry, the search for innovations.

The work assumes that the modern understanding of the “influence” of literature differs from the traditional one.

Sociocultural and postmodernist themes are the main issues of discussion in Georgian literature of the 90s. Andro Buachidze, Irakli Kakabadze, Nino Sadghobelashvili, Lela Tsutskiridze, Rati Amaglobeli and other poets actively write about the spiritual transformation of a person.

Based on the above, the study of poets of the 90s is an important task.

**ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო  
მემკვიდრეობის სტრუქტურა და იერარქია**

**The Structure and Hierarchy of  
Ivane Javakhishvili's Scientific Legacy**

**დავით სართანია**  
**David Sartania**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University Museum

**საკვანძო სიტყვები:** ივანე ჯავახიშვილი, მემკვიდრეობა, სტრუქტურა,  
იერარქია

**Keywords:** Ivane Javakhishvili, legacy, structure, hierarchy

ივანე ჯავახიშვილს, როგორც ერთ წერილში ამბობს, ადრეული ასაკიდანვე საქართველოს ისტორია აინტერესებდა. ამ თემას მან მიუძღვნა კიდეც ნაშრომთა სერია, რომელსაც უწოდა „ქართველი ერის ისტორია“. იგი მას თავდაპირველად ჩაფიქრებული ჰქონდა 4 წიგნად, მაგრამ შემდეგში 5-წიგნეულად იქცა, თუმცა მისი დასრულება ვერ მოასწრო. ნაშრომთა აღნიშნული სერია იწყებოდა უძველესი დროიდან და მთავრდებოდა XVIII საუკუნით. ამ ნაშრომს იგი პერიოდულად აფართოებდა და ამის გამო მას დაუგროვდა დიდძალი მასალა. ამიტომ მან საქართველოს ისტორიის უძველესი საკითხების გარკვეული წრე გამოაცალკევა და მათი 3 წიგნად გამოცემა განიზრახა. ამ სერიას უწოდა „ქართველი ერის ისტორიის შესავალი“. შედლო მხოლოდ მეორე წიგნის გამოცემა („ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა“). პირველი წიგნი უნდა ყოფილიყო „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-გეოგრაფიული და ეთნოლოგიური პრობლემები“, ხოლო მესამე „ქართველთა და კავკასიელთა უძველესი ხანის კულტურული ვითარება“ ენისა, ზნე-ჩვეულებებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით.

ამდენად, ამ ორ სერიას ერთმანეთთან ქრონოლოგიური იერარქია აკავშირებთ: უძველეს ხანას, რომელიც დამწერლობამდელ პერიოდს გულისხმობს, აშუქებს სერია, რომელსაც მეცნიერმა უწოდა „ქართველი ერის ისტორია“, ხოლო მას მოსდევს უკვე წერილობითი წყაროებით დადასტურებული „ქართველი ერის ისტორია“.

„ქართველი ერის ისტორიის შესავლის“ სამწიგნეული სულაც არ არის ივანე ჯავახიშვილის მიერ აგებული საისტორიო შენობის საფუძველი. ასეთად მას საერთოდ საისტორიო მეცნიერების შესავალი მიაჩნდა, რომელსაც უწოდა „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა“. ავტორს იგიც სამ წიგნად ჰქონდა ჩაფიქრებული, რომლის პირველი წიგნი „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ დაიბეჭდა 1916 წელს. დანარჩენი მეორე და მესამე წიგნები შემდეგ უნდა გამოქვეყნებულიყო, რომელთა შესახებ მეცნიერი წერდა: „მეორე წიგნი ორნაწილედი იქმნება. პირველს ნაწილში საქართველოს და ქართველთა ისტორიის დანარჩენი წყა-

როები იქნება განხილული, ხოლო მეორე ნაწილში – კი უცხოეთის საისტორიო მწერლობის განვითარების მიმოხილვა მოთავსდება. ამ მიმოხილვაში ჩვენი მეზობლების ბერძენ-ბიზანტიელთა, სომეხთა და სპარსთა საისტორიო მწერლობის განხილვას განსაკუთრებული ადგილი ექმნება დათმობილი. მესამე წიგნში გამორკვეული იქმნება „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ თანამედროვე მეცნიერებისდა მიხედვით“.

მეცნიერმა მეორე წიგნის მეორე ნაწილის მხოლოდ ერთი ნაკვეთის დაწერა მოასწრო და ისიც მხოლოდ ნაწილობრივ („ძველი სომხური საისტორიო მწერლობა“). რაც შეეხება მეორე წიგნის პირველ ნაწილს, სადაც საქართველოს ისტორიის დანარჩენი წყაროები ანუ სიგელ-გუჯრები იქნებოდა განხილული, როგორც ამას საარქივო მასალები მოწმობენ, შესაძლოა, დაწერილი ჰქონდა, მაგრამ არ დაბეჭდილა და ხელნაწერმაც ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ამ სერიის მესამე წიგნში რამდენიმე ნაკვეთი იყო მოაზრებული, რომლებიც ისტორიის მეცნიერების თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხების გაშუქებას ისახავდა მიზნად. მათგან სამი ნაკვეთი (პალეოგრაფია, დიპლომატიკა და ნუმისმატიკა-მეტროლოგია) მეოცე საუკუნის ოციან წლებში გამოიცა კიდევაც, მაგრამ ამ სერიის კიდევ ერთი დაპირებული ნაშრომი, რომელიც საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის მონაცემების საფუძველზე საზოგადოების განვითარების ისტორიულ-ფილოსოფიურ განზოგადებას ითვალისწინებდა, ვერ მოასწრო.

ამათ გვერდზე არსებობს ცალკეული მონოგრაფიები, რომლებიც ცალკეულ სფეროებს (სამართალი, ეკონომიკა, კულტურა, მუსიკა, საზღვრები და სხვა) ეხებიან. მათ გვერდით უნდა მოვიხსენიოთ სახელმძღვანელოები, სამეცნიერო მოხსენებები, ლექსიკოლოგიური, ტექსტოლოგიური, ეპისტოლური მასალები, საუნივერსიტეტო და სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

Ivane Javakhishvili, as he says in one of his letters, was interested in Georgian history from an early age. He dedicated a series of works to this topic, which he called "The History of the Georgian Nation". He intended, from the outset, to structure it as four books, but later it became five. However, he could not manage to complete it. The mentioned series of works began in ancient times and ended in the 18th century. He periodically expanded this work, and as a result, he accumulated a large amount of material. Therefore, he separated a certain circle of ancient issues of Georgian history and planned to publish them in 3 books. He called this series "Introduction to the History of the Georgian Nation". He was only able to publish his second book ("The Original Nature and Affinity of the Georgian and Caucasian Languages"). The first book was supposed to be "Historical-Geographical and Ethnological Problems of Georgia, the Caucasus and the Near East", and the third – "The Ancient Cultural Situation of Georgians and Caucasians" based on language, customs, and archaeological materials.

Thus, these two series are connected by a chronological hierarchy: the ancient era, which refers to the pre-literate period, is covered by the series that the scientist called the "History of the Georgian Nation". It is followed by the "History of the Georgian Nation", which is already confirmed by written sources.

The three-volume "Introduction to the History of the Georgian Nation" is not at all the basis of the historical edifice built by Ivane Javakhishvili. He considered the introduction to historical science to be such a foundation, which he called "The Purpose, Sources, and Methods of History Past and Present". The author had also conceived it as three books, the first of which, "Ancient Georgian Historical Writings", was published in 1916. The remaining second and third books were to be published later, about which the scientist wrote: "The second book will be divided into two parts. The first part will discuss the remaining sources of the history of Georgia and the Georgians, while the second part will include an overview of the development of foreign historical writing. This review will devote special attention to the historical writings of our neighbors, the Greek-Byzantines, Armenians, and Persians. The third book will explore

‘the purpose, sources, and methods of history’ according to modern science.”

The scholar managed to write only one section of the second part of the second book, and even that only partially (“Ancient Armenian Historical Writing”). As for the first part of the second book, where the remaining sources of Georgian history, or the charters, would have been discussed, as evidenced by archival materials, it may have been written, but it was not printed and the manuscript has not reached us.

The third book in this series included several sections aimed at covering theoretical and methodological issues in the science of history. Three of them (Paleography, Diplomacy, and Numismatics-Metrology) were published in the 1920s, but another promised work in this series, which envisaged a historical-philosophical generalization of the development of society based on data from the history of Georgia, the Caucasus, and the Near East, failed to materialize.

Alongside these, there are separate monographs that deal with specific areas (law, economics, culture, music, borders, and others). We should also mention textbooks, scientific reports, lexicological, textological, epistolary materials, as well as other materials which reflect his work at the University, and his community activities.

# **ქართული ქრისტიანული გალობა და ძველი სანოტო სისტემა**

## **Georgian Christian Chant and the Old Notation System**

**ნესტან სულავა**  
**Nestan Sulava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ნმ. გრიგოლ ხანცთელი, მიქაელ მოდრეკილი, ნმ.  
გიორგი მთაწმინდელი, გალობა

**Keywords:** St. Grigol of Khandzta, Michael Modrekili, St. George of Mtatsminda  
(Athonite), chant

საეკლესიო გალობის მუსიკალური რაობის, მუსიკალური ფენომენის შესწავლისას შესასწავლია ქრისტიანული გალობის განვითარების გზა, რასაც წერილობითი წყაროები გადმოგვცემენ, მაგრამ მათში დაცული ცნობები ძალიან მწირია. გალობის მატერიალიზება ერთჯერადი აქტია, რის გამოც გალობა ზეპირად გადაიცემოდა.

ქართველი ერის მუსიკალური აზროვნება ისევე ძველია, როგორც ქართული სიტყვა, ლექსი, ცეკვა, მითოპოეტური სამყარო, ფოლკლორი. საქართველოს კულტურულ სივრცეში გალობის მრავალხმიანობა დამკვიდრდა როგორც ქართველი ერის ცნობიერების ერთ-ერთი საფუძველთაგანი. დაისმის კითხვა, რა დროიდან უნდა განვითარებულიყო მრავალხმიანობა ქართულ საერო მუსიკალურ სისტემაში და როდის უნდა შესულიყო იგი ქრისტიანულ ეკლესიაში. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ ქართული სიმღერისა და უძველესი საკულტო საგალობლების მრავალხმიანობა საუკუნეთა სიღრმეებიდან, ქრისტიანობამდელი მუსიკალური სისტემიდან იღებს სათავეს. შესაბამისად, ქრისტიანული გალობის მრავალხმიანობა ეროვნულ საფუძვლებს დაემყარებოდა.

ბიზანტიაში VII-VIII საუკუნეებიდან შემოდის ნევმური, ანუ სანოტო სისტემა, რომლის სათავეებთან წმ. იოანე დამასკელი დგას. ქართულ ნევმურ სისტემას ჰქონდა თავისი არსებითი ხასიათი და პრინციპი – ნევმების სტრიქონსზედა და სტრიქონსქვედა ხაზებზე განთავსება იმგვარად, რითაც არსებითად განსხვავდება ბიზანტიურისაგან. საგალობო ნევმური სისტემის უძველესი ნიმუშები შემონახულია X საუკუნის ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკულ კრებულებში: ორ სინურ იადგარში Sin. 1, Sin. 14, შატბერდში 978-988 წლებში მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საწელიწადო იადგარში S-425 და XI საუკუნის ე.წ. იორდანეს ძლისპირთა და ღმრთისმშობლისანთა კრებულში – A-603.

საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისთანავე დაიწყო ყოველივე ქრისტიანულის გაქართულება, მათ შორის გალობისაც და ქართულ საეკლესიო გალობაში ისევე შევიდა მრავალხმიანობა, როგორც ქართულ ორიგინალურ ჰიმნოგრაფიაში ქართული საერო ლექსის მრავალსაუკუნოვანი ფორმები, კერძოდ, თექვსმეტმარცვლოვანი შაირი, ფისტიაკური



და სხვანი; აგრეთვე, ქრისტიანულ ხუროთმოძღვრებაში ანტიკური არქიტექტურის ელემენტები. ქართული საეკლესიო გალობის გამრავალხმიანების პროცესი უნდა დასრულებულიყო VIII საუკუნეში, როდესაც ბიზანტიურ ჰიმნოგრაფიაში დამთავრდა სამგალობლო რეფორმა; სამგალობლო რეფორმა საქართველოში ეტაპობრივად განხორციელდა.

მრავალხმიანობის კანონიზება წმ. გრიგოლ ხანძთელის სახელს დაუკავშირდა. მის მიერ ლიტურგიკასა და ჰიმნოგრაფიაში ჩატარებული რეფორმა ეროვნული ხასიათისა იყო. მან შექმნა ქართული ეკლესიის კანონმდებლობა, მოამზადა ქვეყნის ერთიანობის იდეოლოგიური საფუძველი, ჩაატარა საბოლოო რეფორმა ქართულ საეკლესიო გალობაში და მოახდინა მისი პოლიფონიურობის კანონიზება, რითაც გარდატეხა შეიტანა ქართველი ერის სულიერ ცხოვრებაში, როდესაც IX საუკუნის 20-30-იანი წლების მიჯნაზე შექმნა „საწელიწდო იადგარი“. ამას წინ უძღოდა VIII საუკუნის დამდეგს წმ. იოანე დამასკელის მიერ ჩატარებული სამგალობლო რეფორმა, რის შედეგადაც ბერძნულში დაიწყო საგალობელთა ნევმირებული ჩანერა მისი უკეთ დახსომების მიზნით; მის კვალდაკვალ ქართველმა მგალობელ-ჰიმნოგრაფებმა ნევმირების პრინციპი მალევე აითვისეს. შეიქმნა მეხური (ხმით შესასრულებელი) საწელიწდო იადგარები, შემკული მუსიკალური ნიშნებით, ანუ ნევმებით. ხომ არ ნიშნავს მეხურობა მრავალხმიანობას? მიქაელის იადგარის მონაცემები ამას უნდა მიუთითებდეს, რაზეც გვაქვს საუბარი მოხსენებაში. ჩვენი კვლევის სიახლე ისაა, რომ ნევმირებულ საგალობელთა შესახებ გამოყენებული ტერმინი „მეხური“, სხვა მნიშვნელობასთან ერთად, ქართული გალობის მრავალხმიანობას უნდა აღნიშნავდეს.

საქართველოში ნევმირება, სანოტო ნიშნების გამოყენება, განაპირობა ქართული გალობის სხვათაგან, კერძოდ, ბიზანტიური, სირიული, სომხური გალობების ხასიათისაგან განსხვავებამ.

ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობას მოწმობს წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკა ანტიოქიის პატრიარქთან, როდესაც ქართული ეკლესიის სამოციქულო წილხვედრილობა და მრავალსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა დაასაბუთა. ქართული გალობის მრავალხმიანობის კანონიკურობა აღიარებული რომ

არ ყოფილიყო, ანტიოქიის პატრიარქი საქართველოს ეკლესიას ლიტურგიის არაკანონიკურობაში დასდებდა ბრალს. წმ. გიორგი მთაწმიდელი ქართულ გალობას მრავალხმიანად რომ აღიქვამს, ამას მოწმობს გიორგი მცირის ჰაგიოგრაფიული თხზულების ტექსტის ის ეპიზოდი, რომელშიც მოთხრობილია წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ ოთხმოცი ობოლი ბავშვის ბერძნულად გალობა ბიზანტიის კეისრის წინაშე, რომელმაც იცოდა ქართული და ბერძნული გალობების სხვადასხვაობა.

შეიქმნა სამგალობლო ტერმინოლოგიაც, რომელიც საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თვალსაზრისით XII საუკუნეში განაზოგადა იოანე პეტრიწმა, როდესაც ქართული გალობის სამხმიანობა გამოხატა ტერმინებით „მზახრ, ჟირ, ბამ“.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში აუცილებელი გახდა საგალობლების ჩაწერა ნოტებზე, რათა არ დაკარგულიყო საგალობელთა მელოდიის ცოდნა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვით ფილიმონ ქორიძეს, ექვთიმე კერესელიძეს, ძმებს კარბელაშვილებს, რაჟდენ ხუნდაძეს.

When studying the musical nature, musical phenomenon of church chanting, it is necessary to study the path of development of Christian chants, which is conveyed to us by written sources, but the information preserved in them is very scarce. The materialization of chanting is a one-time act, which is why chants were transmitted orally.

The musical thinking of the Georgian nation is as old as the Georgian word, verse, dance, mythopoetic world, folklore. In the cultural space of Georgia, the polyphony of chanting has established itself as one of the foundations of the consciousness of the Georgian nation. The question arises, from what time polyphony should have developed in the Georgian secular musical system and when should it have entered the Christian church. It is certain in the scientific literature that the polyphony of Georgian song and ancient cult hymns originates from the depths of centuries, from the pre-Christian musical system. Accordingly, the polyphony of Christian chanting was based on national foundations.

In Byzantium, from the 7th-8th centuries, the nevm, or notational system, was introduced, the founder of which was St. John of Damascus. The Georgian nevm system had its own essential character and principle – the placement of nevm on the lines above and below the line in a way that essentially differs from the Byzantine one. The oldest examples of the hymnal nevm system are preserved in the hymnographic-liturgical collections of the 10th century: in the two Sinai Yadgars Sin. 1, Sin. 14, in the Satselitsdo Yadgar compiled by Michael Modrekili in Shatberdi in 978-988, S-425, and in the so-called 11th-century collection of the Jordanes of the Mighty Ones and the Mother of God – A-603.

As soon as Christianity was declared the state religion in Georgia, the Georgianization of everything Christian began, including chanting, and polyphony was introduced into Georgian church chanting, just as the centuries-old forms of Georgian secular verse, namely, the sixteen-gram shair, the pistikauri, and others, were introduced into the original Georgian hymnography; as well as the elements of ancient architecture into Christian architecture. The process of polyphonization in Georgian church chanting should have completed in the 8th century, when the chant reform in Byzantine hymnography was completed; the chant reform was implemented in Georgia in stages.

The canonization of polyphony is associated with the name of St. Grigol Khandzteli. The reform he carried out in liturgy and hymnography was of a national nature. He created the legislation of the Georgian Church, prepared the ideological basis for the unity of the country, carried out the final reform of Georgian church chant and canonized its polyphony, thereby bringing a turning point in the spiritual life of the Georgian nation, when at the turn of the 20s-30s of the 9th century he created the “Annual Hymn”. This was preceded by the hymnal reform carried out by St. John of Damascus at the beginning of the 8th century, as a result of which the neuminated recording of hymns began in Greek for the purpose of better memorization; following in his footsteps, Georgian chanter-hymnographers soon mastered the principle of neumination. Mekhuri (to be performed by voice) Satsuri Yadgars were created, decorated with musical signs, or neums. Does “mekhuri” mean polyphony? The data of Michael’s

Yadgari should indicate this, which is what we are talking about in the report. The novelty of our research is that the term “mekhuri” used for the neumirized hymns, along with other meanings, should denote the polyphony of Georgian chanting.

In Georgia, neumirization, the use of musical notation, determined the difference between Georgian chanting and other, namely, Byzantine, Syrian, and Armenian chanting.

The canonicity of the polyphony of Georgian chanting is evidenced by the polemic of St. Giorgi Mtatsmindeli with the Patriarch of Antioch, when he argued for the apostolic succession and centuries-old independence of the Georgian Church. If the canonicity of the polyphony of Georgian chanting had not been recognized, the Patriarch of Antioch would have accused the Georgian Church of the non-canonicity of the liturgy. The fact that St. Giorgi Mtatsmindeli perceives Georgian chanting as polyphony is evidenced by the episode in the text of the hagiographic works of Giorgi Mtsire, which narrates about Giorgi Mtatsmindeli presenting eighty orphaned children chanting in Greek before the Byzantine emperor, who knew the differences between Georgian and Greek chants.

Chanting terminology was also created, which was generalized from a theological and philosophical point of view in the 12th century by Ioane Petritsi, when he expressed the triphonic nature of Georgian chanting with the terms “mzakhr, zhir, bam”.

In the second half of the 19th century, it became necessary to record hymns on notes so as not to lose knowledge of the melody of the hymns, to which Filimon Koridze, Ekvtime Kereselidze, brothers Karbelashvili, and Razhden Khundadze made a great contribution.

# **გ. რაილის ცნობიერების პოსტმეტაფიზიკური ონტოლოგია**

## **G. Ryle's Postmetaphysical Ontology of Consciousness**

**მამია სურმავა**

**Mamia Surmava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პოსტმეტაფიზიკური, ონტოლოგია, ცნობიერება,  
გ. რაილი, დისპოზიციური პრედიკატი, მენტალური დისპოზიცია

**keywords:** post-metaphysical, ontology, consciousness, G. Ryle, dispositional  
predicate, mental dispositio

პოსტმატეფაზიკური აზროვნება, რომელიც ინტელექტუალურ ასპარეზზე XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე გამოდის, დღემდე ანალიტიკური და კონტინენტური ფილოსოფიების მეინსტრიმს შეადგენს. მიუხედავად ამისა, ეს ვითარება სრულებითაც არ გულისხმობს ტრადიციული ფილოსოფიიდან პოსტმეტაფიზიკურ ფილოსოფიაზე სრულად გადასვლას, ისევე როგორც აღნიშნული მიმართულებით განხორციელებულ უპრობლემო ტრანსფორმაციებს. ასეთ სიტუაციაში აქტუალური იყო და არის პოსტმეტაფიზიკური აზროვნების ყველა მნიშვნელოვანი მიღწევის სკრუპულოზური ფილოსოფიურ-ისტორიული ანალიზი და კრიტიკული შეფასება. ამ მხრივ გ. რაილის ცნობიერების ონტოლოგიური თეორიის „იმანენტური“ კვლევა ერთ-ერთი საგულისხმო ამოცანაა.

რაილის თანახმად, ტრადიციული ფილოსოფიისათვის ფუნდამენტური კატეგორიების მეტაფიზიკურ გაგებას „კატეგორიულ შეცდომებამდე“ მივყავართ, რომლებიც, თავის მხრივ, გადაუწყვეტელ ინტელექტუალურ აპორიებს წარმოშობენ და ენის კატეგორიული ანალიზის მეთოდზე დამყარებული კრიტიკის საგანი უნდა გახდნენ. ამასთან, კატეგორიული შეცდომის დომინანტურ სახეს პროპოზიციების კატეგორიული განსხვავების იგნორირება ანუ პროპოზიციების არამართებული კატეგორიული გაიგივება წარმოადგენს.

სწორედ ამგვარ კატეგორიულ შეცდომას ხედავს გ. რაილი ცნობიერების, როგორც „მოაზროვნე სუბსტანციის“, დეკარტისეულ ინტერპრეტაციაში, რომლის თანახმადაც ცნობიერება „განფენილი სუბსტანციის“ „გვერდით“ არსებობს და მასთან ურთიერთქმედებს. რაილის აზრით, „სუბსტანციებს“ შორის ეს ონტოლოგიური ანალოგია „თოვლი თეთრია“ და „ჯონი ჭკვიანია“ წინადადებებს შორის მოჩვენებით ლოგიკურ ანალოგიას და, მაშასადამე, ფიზიკური თვისების („თეთრი ფერი“) და მენტალური თვისების („ჭკვიანი“) კატეგორიულ იდენტიფიკაციას ემყარება. ამასთან, დეკარტი ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს. არისტოტელეს თვალთახედვითაც აღნიშნული პრედიკატები ერთ „უმაღლეს გვარს“ – თვისების კატეგორიას მიეკუთვნება. კანტის თვალსაზრისით კი, ორივე წინადადებას ერთი და იგივე ფორმალურ-კატეგორიული მახასიათებლები აქვს. თუმცა, რაილის აზრით, ამ წინადადებების შინაარსობრივი

ნათესაობისა და ფორმალური იგივეობის შთაბეჭდილება „ენობრივი ხაფანგია“: მას მათი გრამატიკული იზომორფიზმი წარმოქმნის, რომელიც პროპოზიციების ლოგიკურ სტრუქტურებს შორის არსებულ განსხვავებას მალავს.

გ. რაილი მკაფიოდ ახორციელებს, ერთი მხრივ, ამ წინადადებებს და, მეორე მხრივ, პრედიკატებს („თეთრი“, „ჭკვიანი“) შორის ლოგიკური განსხვავების ექსპლიცირებას. „ჭკვიანი“ დისპოზიციური პრედიკატია. ის აღნიშნავს არა მუდმივ, არამედ სიტუაციურად დამოკიდებულ თვისებას, რომელიც გარკვეულ ვითარებებში ვლინდება. დისპოზიციური ხასიათი აქვს ყველა მენტალურ ტერმინს, რომლებიც ცნობიერებას ახასიათებენ. დისპოზიციური პრედიკატების ლოგიკური სპეციფიკა იმით გამოიხატება, რომ გარკვეულ დამოკიდებულებას აღწერენ. მაგალითად, „ჯონი ჭკვიანია“ გაშლილი სახით ასე გამოიყურება: „თუ ჯონს მივცემთ ინტელექტუალურ ამოცანას, იგი მას ამოხსნის“. აქედან გამომდინარე, დისპოზიციური პროპოზიცია მხოლოდ გრამატიკულად განპირობებული ილუზიის ძალით წარმოდგება მარტივ კატეგორიულ პროპოზიციად, სინამდვილეში კი ის პირობითი პროპოზიციაა. ამიტომ მითითებული ორი პროპოზიცია ერთმანეთისაგან როგორც ფორმით, ისე პრედიკატების კატეგორიული სპეციფიკით განსხვავდება.

გ. რაილი მიუთითებს ეპისტემოლოგიურ განსხვავებაზეც: იმისათვის, რომ დავრწმუნდეთ, თოვლი თეთრია, საკმარისია ერთჯერადი დაკვირვება, ჯონის სიჭკვიანის დასადგენად კი დაკვირვებების რიგია საჭიროა, რათა თავიდან ავიცილოთ „ნაჩქარევი განზოგადება“. თუმცა დისპოზიციები არა მხოლოდ მუდმივი თვისებებისაგან, არამედ „ხდომილებებისგანაც“ განსხვავდება: ხდომილება დროში ლოკალიზებულია, დისპოზიცია კი – არა.

რაილისათვის, ლოგიკური თვალსაზრისით, მენტალური დისპოზიციების სუბიექტს – „ცნობიერება“, „პიროვნება“, „ადამიანი“ და ა.შ. – განსაკუთრებული ონტოლოგიური სტატუსი აქვს, რასაც მენტალური პრედიკატების შემცველი წინადადებების ლოგიკურ-ეპისტემოლოგიური სპეციფიკა განსაზღვრავს. კერძოდ, ყოველდღიურ ენაში მენტალური ტერმინები თავდაპირველად ცალკეულ ადამიანურ ქმედებებს მიენერება და მხოლოდ შემდეგ ყალიბდება, ინდუქ-

ციური განზოგადების შედეგად, მსჯელობები ამა თუ იმ ინდივიდის მთლიან ქცევაზე. ე.ი., როდესაც ვსაუბრობთ ისეთ კვაზისაგნებზე, როგორებიცაა: ცნობიერება, მენტალურის სფერო, პიროვნება და სხვ., საუბარია მხოლოდ ამა თუ იმ ინდივიდის ქცევაზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ტერმინი „ცნობიერება“ არ უნდა აფართოებდეს ჩვენს ონტოლოგიას, არ უნდა შემოჰქონდეს დამატებითი „მენტალური“ არსი ინდივიდისა და მისი ქმედებების პარალელურად; ცნობიერება – ეს მხოლოდ და მხოლოდ ქცევითი დისპოზიციების ერთობლიობაა.

მენტალური დისპოზიციებისა და მუდმივი თვისებების კატეგორიული იდენტიფიკაცია, რაც პროპოზიციების – „თოვლი თეთრია“ და „ჯონი ჭკვიანია“ – იზომორფიზმს ეფუძნება, რაილის აზრით, შობს ცნობიერების, როგორც სუბსტანციის, „პარამექანიკურ“ ინტერპრეტაციას, რომლის თანახმადაც ცნობიერება განუფენელი, ემპირიულად დაუკვირვებადი კვაზისაგანია. აქედან რაილისათვის ნათელია კარტეზიანული ფილოსოფიის შეცდომის წყარო – ქცევის რეიფიცირებადი გაგება. მისი აზრით, სწორედ აღნიშნული შეცდომა წარმოშობს გარდაუვალ კონცეპტუალურ აპორიებს, რომლებიც დეკარტიდან მოყოლებული ფსიქოფიზიკური და ინტერსუბიექტურობის პრობლემების სახით „მარადიულ“ ფილოსოფიურ პრობლემებად ითვლება. მაგრამ, ვინაიდან ცნობიერება არ არის საგანი, საკითხის დასმა მოაზროვნე და განუფენელი საგნების ურთიერთქმედების შესახებ აბსურდულია – ადამიანის მოქმედება არ შეიძლება მიზეზობრივ კავშირში იყოს ამ მოქმედების აგენტთან (ამის პრობლემიზირება ისეთივე აბსურდია, როგორც წყლისა და დინების ურთიერთქმედების შესახებ შეკითხვა). ე.ი. ფსიქოფიზიკური პრობლემა მოჩვენებითია. რაილის მტკიცებით, იმავე შეფასებას ექვემდებარება ინტერსუბიექტურობის პრობლემაც. ის საკუთარი და სხვისი ცნობიერების ეპისტემოლოგიური ასიმეტრიის, „საკუთარი“ ცნობიერების „პრივილეგირებული წვდომის“ იდეიდან აღმოცენდება, არადა ეს იდეა არაკორექტულია: როგორც ქცევის მახასიათებელი, ცნობიერება საჯარო ფენომენია და ამიტომ „საკუთარი თავის შესახებ ცოდნა“ არაფრით განსხვავდება „სხვების შესახებ ცოდნისაგან“.



Post-metaphysical thinking, which appeared on the intellectual scene at the turn of the 19th and 20th centuries, remains the main current of analytical and continental philosophy to this day. However, this situation does not imply a complete transition from traditional philosophy to post-metaphysical philosophy, nor does it imply unproblematic transformations in this direction. In such a situation, a scrupulous philosophical-historical analysis and critical assessment of all important achievements of post-metaphysical thought was and remains relevant. In this regard, an “Immanent” study of G. Ryle’s ontological theory of consciousness is one of the essential tasks.

According to Ryle, the metaphysical understanding of categories, which underlies traditional philosophy, leads to “categorical errors”, which, in turn, generate unresolved intellectual aporias and should become the subject of criticism based on the method of categorical analysis of language. In addition, the dominant type of categorical error is ignorance of the categorical difference between propositions or incorrect categorical identification of propositions.

It is precisely this categorical error that G. Ryle sees in the Cartesian interpretation of consciousness as a “thinking substance”, according to which consciousness exists “near” and interacts with the “extended substance”. According to Ryle, this ontological analogy between “substances” is based on the obvious logical analogy between the sentences “Snow is white” and “John is smart” and, consequently, on the categorical identification of a physical property (“white color”) and a mental property (“smart”). However, Descartes is no exception in this regard. From Aristotle’s point of view, these predicates belong to the same “highest genus” — the category of property. From Kant’s point of view, both sentences have the same formal-categorical characteristics. However, according to Ryle, the impression of meaningful kinship and the formal identity of these sentences is a “language trap”: it is created by their grammatical isomorphism, which hides the differences between the logical structures of the sentences.

G. Ryle clearly explains the logical difference between these judgments, on the one hand, and predicates (“white”, “smart”), on the oth-

er. "Smart" is a dispositional predicate. It denotes not a constant but a situationally dependent attribute that manifests itself in certain circumstances. All mental terms characterizing consciousness are dispositional ones in their nature. The logical specificity of dispositional predicates is that they describe a certain attitude. For example, the proposition "John is intelligent" is logically decoded as follows: "If we give John an intellectual problem, he will solve it." Therefore, a dispositional proposition only by a grammatically conditioned illusion seems to be a simple categorical judgment, whereas in reality, it is a conditional judgment. Thus, these two judgments differ from each other both in form and in the categorical specificity of the predicates.

G. Riley also points out the epistemological difference: to be convinced that snow is white, one observation is enough, whereas to determine John's smartness, a series of observations is needed to avoid "hasty generalizations". However, dispositions differ not only from constant properties but also from "events": an event is localized in time, while a disposition is not.

For Ryle, from a logical point of view, the subject of mental dispositions – "consciousness", "personality", "human being", etc. – has a special ontological status, which is determined by the logical-epistemological specificity of sentences containing mental predicates. In particular, in everyday language, mental terms are initially attributed to individual human actions, and only then, as a result of inductive generalization, are propositions formed about the general behavior of a distinctive person. That is, when we speak of quasi-things such as consciousness, the mental sphere, personality, etc., we speak only about the behavior of a particular person. This means that the term "consciousness" should not expand our ontology and should not introduce an additional "mental" entity parallel to the individual and his actions; consciousness is nothing more than a set of behavioral dispositions.

The categorical identification of mental dispositions and constant properties, based on the isomorphism of the sentences "Snow is white" and "John is smart", gives rise, according to Riley, to a "paramechanical" interpretation of consciousness as a substance, according to which con-

consciousness is an unmanifested, empirically unobservable quasi-thing. From here, Ryle understands the source of the error in Cartesian philosophy, which is the reified understanding of behavior. In his opinion, it is precisely this error that gives rise to the inevitable conceptual aporias that have been considered as “eternal” philosophical problems since Descartes in the form of problems of psychophysics and intersubjectivity. But since consciousness is not a thing, asking about the interaction of a thinking thing and an extended thing is absurd – human action cannot be causally related to the agent of this action (to problematize this is as absurd as asking about the interaction of water and the flow). That is, the psychophysical problem is illusory. In Ryle’s view, the problem of intersubjectivity is subject to the same kind of assessment. It arises from the idea of an epistemological asymmetry between one’s own and someone else’s consciousness, from the idea of “privileged access” to “one’s” consciousness, although this idea is incorrect: as a characteristic of behavior, consciousness is a public (free-for-all) phenomenon, and therefore “knowledge about oneself” is no different from “knowledge about others”.

**ძველი რომის სოციალურ-ეკონომიკური  
ისტორიის შესწავლა ქართულ საბჭოთა  
ისტორიოგრაფიაში  
(მონობა)**

**The Study of Socio-Economic History of Ancient  
Rome in Georgian Soviet Historiography  
(Slavery)**

**ზაზა ქარჩავა**

**Zaza Karchava**

თსუ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და  
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

Tsu Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology

**საკვანძო სიტყვები:** რომაული მონობა, ქართული საბჭოთა ისტორი-  
ოგრაფია, სოციალურ-ეკონომიკური ისტორია, მონობის ისტორია

**Keywords:** Roman slavery, Georgian Soviet historiography, socio-economic  
history, history of slavery

XX საუკუნეში ქართული ისტორიოგრაფიის კვლევის თვალსა-  
წიერში ძველი ისტორიის საკითხებთან დაკავშირებული არაერთი  
პრობლემა მოექცა. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ მრავალ  
საინტერესო და აქტუალურ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. საბ-  
ჭოთა საქართველოში ისტორიის კვლევა მხოლოდ მარქსისტული  
მიდგომების საშუალებით იყო შესაძლებელი. აქვე აღვნიშნავთ,  
რომ საბჭოთა კავშირში გავრცელებული მარქსიზმი შორს იდგა ავ-  
თენტიკური მარქსიზმისაგან, შესაბამისად, საბჭოთა პერიოდში გა-  
მოცემული ნაშრომები მძლავრი იდეოლოგიური დოქტრინებითაა  
გაჯერებული. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართულ საისტო-  
რიო მეცნიერებაში თავი იჩინა სამწუხარო ტენდენციამ, საბჭოთა  
პერიოდში გამოცემული ნაშრომების ხელალებით უარყოფისა. წი-  
ნამდებარე სტატიაში არის მცდელობა, ახლებურად შევხედოთ საბ-  
ჭოთა ისტორიოგრაფიის მემკვიდრეობას ძველი ისტორიის კვლე-  
ვის საქმეში.

როგორც აღვნიშნეთ, ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია ძვე-  
ლი ისტორიის არაერთი საკითხით ინტერესდებოდა. ერთ-ერთი  
მნიშვნელოვანი მიმართულება იყო რომის ისტორიის შესწავლა.  
ინტერესი ქართველ საბჭოთა მკვლევართა შორის მრავალმხრივი  
იყო. ეს ინტერესის მრავალმხრივი სფეროები შეიძლება სამ დიდ  
ჯგუფად დავყოთ: 1. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე დიდი  
ინტერესის ობიექტი ქართულ-რომაული ურთიერთობების კვლევა  
იყო და შემთხვევითი არაა, რომ ამ თემატიკაზე ყველაზე მეტი და,  
ამასთანავე, სამეცნიერო თვალსაზრისით ყველაზე ღირებული ნაშ-  
რომებია დაწერილი; 2. ინტერესის ობიექტში მოექცა ასევე რომის  
ისტორიის პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ცხოვრება; 3.  
მესამე მიმართულება რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური  
ისტორიის საკითხების შესწავლა იყო, განსაკუთრებით მონობისა  
და მონათმფლობელური სისტემისა რომში. წინამდებარე მოხსენე-  
ბის მთავარი განსახილველი საკითხი სწორედ ეს უკანასკნელი მი-  
მართულებაა.

ცხადია, რომ სოციალური ისტორიითა და მონობის ისტორიით  
ავტორთა დაინტერესებას, გარდა მათი სუბიექტური ფაქტორები-

სა, ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ საბჭოთა კავშირში გაბატონებული ისტორიული მატერიალიზმის პრინციპი და მარქსისტული მოძღვრება ისტორიის მამოძრავებელ ძალად კლასთა შორის ბრძოლასა და ეკონომიკურ ფაქტორს მიიჩნევდა. ამის გათვალისწინებით, იდეოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, საბჭოთა ისტორიოგრაფიაში მონობის საკითხის კვლევა, გარკვეულწილად, სავალდებულო იყო და მისთვის გვერდის ავლას მკვლევარი იშვიათად თუ შეძლებდა.

მოხსენების ძირითადი პრობლემა დაკავშირებულია შემდეგ საკითხთან: როგორ აისახებოდა საბჭოთა მარქსიზმის იდეოლოგიური დოქტრინა მონობის საკითხის შესწავლაზე ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში. ძირითად პრობლემასთან შესაბამისობაშია ფორმულირებული საკვლევი შეკითხვები: როგორ აისახებოდა ქართულ საბჭოთა საისტორიო საზოგადოებაზე ტოტალიტარულ სახელმწიფოში გაბატონებული ერთი მარქსისტული თეორია და მისი ლენინურ-სტალინური ვარიაციები? რა გავლენას ახდენდა საბჭოთა კონიუნქტურა ისეთ დაშორებულ ეპოქაზეც კი, როგორიც ძველი რომის ისტორიაა? რამდენად ითვალისწინებდა საბჭოთა ისტორიოგრაფია კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებებს რომაული პერიოდის მონობის შესახებ? როგორ აისახებოდა პოლიტიკური ელიტის ცვლილება საბჭოთა კავშირში რომის ისტორიის შესწავლაზე? რა განსხვავებანი არსებობდა რომაული მონობის შემსწავლელ ქართულ და რუსულ საბჭოთა მიდგომებს შორის?

მოხსენებაზე მუშაობისას გამოყენებული იყო ისტორიოგრაფიული კვლევა-ძიების მეთოდი. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, ნაშრომი ისტორიული შემეცნების მეთოდს ეფუძნება. საკვლევ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად გამოყენებულია ჰერმენევტიკული ანალიზი, დისკურსის ანალიზი და კომპარატივისტული კვლევა.

მოხსენებაზე მუშაობისას, ძირითადად, ყურადღება გამახვილდა მათე ალექსიშვილისა და რუსუდან გოგოლაშვილის ნაშრომებზე, ასევე შევხეთ ალექსანდრე წერეთლისა და ლევან სანიკიძის ავტორობით გამოქვეყნებულ რომის ისტორიის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოებს. მართალია, ეს უკანასკნელნი არსებითად

სამეცნიერო გამოკვლევებს არ წარმოადგენდნენ, თუმცა ამ სახელმძღვანელოების გარეშე სრული სურათის წარმოჩენა ვერ მოხერხდებოდა. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში რომის ისტორიის საკითხებით დაინტერესება, ძველი აღმოსავლეთისა და ძველი საბერძნეთის ისტორიასთან შედარებით, გვიან დაიწყო. ქართულმა საბჭოთა ისტორიოგრაფიამ რომის ისტორიით საკითხებით დაინტერესება XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან დაიწყო. ეს გარემოება ორი ძირითადი მიზეზით შეიძლება აიხსნას: 1. გადასახლებიდან დაბრუნდა ალექსანდრე წერეთელი, რომელმაც რომის ისტორიის პირველი ქართული საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოები გამოსცა და 2. სამეცნიერო საქმიანობა დაიწყო ისტორიკოსთა ახალმა თაობამ, რომელთა ინტერესში რომის ისტორიის საკითხები და მათ შორის მონობის საკითხიც მოექცა.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში რომაული მონობის შესწავლა არაერთგვაროვან ხასიათს ატარებდა. ნაშრომები, ცხადია, მარქსისტული მეთოდოლოგიის მიხედვით იყო აგებული, თუმცა ეპოქებისა და ავტორების მიხედვით იდეოლოგიზაციის ხარისხი იცვლებოდა. კვლევამ დაადგინა, რომ ზოგი ქართველი ისტორიკოსი დამახინჯებით ინტერპრეტირებდა მარქსისა და ენგელსის ნააზრევს რომის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესახებ და მას თავისი იდეოლოგიური მიზნების მიხედვით ცვლიდა. ხშირ შემთხვევაში იდეოლოგიური დატვირთვა პარტიული ნომენკლატურის ცვლილების მიხედვით ხდებოდა. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ, თუ საბჭოთა პერიოდში გამოცემულ ნაშრომებს რომში მონობის შესახებ იდეოლოგიურ ტენდენციებს ჩამოვაშორებთ, ზოგ შემთხვევაში დაგვრჩება საკმაოდ სწორი მეცნიერული დასკვნები. საზოგადოდ კი, უნდა ითქვას, რომ დღეს საბჭოთა ეპოქაში დაწერილ ნაშრომებს, განსაკუთრებით სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხების შესახებ, პრაქტიკული ღირებულება დაკარგული აქვს, თუმცა არ დაუკარგავს თავისი სამეცნიერო ღირებულება ისტორიოგრაფიული ტენდენციებისა და საქართველოში საისტორიო მეცნიერების ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

In the 20th century, many problems related to ancient history aroused the interest of Georgian historiography. In Soviet Georgia, the study of history was possible only through Marxist theory. We also note that the Marxism which spread in the Soviet Union was far from authentic Marxism, therefore, the works published during the Soviet period contain strong ideological doctrines. After the collapse of the Soviet Union, an unfortunate tendency emerged in Georgian historical science to reject the works published during the Soviet period. This report is an attempt to take a fresh look at the legacy of Soviet historiography in the study of ancient history.

As we have mentioned, Georgian Soviet historiography was interested in many issues of ancient history. One of the important issues was the study of Roman history. The interest among Georgian Soviet researchers was multifaceted. These areas of interest can be divided into three large groups: 1. The object of greatest interest was the study of Georgian-Roman relations, and the largest number of most valuable works have been written on this topic; 2. The object of interest was also the political, cultural and religious life of Roman history; 3. The third direction was the study of issues of the socio-economic history of Roman history, with a special interest in slavery and slaveholding system in Rome. The main issue of this article is the latter.

It is clearly that the authors' interest in social history and the history of slavery, in addition to their subjective factors, was also facilitated by the fact that the principle of historical materialism and Marxist theory prevailed in the Soviet Union. Based on ideological considerations, research on the issue of slavery was mandatory in Soviet historiography and a researcher could not avoid it.

The main problem of the study is related to the following issue: How did the ideological doctrine of Soviet Marxism affect the study of the issue of slavery in Georgian Soviet historiography? The research questions are formulated in accordance with the main problem: How did Marxist theory prevailing in the totalitarian state and its Leninist-Stalinist variations affect the Georgian Soviet historical community? What influence did the Soviet conjuncture have even on such a distant era as the history of ancient Rome? To what extent did Soviet historiography take into account



the views of Karl Marx and Friedrich Engels on slavery in the Roman period? How did changes in the political elite in the Soviet Union affect the study of Roman history? What differences existed between the Georgian and Russian Soviet approaches to the study of Roman slavery?

The paper uses the historiographical research method. Methodologically the paper is based on the method of historical cognition. Hermeneutic analysis, discourse analysis, and comparative research are used to answer the research questions.

While working on the report, the main attention was paid to the works of Mate Aleksishvili and Rusudan Gogolashvili, and we also touched upon the university textbooks on Roman history published by Aleksandre Tsereteli and Levan Sanikidze. It should be noted that in Georgian Soviet historiography, interest in Roman history emerged later than in the history of the Ancient East and Ancient Greece. Georgian Soviet historiography started to show interest in Roman history in the 50s-60s of the 20th century. This circumstance can be explained by two main reasons: 1. Aleksandre Tsereteli, who published the first Georgian university textbooks on Roman history, returned from exile, and 2. A new generation of historians whose interest lay in Roman history, including the issue of slavery, began their scientific activities.

The research found that the study of Roman slavery in Georgian Soviet historiography was heterogeneous. The works were, of course, built according to Marxist methodology, although the degree of ideologization varied depending on the eras and authors. It was also revealed that some Georgian historians distorted the ideas of Marx and Engels about the socio-economic issues of Roman history and changed them according to their ideological goals. In many cases, the ideological load was determined by the change in the party nomenclature. In conclusion, it should be noted that if we remove the ideological tendencies from the works published during the Soviet period about slavery in Rome, in some cases we are left with quite correct scientific conclusions. In general, it must be noted that today works written during the Soviet era, especially those on issues of socio-economic history, have lost their practical value, although they have not lost their scientific value in terms of historiographical trends and the study of the history of historical science in Georgia.

**ებრაელი ექიმი და დიპლომატი –  
აღმოსავლეთისა და დასავლეთის  
ხელისუფალთა ანტიოსმალური  
კოალიციის შუამავალი**

**Jewish Physician and Diplomat –  
Mediator of the Anti-Ottoman Coalition  
of Eastern and Western Powers**

**თეა ქარჩავა**

**Tea Karchava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ანტიოსმალური კავშირი, ექიმი-დიპლომატი, სა-  
ერთაშორისო ურთიერთობები

**Keywords:** anti-Ottoman unity, physician-diplomat, international relations

ისტორიამ იცის შემთხვევები, როდესაც ევროპაში რენესანსის ხანის მმართველების კარის ექიმები საერთაშორისო მნიშვნელობის დავალებებს ასრულებდნენ და დიპლომატიურ მისიებშიც იყვნენ ჩართული. მათ შორის არაერთი ებრაული წარმოშობისა იყო, თუმცა ეს ტრადიცია – ექიმების დიპლომატებად გამოყენებისა, ბევრად ადრე არსებობდა ბიზანტიასა და აღმოსავლეთში. წინამდებარე მოხსენება ეხება XV საუკუნეში მოღვაწე ერთ-ერთ პირველ ექიმს „მსოფლიო დიპლომატიაში“ – თეორბატკნიანთა მმართველის, უზუნ ჰასანის, კარის დასტაქარს, ისააკ ბეგს (როგორც მას, აღმოსავლური ტრადიციის შესაბამისად, მოიხსენიებდნენ ევროპელები), რომელმაც ევროპის ქვეყნებსა და აღმოსავლეთს შორის საკომუნიკაციო ქსელის შექმნისთვის დიდი შრომა გასწია. სავარაუდებელია, რომ მის გამოცდილებას ქართველი ხელისუფალნიც იყენებდნენ.

უზუნ ჰასანის წარმატებების შესახებ ცნობების მიღების შემდეგ ოსმალთა თურქების მხრიდან მზარდი საფრთხის ქვეშ მყოფი ევროპული სახელმწიფოებისთვის ფასეული იდეა ჯვაროსნული ლაშქრობისა, ერთგვარად, ოტომანების წინააღმდეგ აზიის სახელმწიფოებთან ალიანსის კონცეფციით ტრანსფორმირდა. ტრაპიზონის იმპერიის დაცემის (1461 წ.) შემდეგ ევროპელებისთვის კიდევ უფრო გართულდა აღმოსავლეთში მოგზაურობა. ვინაიდან აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ერთადერთი გადარჩენილი ქრისტიანული სახელმწიფო საქართველოა იყო, მისი როლი, როგორც ევროპის ქვეყნების სპარსეთთან დამაკავშირებლისა, გაიზარდა. დასავლეთიდან ელჩები და ვაჭრები სახმელეთო გზებით მოდიოდნენ ყირიმამდე, ქ. კაფადან ზღვით საქართველოს ნავსადგურებში შემოდიოდნენ, აქედან კი გზას სპარსეთამდე აგრძელებდნენ ხმელეთით. ამაზე კატერინო ძენოს, ამბროსიო კონტარინისა და სხვათა მოგზაურობებიც მეტყველებს. საგულისხმოა, რომ ამ გზას ასევე წარმატებით იყენებდნენ უზუნ-ჰასანის ევროპაში გაგზავნილი ელჩებიც, მათ შორის 1470-იანი წლებში ევროპაში ორი უმნიშვნელოვანესი მისიის მონაწილე ისააკ ბეგი.

ექიმმა ისააკმა, როგორც უზუნ-ჰასანის ელჩმა, მოიარა ევროპის სახელმწიფოები (ვენეცია, უნგრეთი, პოლონეთი, მოლდოვა, პაპის კარი, ნეაპოლის სამეფო) „დიდი ალიანსის“ დასაარსებლად ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, რომლის დრამატული ექსპან-

სია შთანთქმით ემუქრებოდა როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ქვეყნებს. ისააკ ბეგს რთული და სერიოზული დავალება ჰქონდა: გარდა იმისა, რომ უნდა მიეღო ავთენტური ინფორმაცია მრავალი შესაძლო მოკავშირის განზრახვებისა და სამხედრო შესაძლებლობების შესახებ, მას ასევე უნდა გაეჩინა ერთმანეთში მუდმივ დაპირისპირების რეჟიმში მყოფი ევროპელი ქრისტიანი მმართველების მიერ გადადგმული ნაბიჯების კოორდინაცია. ფაქტობრივად, ისააკს ვენეციის სინიორიასთან ერთად უნდა შეექმნა სამუშაო ალიანსი.

მართალია, პირდაპირი მტკიცებულება არ გვაქვს, მაგრამ წყაროებისა და მკვლევართა მონაცემების შედარებითი ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ 1471-1473 წლებში „ქართველი მეფის“ მიერ ვენეციაში გაგზავნილ ელჩებში, რომლებიც ტრაპიზონიდან მანასკერტში ჩადიან, ხოლო შემდეგ პოლონეთის მეფის კარზეც ჩანან, უზუნაჰასანის ექიმი-დიპლომატი ისააკიც ყოფილიყო. ქართველი მეფეების მხრივ ელჩებად თუ შიკრიკებად იმავე პირების (ქართული ისტორიოგრაფიისთვის აქამდე ცნობილი პირები სომხური წარმომავლობის იყვნენ), ვინც იგზავნებოდა სპარსეთის მმართველების მიერ, გამოყენების პრაქტიკა XVI საუკუნეშიც თვალშისაცემია; ეს მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ XV საუკუნიდან მოყოლებული ქართველი მმართველების აქტიურობა დასავლეთის მმართველებთან, რაოდენ პირად ინტერესებსაც არ უნდა გულისხმობდეს, სპარსეთის მმართველთა ნებართვის გათვალისწინებითა და ანტიოსმალური საბრძოლო კამპანიის ფარგლებშია განსახილველი და დამოუკიდებელი მოღვაწეობის ელფერს ნაკლებად შეიცავს.

ქიმი ისააკი, რომელმაც იტვირთა უპრეცედენტო დიპლომატიური დავალება 1470-იანი წწ.-ის პირველ ნახევარში, ვენეციური დოკუმენტების მიხედვით, იყო „ეროვნებით ესპანელი, რელიგიით ებრაელი“, თუმცა ზოგჯერ „ტრაპიზონელადაც“ მოიხსენიებენ. უზუნაჰასანმა თავდაპირველად იგი თავის კარზე ხანგრძლივად მყოფ ლაზარო კუერინის კომპანიონად, ვენეციელებთან ერთად მიავლინა ევროპაში – ნაწილობრივ თარჯიმნად, ნაწილობრივ დიპლომატიური გზავნილის შიკრიკად. მომდევნო წელს კი ისააკი გაიგზავნა ევროპაში არა როგორც უბრალო „ორატორი“, არამედ როგორც „მაგნუს ორატორი“ – პრაქტიკულად, ელჩობის მოთავე.

ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობი მიზეზების გამო, საბოლოოდ, ისააკ ბეგის კვალს ვხედავთ არა სპარსეთში, უზუნ-ჰასანის მემკვიდრეების კარზე ან ევროპაში მასთან ყველაზე მჭიდრო დიპლომატიური კავშირების მქონე ვენეციაში, არამედ პოლონეთის მეფის, კაზიმირ იაგელონის კარზე. ქართული ისტორიოგრაფიისთვის საინტერესო იქნებოდა იმის დადგენა, XV საუკუნის 90-იან წლებში საქართველოს ელჩ ნილოს, რომელიც კონსტანტინე II-ის მიერ ამჯერად დედოფალ იზაბელასადმი მიწერილი წერილით, ესპანელ ელჩებთან ერთად, შავიზღვისპირეთისა და პოლონეთის გავლით დასავლეთ ევროპაში მიემშურებოდა, ჰქონდა თუ არა ექიმ-დიპლომატ ისააკთან საქმიანი კომუნიკაცია.

History knows cases when physicians of the courts of Renaissance rulers in Europe performed tasks of international importance and were involved in diplomatic missions. Among them, many are of Jewish origin, however, this tradition of using physicians as diplomats existed much earlier in the East. This report concerns one of the first physicians in “world diplomacy” – the physician of the court of the ruler of the White Sheep Turkomans, Uzun Hasan, Isaac Beg who did a great job to create a communication network between European countries and the East. Presumably, his experience was also used by the Georgian authorities.

For European states, after receiving news of Uzun Hasan’s successes, the valuable idea of a Crusade was transformed into a concept of an alliance with Asian states against the Ottomans. After the fall of Trebizond Empire, travel to the East became even more difficult for Europeans. Since Georgia remained the only surviving Christian state on the eastern Black Sea coast, its role as a link between European countries and Persia increased. Ambassadors and merchants from the West came by land to the Crimea, entered Georgian ports by sea from Caffa, and from there continued their journey to Persia by land. It is noteworthy that this route was also successfully used by Uzun-Hasan’s ambassadors to Europe, including Isaac Beg, who participated in two important missions to Europe in the 1470s.

Physician Isaac, as an Uzun Hasan’s ambassador, traveled to the European states (Venice, Holy See, Hungary, Poland, Moldova, Kingdom

of Naples) to establish a “Grand Alliance” against the Ottoman Empire, whose dramatic expansion threatened to engulf both the West and the East. Isaac Beg had a difficult and serious task: in addition to obtaining authentic information about the intentions and military capabilities of many potential allies, he also had to coordinate the steps taken by the European Christian rulers, who were in a state of constant confrontation with each other. In fact, Isaac had to create a working alliance with the Signoria of Venice.

Although we do not have direct evidence, a comparative analysis of the existing material gives us a reason to assume that Uzun Hasan’s physician-diplomat Isaac was among the ambassadors sent to Venice by the “Georgian King” in 1471-73, who arrived from Trebizond to Manaskert, and then visited the Polish king’s court. The practice of using the same persons as envoys who were sent by Persian rulers is striking in the 16th century; this indicates the fact that since the 15th century, the activity of Georgian rulers with Western rulers, no matter what personal interests they may imply, is subject to the permission of Persian rulers and is to be discussed within the framework of the anti-Ottoman military campaign and contains little of the shade of independent activity.

Physician Isaac, who undertook an unprecedented diplomatic mission in the first half of the 1470s, was described in Venetian documents as “a Spaniard by nationality, a Jew by religion”, although he is sometimes referred to as “a Trapezonian”. Uzun Hasan initially sent him to Europe with the Venetians as a companion to Lazaro Querini, a long-time resident of his court – partly as a translator, partly as a messenger of diplomatic messages. The following year, Isaac was sent to Europe not as a mere “orator,” but as “Magnus Orator” – in reality, the head of an ambassadorial mission.

For reasons unknown so far, we finally see traces of Isaac Beg not in Persia, at the court of the heirs of Uzun-Hasan, or in Venice, which had the closest diplomatic ties with him in Europe, but at the court of the Polish king, Casimir Jagiellon. It would be interesting for Georgian historiography to determine whether in the 1590s, the Georgian ambassador Nilos, who was traveling to Western Europe via the Black Sea and Poland with a letter written by Constantine II to Queen Isabella, along with Spanish ambassadors, had business communication with the physician-diplomat Isaac.

**ისტორიის ფილოსოფიური საზრისის  
ზოგიერთი საკითხი ივანე ჯავახიშვილთან  
(ჰ. რიკერტის ფონზე)**

**Some Issues of the Philosophical  
Sense of History with Ivane Javakhishvili  
(in Consideration of H. Rickert)**

**მაია ქერქაძე**

**Maia Kerkadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ისტორიის ფილოსოფია, ისტორიის საზრისი, კულ-  
ტურული ღირებულებები

**Keywords:** philosophy of history, the meaning of history, cultural values

ისტორიის ფილოსოფიური საზრისის გაგება არაერთგვაროვანია. მეცნიერთა ერთი ნაწილი საერთოდ არ იზიარებდა შეხედულებას, რომ ისტორიას რაიმე განსაზღვრული საზრისი აქვს (მაგალითად, შელინგი, ოსვალდ შპენგლერი). შპენგლერის აზრით, კაცობრიობას არავითარი მიზანი და გეგმა არა აქვს. ჰეგელისთვის ისტორიის ამოსავალ წერტილსა და საზრისს აბსოლუტური გონი წარმოადგენს, რადგანაც გონი თავის თავში შეიცავს მთელ მსოფლიო ისტორიას; კარლ იასპერსი ისტორიის საზრისად და მიზნად მისი ერთიანობის იდეას მიიჩნევს და ისტორიის ღერძის პოვნას ცდილობს. ნიკოლაი ბერდიაევი ისტორიის ფილოსოფიის პრობლემის გადაჭრას „ქრისტიანული ექსისტენციალიზმის“ წიაღში ეძებს, რაც გამოიხატება ადამიანის ღმერთში და ღმერთის ადამიანში დაბადების მისტერიაში.

მრავალ სხვა თეორიათაგან დღევანდელი ჩემი მსჯელობისთვის გამოვარჩევ გერმანელი ფილოსოფოსის, ჰენრიხ რიკერტის, მიდგომას ამ საკითხისადმი. რიკერტი მიჯნავს ერთმანეთისაგან მეცნიერებებს, რომლებიც მაგენერალიზებულ მეთოდს იყენებენ (ბუნების მეცნიერებები) მაინდივიდუალიზებული მეცნიერებებისაგან. ამ უკანასკნელს რიკერტი უწოდებს ღირებულებისადმი მიკუთვნილ მეთოდს და მას უპირისპირებს ბუნებისმეცნიერულ მეთოდს, რომელიც ადგენს კანონზომიერ კავშირებს და ყურადღების გარეთ ტოვებს კულტურულ ღირებულებებს და მისი ობიექტების მიკუთვნებას ამ ღირებულებებისადმი. ბუნება, რიკერტის მიხედვით, არის ერთობლიობა ყოველივე იმისა, რაც თავისთავად აღმოცენდა, თავად დაიბადა და რაც საკუთარ ზრდას ექვემდებარება. ამ აზრით, ბუნების საპირისპირო სინამდვილეა კულტურა – ისეთი რამ, რაც უშუალოდ შექმნა ადამიანმა, რომელიც მოქმედებს მის მიერ შეფასებული მიზნების მიხედვით, ან შეგნებულად მოვლილია ადამიანის მიერ მასთან დაკავშირებული ღირებულების გამო. კულტურის ყველა მოვლენაში ადამიანი ყოველთვის პოულობს ადამიანის მიერ აღიარებული ღირებულებების განხორციელებას. რამდენადაც კულტურის ობიექტებში ჩადებულია ღირებულებები, ამ ობიექტებს ვწოდებთ ფასეულობებს. ღირებულებებზე არ შეიძლება ვთქვათ, რომ ისინი არსებობენ, არამედ მნიშვნელობენ. კულტურის ცნებაში რიკერტი მოიაზრებს ადამიანისათვის მნიშვნელოვან ფენომე-



ნებს, როგორებიცაა: რელიგია, ეკლესია, სამართალი, სახელმწიფო, ზნეობა, მეცნიერება, ენა, ლიტერატურა, ხელოვნება, მეურნეობა, აგრეთვე მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებები.

რიკერტი ისტორიულ-მანდივიდუალიზებულ მეთოდს ღირებულებისადმი მიკუთვნების მეთოდს უწოდებს. ისტორიკოსმა უნდა განასხვავოს არაარსებითი არსებითისაგან, მან უნდა გამოხატოს, აღწეროს „მნიშვნელოვანი“, „საინტერესო“ რაიმე თვალსაზრისით. „ღირებულებისადმი მიკუთვნების მეთოდი“ უნდა გავმიჯნოთ შეფასების მეთოდისაგან. მართალია, ისტორიას საქმე აქვს ღირებულებებთან, მაგრამ იგი არ წარმოადგენს შემფასებელ მეცნიერებას. პირიქით, იგი ადგენს იმას, რაც არის ღირებულებისადმი მიკუთვნება, რჩება ფაქტების დადგენის სფეროში, შეფასება კი გამოდის ამ სფეროდან. რაც შეეხება ღირებულებების „ობიექტურობას“, მათ საყოველთაოობას, რიკერტის სიტყვებით, ღირებულებები „ისტორიაში აღმოცენდებიან და კულტურის პროგრესთან ერთად, ისინი, მსგავსად ვარსკვლავებისა ცაზე, ერთმანეთის მიყოლებით შედიან ადამიანის ჰორიზონტში. ესენი არ არიან არც ძველი, არც ახალი ღირებულებები, ესენი უბრალოდ ღირებულებები არიან“.

საინტერესო და აუცილებელია ივანე ჯავახიშვილის მეცნიერული მემკვიდრეობის ფილოსოფიური ანალიზი. ამ მიმართულებით რამდენიმე მეცნიერის ნაშრომებიც არსებობს. მართალია, ივანე ჯავახიშვილი გეგმავდა თეორიულ-განმარტებელი ხასიათის წიგნის – „ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები“ – დანერას, მაგრამ იგი აღარ შეუქმნია. ისეთ დიდ ისტორიკოსს, როგორიც ივანე ჯავახიშვილი იყო, აუცილებლად ჰქონდა გარკვეული ფილოსოფიური წანამძღვრები ისტორიის საზრისზე. აშკარაა, რომ ქართველი ერის ისტორიის კვლევისას იგი პიროვნებას, ხალხს, პოლიტიკას, რელიგიას, სამართალს, ეკონომიკას, ყოფით თუ მხატვრულ რეალობას მოიაზრებს როგორც ერთიან მთელს თავისი ინდივიდუალობით. ისტორიაში იგი ხედავს ისეთი ღირებულებების განხორციელებას, როგორებიცაა: პოლიტიკური ღირებულებები (ერის მთლიანობისა და ერთიანობის იდეა, დამოუკიდებლობა, სამოქალაქო მშვიდობა, სამართლიანობა, მეფეთა თუ მმართველთა მოღვაწეობა და თავდადება და ა.შ.), რელიგიური, ეთიკური, ეკონომიკური, სამარ-

თლებრივი, მეცნიერული თუ ესთეტიკური ღირებულებები. ივანე ჯავახიშვილთან ისტორიის შინაარსის დადგენა ხდება სწორედ იმ მასალების მოძიების, ანალიზისა და ერთიანობის საფუძველზე, რომელთაც იგი ღირებულებათა სისტემად მიიჩნევს. მართალია, ივანე ჯავახიშვილის მეცნიერულ მემკვიდრეობაში არსად შეგვხვდება „კულტურის“ დეფინიცია, მაგრამ ნათლად ჩანს, რომ „კულტურაში“ იგი მოიაზრებს ყოველივე იმას, რაც ადამიანის საქმიანობისა და მოღვაწეობის შედეგია, როგორც პოლიტიკურ, ისე მატერიალურ და სულიერ სფეროში. კულტურის ასეთი ფართო გაგება აშკარად სრულთანხვედრაშია კულტურის ცნების რიკერტისეულ გაგებასთან.

The understanding of the philosophical meaning of history is heterogeneous. One part of scientists absolutely did not share the view that history has any definite meaning (for example, Schelling, Oswald Spengler). According to Spengler, humanity does not have any goal or plan. For Hegel, the starting point and meaning of history is absolute mind, because mind contains within itself the entire history of the world. Karl Jaspers considers the idea of history's unity as its meaning and goal and tries to find the axis of history. Nikolai Berdyaev seeks a solution to the problem of the philosophy of history in the heart of “Christian existentialism”, which is expressed in the mystery of the birth of God in man and man in God.

Among many other theories, I will single out for my discussion today the approach of the German philosopher Heinrich Rickert to this issue. Rickert distinguishes the sciences that use the generalizing method (natural sciences) from the individualizing sciences. Rickert calls the latter the value-attributing method and contrasts it with the natural scientific method, which establishes regular relationships and ignores cultural values and assigning its objects to these values. Nature, according to Rickert, is the totality of everything that arose by itself, was born by itself and is subject to its own growth. In this view, the opposite reality of nature is culture – something directly created by man, acting according to the goals he values, or consciously maintained by man because of the value attached to it. In all cultural phenomena, man always finds the realization of values recognized by him. Insofar as values are embedded

in cultural objects, we consider these objects as valuable. Values cannot be said to exist, but rather to have meaning. In the concept of culture, Rickert considers the phenomena important to man, such as: religion, church, law, state, morality, science, language, literature, art, economy, as well as the technical means necessary for its functioning. Rickert calls the historical-individualizing method the method of attribution to value. The historian must distinguish the inessential from the essential, he must express, describe the “significant”, the “interesting” in some sense. We must distinguish the “method of attribution to value” from the method of evaluation. Although history deals with values, it is not an evaluative science. On the contrary, it establishes what is attributed to value, remains in the field of establishing facts, and evaluation comes out of this field. As for the “objectivity” of values, their universality, in Rickert’s words, values “emerge in history, and along with the progress of culture, they enter the horizon of man one after the other, like the stars in the sky. These are neither old nor new values, they are simply values.” It is interesting and necessary to analyze Ivane Javakhishvili’s scientific heritage. There are also works of several scientists in this direction. Although Ivane Javakhishvili planned to write a theoretical-generalizing book – “The Purpose, Sources and Methods of History” – he never created it. Such a great historian as Ivane Javakhishvili definitely had certain philosophical precepts on the meaning of history. It is obvious that when studying the history of the Georgian nation, he considers the person, the people, politics, religion, law, economy, existential or artistic reality as a unified whole with its individuality. In history, he sees the implementation of such values as: political values (the idea of the integrity and unity of the nation, independence, civil peace, justice, the work and dedication of kings or rulers, etc.), religious, ethical, economic, legal, scientific or aesthetic values. For Ivane Javakhishvili, the content of history is determined precisely on the basis of the search, analysis and unity of the material that he considers to be a system of values. Although we do not find a definition of “culture” anywhere in Ivane Javakhishvili’s scientific heritage, it is clear that by “culture” he means everything that is the result of human activity and work, both in the political, material and spiritual spheres. Such a broad understanding of culture is clearly in full agreement with Rickert’s understanding of the concept of culture.

**სადუნ მანკაბერდელის მოღვაწეობის  
რეინტერპრეტაცია: პოლიტიკური რეალიზმი  
და სტრატეგიული ადაპტაცია მე-13 საუკუნის  
საქართველოში**

**A Reinterpretation of Sadun Mankaberdeli:  
Political Realism and Strategic Adaptation  
in 13th-century Georgia**

**ანა ქიტესაშვილი**  
**Ana Kitesashvili**

**მარიამ ჭინჭარაული**  
**Mariam Tchintcharauli**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** სადუნ მანკაბერდელი, XIII საუკუნე, მონღოლები, საქართველო, ღალატი, პოლიტიკა

**Keywords:** Sadun Mankaberdeli, 13th century, Mongols, Georgia, treason, politics

მე-13 საუკუნის საქართველო პოლიტიკური არასტაბილურობითა და გარე საფრთხეებით ხასიათდება. ეს ეპოქა მოითხოვდა ქვეყნის მმართველობის ახალ ფორმას, რომელიც ადაპტირდებოდა არსებულ მძიმე რეალობასთან. ამ კონტექსტში, სადუნ მანკაბერდელის პიროვნება საინტერესო საკვლევი თემაა, რადგანაც ის რჩება მე-13 საუკუნის საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ წინააღმდეგობრივ და საკამათო პერსონაჟად. მისი ცხოვრება და პოლიტიკური ქმედებები ამ გადამწყვეტი ეპოქის რთულ დინამიკას ასახავს. ტრადიციული გაგებით, იგი ხშირად მოღალატედ და ოპორტუნიისტად მოიხსენიება, რომელიც მონღოლების სასარგებლოდ მოქმედებდა და ქართულ ინტერესებს ღალატობდა. ქართული ისტორიოგრაფია, განსაკუთრებით შუა საუკუნეების წყაროებზე დაყრდნობით, სადუნ მანკაბერდელს ხშირად უარყოფით კონტექსტში განიხილავს. „შთამომავლობით გასომხებული ქურთი, სომხურის გარდა, ქართულის, სპარსულისა და მონღოლურის კარგი მცოდნე. ნიჭიერი ადამიანი. მისი ეროვნებაც თითქოს საჭიროებისამებრ იცვლებოდა და მონღოლს ის თანამოძმე მონღოლი ეჩვენებოდა, სომეხთან სომეხი, ქართველთან ქართველი იყო: სადაც რა უჯობდა, იმის გამოყენება იცოდა. იმ ხანისათვის დამახასიათებელი უეროვნებო, საკუთარ აღზევება-გამდიდრების წადილით შეპყრობილი პიროვნებათაგანი გახლდათ.“ – წერს ივანე ჯავახიშვილი.

სადუნის თანამშრომლობა მონღოლებთან და მათ სასარგებლოდ მოქმედება აღიქმება როგორც ღალატი და ეროვნული ინტერესების უგულებელყოფა. თუმცა ამ შეფასებაში ნაკლებად არის გათვალისწინებული XIII საუკუნის საქართველოს რთული გეოპოლიტიკური რეალობა და მონღოლთა იმპერიის აბსოლუტური ძალაუფლება. ეს კვლევა მიზნად ისახავს ამ ისტორიოგრაფიული ნარატივის გადახედვას და სადუნ მანკაბერდელის პოლიტიკური მოღვაწეობის ახალი, უფრო ნიუანსირებული ინტერპრეტაციის შეთავაზებას, რაც მას წარმოაჩენს არა როგორც მოღალატეს, არამედ როგორც პოლიტიკურ რეალისტს, რომელიც ცდილობდა, მაქსიმალურად ესარგებლა არსებული გარემოებებით.

ქართული ლეგენდების გმირული ფიგურებისგან განსხვავებით, სადუნი არ იყო მეომარი მეფე, რომელიც ჯარებს ბრძოლაში მიუძღოდა, სამაგიეროდ, მისი პოლიტიკური გავლენა მის სტრატე-

გიულ ქუკუსა და მუდმივად ცვალებად პოლიტიკურ ლანდშაფტთან ადაპტაციის უნარს ეფუძნებოდა. მონღოლების მოსვლამ, ძალამ, რომელმაც რეგიონის დამყარებული წესრიგი დაანგრია, სადუნი სერიოზული გამოწვევების წინაშე დააყენა. მას მოუწია ქართული გვირგვინისადმი ერთგულების შერწყმა მონღოლ დამპყობლებთან ურთიერთობის პრაგმატულ აუცილებლობასთან. ამ ბალანსის შენარჩუნება მისი პოლიტიკური კარიერის განმსაზღვრელი მახასიათებელი გახდა.

ტრადიციული ნარატივი, რომელიც ხშირად გმირულ წინააღმდეგობაზეა ფოკუსირებული, მიდრეკილია, უგულებელყოს რთული რეალობები, რომელთა წინაშეც ისინი იდგნენ, ვინც თავიანთი სამეფოს გადარჩენასა და თავიანთი ინტერესების დაცვას ცდილობდნენ. სადუნის თითოეული ქმედება მეტ ყურადღებასა და დაკვირვებას მოითხოვს. მონღოლთა შემოსევები მხოლოდ სამხედრო კამპანიები კი არ იყო, არამედ რეგიონში ახალი იმპერიალისტური მიდრეკილებების გამოხატულება. ეს ტრადიციული ერთგულებისა და სტრატეგიების გადაფასებას მოითხოვდა. ამ კონტექსტში, სადუნის პრაგმატიზმი, მისი მოლაპარაკებებისა და ადაპტაციის სურვილი შეიძლება, სტრატეგიული გადარჩენის ფორმად ჩაითვალოს. მას ესმოდა, რომ ბრმა წინააღმდეგობა, რაც შეიძლება ერის ემოციური საზრდო ყოფილიყო, საქართველოს სამეფოს სრულ განადგურებამდე მიიყვანდა. მისი როლი, როგორც მედიატორის, მომლაპარაკებლისა და პოლიტიკური სტრატეგის, ხაზს უსვამს მე-13 საუკუნის საქართველოს ისტორიის გადამწყვეტ ასპექტს: წინააღმდეგობასა და დამორჩილებას შორის ან ერთი ან მეორის არჩევას კი არა, არამედ რაღაცა საშუალო მდგომარეობის დაკავების სურვილს. ეს პერიოდი ქართველ ელიტას რთული არჩევანის წინაშე აყენებდა, მათ უნდა აეწონათ წინააღმდეგობის შედეგები, ან დაენახათ შეგუების პოტენციური სარგებელი. სადუნის ამბავი ასახავს ამ უფრო ფართო პოლიტიკურ რეალობას, სადაც გადარჩენა ერთგულების, მოლაპარაკებებისა და გათვლილი თავდაცვის რთულ ურთიერთქმედებებზე იყო დამოკიდებული.

მონღოლთა შემოსევების დროს სადუნ მანკაბერდელის პოლიტიკური მანევრების შესწავლის გზით, გვსურს დავადგინოთ სადუნის ქმედებების ნამდვილი არსი, რომელიც ხშირად მორალუ-

რად ორაზროვნად აღიქმება. აბსოლუტური გარე ზეწოლის წინაშე პოლიტიკური გადარჩენა მოითხოვდა ერთგულებასა და სტრატეგიულ ადაპტაციას შორის ოქროს შუაღედის პოვნას, რაც საბოლოოდ ავლენდა მე-13 საუკუნის საქართველოში ძალთა არასტაბილურ ბალანსს. სადუნის ცხოვრებასა და ქმედებებზე ფოკუსირებით ეს კვლევა მიზნად ისახავს, გავიგოთ საქართველოს ისტორიის ეს კრიტიკული პერიოდი უფრო ნიუანსირებულად, გადავხედოთ ტრადიციულ ნარატივს და წარმოვაჩინოთ აბსოლუტური გარე ზეწოლის წინაშე პოლიტიკური გადარჩენის რთული რეალობა.

13th century Georgia is characterized by political instability and external threats. This era demanded a new form of governance for the country, one that would adapt to the harsh realities of the time. In this context, the figure of Sadun Mankaberdeli represents an interesting subject for study, as he remains one of the most contradictory and controversial characters in 13th century Georgian history. His life and political actions reflect the complex dynamics of this crucial period. In traditional understanding, he is often referred to as a traitor and opportunist who acted in favor of the Mongols and betrayed Georgian interests. Georgian historiography, particularly relying on medieval sources, often portrays Sadun Mankaberdeli in a negative context. 'A Kurd of Armenian descent, well-versed in Armenian, Georgian, Persian, and Mongol languages. A talented individual. His nationality seemed to change according to need; he appeared as a fellow Mongol to the Mongols, an Armenian to the Armenians, and a Georgian to the Georgians. He knew how to exploit every advantage. He was one of those individuals of that era, devoid of national identity, consumed by a desire for personal advancement and enrichment,' writes Ivane Javakhishvili.

Sadun's collaboration with the Mongols and his actions in their favor are perceived as betrayal and a disregard for national interests. However, this assessment pays little attention to the complex geopolitical reality of 13th century Georgia and the absolute power of the Mongol Empire. This research aims to revise this historiographical narrative and offer a new, more nuanced interpretation of Sadun Mankaberdeli's political activities, presenting him not as a traitor, but as a political realist who tried to make the most of the existing circumstances.

Unlike the heroic figures of Georgian legends, Sadun was not a warrior king who led armies into battle. Instead, his political influence was based on his strategic intelligence and his ability to adapt to the constantly changing political landscape. The arrival of the Mongols, a force that shattered the established order of the region, posed serious challenges for Sadun. He had to reconcile his loyalty to the Georgian crown with the pragmatic necessity of dealing with the Mongol conquerors. Maintaining this balance became the defining characteristic of his political career.

The traditional narrative, often focused on heroic resistance, tends to overlook the complex realities faced by those who sought to preserve their kingdoms and protect their interests. Each of Sadun's actions requires more attention and scrutiny. The Mongol invasions were not merely military campaigns but also expressions of new imperialist tendencies in the region. This demanded a reassessment of traditional loyalties and strategies. In this context, Sadun's pragmatism, his willingness to negotiate and adapt, can be seen as a form of strategic survival. He understood that blind resistance, while emotionally gratifying for the nation, would lead to the complete destruction of the Georgian kingdom. His role as a mediator, negotiator, and political strategist highlights a crucial aspect of 13th-century Georgian history: the desire to occupy a middle ground, rather than choosing between resistance and submission. This period presented the Georgian elite with difficult choices; they had to weigh the consequences of resistance against the potential benefits of accommodation. Sadun's story reflects this broader political reality, where survival depended on a complex interplay of loyalty, negotiation, and calculated defense.

By examining Sadun Mankaberdeli's political maneuvers during the Mongol invasions, we aim to determine the true essence of his actions, which are often perceived as morally ambiguous. In the face of absolute external pressure, political survival required finding a middle ground between loyalty and strategic adaptation, ultimately revealing the unstable balance of power in 13th-century Georgia. By focusing on Sadun's life and actions, this research seeks to understand this critical period of Georgian history in a more nuanced way, revising the traditional narrative and illustrating the complex reality of political survival in the face of absolute external pressure.



**რამდენიმე ანტიკური პარალელი  
ჯოვანი პასკოლის შემოქმედებაში**

**Some Ancient Literary Parallels in the Poetry  
of Giovanni Pascoli**

**ნიკოლოზ შამუგია**  
**Nikoloz Shamugia**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ჯოვანი პასკოლი, ანტიკური მწერლობა, შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

**Keywords:** Giovanni Pascoli, ancient literature, comparative literature

მოხსენება ეხება ძველბერძნულ-რომაულ მწერლობაში და-  
დასტურებულ რამდენსამე მხატვრულ სახესა და მეტაფორას, რომ-  
ლებიც გვხვდება ჯოვანი პასკოლის პოეზიაშიც.

შედარებით ლიტერატურისმცოდნეობაში მნიშვნელოვანია  
მსოფლიო ლიტერატურის ამა თუ იმ თვალსაჩინო წარმომადგენ-  
ლის შემოქმედებაში პარალელების დაძებნა ანტიკურ მწერლობას-  
თან.

აღნიშნული საკითხის კვლევა ზოგადად შეიძლება ორი მიმარ-  
თულებით წარიმართოს: ა) იმ შემთხვევების შესწავლა, როდესაც  
მწერალი ლექსში ახსენებს ანტიკურ პერსონაჟებს და გარკვეულ  
დატვირთვას ანიჭებს მათ სახეს; ბ) იმ შემთხვევების გამოვლენა და  
შესწავლა, როდესაც მწერალი ლექსში არ ახსენებს ანტიკურ პერ-  
სონაჟებს (შესაძლოა, არც ფიქრობდა რაიმე ანტიკურ ნაწარმოებ-  
ზე), მაგრამ მსგავსება ანტიკურ ლიტერატურულ სახესა თუ ტროპულ  
მეტყველებასთან აშკარაა და შედარება გამართლებულია. ჩვენ  
სწორედ ამგვარი პარალელები გვაინტერესებს.

მოხსენებაში წარმოვაჩინთ ანტიკურ პოეზიასთან პარალე-  
ლებს ჯოვანი პასკოლის რამდენიმე ლექსიდან („Nebbia“ / „ნისლი“,  
„O reginella“ / „ო, დედოფალო“, „Addio!“ / „მშვიდობით!“ და „La cuci-  
trice“ / „მკერავი“).

The paper deals with some ancient literary images and metaphors  
which can be traced in the poetry of Giovanni Pascoli.

Research into ancient literary influence, in general, can be conduct-  
ed in two directions: a) studying and interpreting those poems in which  
ancient mythological characters or places are named; b) identifying and  
interpreting those cases when no ancient mythological characters or  
places are named and, at a glance, there is no evident classical influence,  
but some images or phrases show a clear resemblance to ancient poets'  
tropes. The study deals with parallels of the second type.

The scientific work discusses ancient literary parallels that can be  
traced down in the following poems by Giovanni Pascoli: “Nebbia”, “O regi-  
nella”, “Addio!”, and “La cucitrice”.

**გერმანიის არმიის ტრანსფორმაცია  
1918-1921 წწ.**

**Transformation of the German Army  
1918-1921**

**ფატი შეკლაშვილი  
Pati Sheklashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** პირველი მსოფლიო ომი, კაიზერის არმია, რაიხსვერი, ვაიმარის რესპუბლიკა, ვერსალის ხელშეკრულება, ვაიმარის კონსტიტუცია, დროებითი რაიხსვერი

**Keywords:** World War I, Kaiser's Army, Reichswehr, Weimar Republic, Treaty of Versailles, Weimar Constitution, Provisional Reichswehr

რაიხსვერის არმიის, როგორც გერმანული ვერმახტის ფუნდამენტის, ისტორია მრავალი თვალსაზრისით არის საინტერესო. გერმანიის დამარცხებამ პირველ მსოფლიო ომში და გერმანიის პირველი რესპუბლიკის გამოცხადებამ მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა გერმანიის სახელმწიფოში არმიის როლის შეცვლაზე.

მოხდა რადიკალური ცვლილება, ერთი მხრივ, გენერალურ შტაბს და მის თანამშრომლებს შორის და, მეორე მხრივ, რაიხსვერის სამინისტროს, მთავრობასა და ადგილობრივ ადმინისტრაციას შორის ურთიერთობებში.

კაიზერის არმიის რაიხსვერად რეორგანიზაციის ეტაპზე (1918-1921 წწ.) მთავარი მიზანი იყო გერმანიის არმიის ახალი მოდელის შექმნა. თუ ბისმარკის დროს გამორიცხული იყო სამხედროების რაიმე სახის ჩარევა მთავრობის პოლიტიკურ გადაწყვეტილებებში, ტრანსფორმაციის შედეგად კაიზერის დროინდელი არმიის პოლიტიკისგან „დისტანცირების“ პრინციპი შეიცვალა ახალი საკანონმდებლო და პოლიტიკური რეალობით.

სამხედროებისათვის, რიგითი მოქალაქეებისგან განსხვავებით, გერმანიის რესპუბლიკად გამოცხადება იმაზე მეტი იყო, ვიდრე, უბრალოდ, სახელმწიფო წყობის შეცვლა. მათი პირადი, ინტელექტუალური და პროფესიული ბირთვი მოულოდნელად გაქრა. მონარქიის დამხობა, კაიზერისა და სხვა მმართველების ჩამოშორება ხელისუფლებისგან, პრუსიის სამხედრო ტრადიციების მოშლა მათი უმეტესობისთვის სრულ კატასტროფას ნიშნავდა. წინანდელი არმია და მისი საქმიანობა განუყოფელი იყო მონარქის პიროვნებისგან. იმპერატორის ერთგულების ფიცი მათთვის გასცდა პოლიტიკას და გახდა ეთიკის საკითხი. „არმიის ცნობიერებაში იმპერიული იდეა ჩაანაცვლა არა „სახელმწიფომ“, „ხალხმა“ ან რომელიმე პარტიამ, არამედ „რაიხის“ აბსტრაქტულმა კონცეფციამ, რომელიც აერთიანებდა ხალხს და სახელმწიფოს, რაშიც გამოვლინდა სწორედ გერმანული ეროვნული იდენტობის არსი.“ პრუსიის სამხედრო ტრადიციების მიხედვით, ჯარისკაცისთვის არსებობდა ერთი აბსოლუტური ტაბუ: არასოდეს დაეჭირა ამა თუ იმ პოლიტიკური ძალის მხარე და, მით უმეტეს, არ გამხდარიყო ინსტრუმენტი მის ხელში.

ვერსალის ხელშეკრულებამ და ვაიმარის კონსტიტუციამ დასვა საკითხი გერმანიის არმიის სახელმწიფო აპარატის განუყოფელ

ნაწილად გარდაქმნაზე, რაც ნიშნავდა შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო-პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე საპრეზიდენტო-საპარლამენტო კონტროლის დაწესებას. ამ ყოველივემ გამოიწვია არმიის აპოლიტიკურობის დაკარგვა.

რაიხსვერის მინისტრის თანამდებობამ, ფაქტობრივად, ერთი პიროვნების ხელში გააერთიანა არმიისა და სამხელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენლის ფუნქციები, ამასთან, ხელი შეუწყო გერმანული პროფესიონალური არმიის ჩამოყალიბებას და შეიარაღების სფეროში პოლიტიკოსებისა და სამხედროების მიერ მოკავშირეების ერთობლივად ძებნის უზრუნველყოფას.

არმია ცდილობდა, დაეცვა პრუსიის ძველი სამხედრო ტრადიციები, ვაიმარის პოლიტიკოსები კი ესწრაფოდნენ, არმია დაქვემდებარებოდა საპარლამენტო-საპრეზიდენტო კონტროლს. მთავარი აქცენტები გაკეთდა არმიის რეფორმაზე, რომელიც მოიაზრებდა სამხედრო ხელმძღვანელობის ცალსახად დაქვემდებარებას პოლიტიკურზე.

არმიის დემოკრატიზაციის ექსპერიმენტი (მეთაურთა არჩევა, განმასხვავებელი ნიშნების გაუქმება და სხვ.) არ აღმოჩნდა საკმარისი არმიაში სამხედრო დისციპლინის დასამკვიდრებლად. მთავრობას დაცვის და ავტორიტეტის გასაძლიერებლად სჭირდებოდა ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცები. რესპუბლიკის ხელმძღვანელობა არ ფლობდა სათანადო გამოცდილებას სამხედრო პოლიტიკაში, რის გამოც იძულებული გახდა, მიემართა კაიზერის არმიის ჯარისკაცებისა და ოფიცრებისთვის.

ახალი მეთაურის, ვ. რაინჰარდის მხარდაჭერით, შესაძლებელი გახდა უნიტარული არმიის საფუძვლების შექმნა, რომელიც აერთიანებდა მანამდე ცალ-ცალკე არსებულ პრუსიის, ბავარიის, საქსონიისა და ვიურტემბერგის არმიებს.

ვაიმარის რესპუბლიკის შემდგომ ეტაპზე ჯარში თანდათან გამოჩნდნენ მთავრობის არჩეული გენერლები, ხოლო მნიშვნელოვანი სამთავრობო პოზიციები დაიკავეს გენერალიტეტის წარმომადგენლებმა, მაგრამ ძალთა ბალანსის შედეგმა, უკვე დროებითი რაიხსვერის განვითარების ეტაპზე, როდესაც ჯარში რეალური ძალაუფლება იყო სახმელეთო ჯარების მეთაურის ხელში და არა რაიხის

პრეზიდენტისა და რაიხვერის მინისტრის, დიდწილად წინასწარ განსაზღვრა კონსერვატიული სამხედრო ელიტის სიძლიერე მომავალში.

The history of the Reichswehr, as the foundation of the German Wehrmacht, is interesting in many ways. Germany's defeat in World War I and the proclamation of the First German Republic had a significant impact on the changing role of the army in the German state.

A radical change took place in the relations between the General Staff and its members, on the one hand, and between the Reichswehr Ministry, the government, and the local administration, on the other.

During the reorganization of the Kaiser's army into the Reichswehr (1918-1921), the main goal was to create a new model of the German army. If under Bismarck any interference by the military in the political decisions of the government was excluded, as a result of the transformation, the principle of "distancing" was replaced by a new legislative and political reality. For the military, unlike ordinary citizens, the proclamation of the German Republic was more than just a change in the state structure. Their personal, intellectual, and professional core suddenly vanished.

The overthrow of the monarchy, the removal of the Kaiser and other rulers from power, and the destruction of Prussia's military traditions meant complete disaster for most of them. The old army and its activities were inseparable from the personality of the monarch. The oath of allegiance to the emperor went beyond politics for them and became a matter of ethics. "In the consciousness of the army, the imperial idea was replaced not by 'the state', 'the people' or any party, but by the abstract concept of 'Reich', which united the people and the state, in which the essence of German national identity was revealed." According to Prussian military traditions, there was one absolute taboo for a soldier: never to take the side of one political force or another, and especially, not to become a tool in their hands.

The Treaty of Versailles and the Weimar Constitution raised the issue of transforming the German army into an integral part of the state appa-

ratus, which meant establishing presidential-parliamentary control over the armed forces and military-political leadership. All of this led to the loss of the army's apolitical nature.

The position of Reichswehr Minister effectively combined the functions of the army and the representative of the state government in the hands of one person. In addition, it contributed to the formation of a professional German army and ensured the joint search for allies by politicians and the military in the field of armaments.

The army sought to preserve Prussia's old military traditions, while Weimar politicians sought to bring the army under parliamentary-presidential control. The main emphasis was placed on army reform, which implied the clear subordination of military leadership to political leadership.

The experiment of democratizing the army (election of commanders, abolition of insignia, etc.) did not prove sufficient to establish military discipline in the army. The government required combat-ready soldiers to protect itself and strengthen its authority. The republic's leadership lacked the necessary experience in military policy and was forced to turn to soldiers and officers from the Kaiser's army.

With the support of the new commander W. Reinhard, it became possible to create the foundations of a unitary army, uniting the previously separate armies of Prussia, Bavaria, Saxony, and Württemberg.

In the later stages of the Weimar Republic, government-appointed generals gradually appeared in the army, and important government positions were occupied by representatives of the generals. But the outcome of the balance of power already at the stage of development of the provisional Reichswehr, when the real power in the army was in the hands of the commander of the ground forces, and not the Reich President and Reich Minister, largely predetermined the strength of the conservative military elite in the future.

**ბიბლიოთეკები, როგორც ადამიანის  
მეხსიერების და კულტურული იდენტობის  
მემორიალური საქმიანობის ფენომენი**

**Libraries as a Phenomenon of Memorial Activity  
of Human Memory and Cultural Identity**

**ხათუნა ჩუგოშვილი**  
**Khatuna Chugoshvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ბიბლიოთეკა, მემორიალური ფუნქციები, მეხსიერება, კულტურული იდენტობა

**Keywords:** library, memorial functions, memory, cultural identity



21-ე საუკუნეში ბიბლიოთეკა უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სა-  
ცავი. ის ასახავს როგორც ლოკალურ სოცოკულტურულ, ასევე საერ-  
თაშორისო პოლიტიკურ კონტექსტსაც კი. იზრდება ინტერესი ბიბ-  
ლიოთეკის, როგორც მეხსიერების ადგილის, მიმართ.

საქართველოში ბიბლიოთეკების ისტორია უკავშირდება მო-  
ნასტრების საქმიანობას. ეკლესია-მონასტრების დაარსებისთანა-  
ვე წიგნსაცავის შექმნაზე ზრუნავდნენ. ყველა ეკლესია-მონასტერს  
თავისი წიგნსაცავი ჰქონდა.

თანამედროვე ანთროპოლოგიური კვლევების ერთ-ერთი საყუ-  
რადღებო მიმართულება მეხსიერების კვლევაა. მსოფლიო სამეც-  
ნიერო საზოგადოებაში ინტერესი ისტორიული (კულტურული) მეხ-  
სიერების, როგორც კვლევების ინტერდისციპლინური მიმართულე-  
ბის მიმართ, დღითიდღე იზრდება.

როგორ შეიძლება, ვიკვლიოთ ბიბლიოთეკები ადგილისა და  
სივრცის ანთროპოლოგიური თეორიების ფარგლებში? ეს ის კითხვე-  
ბია, რომლებსაც ანთროპოლოგები ბიბლიოთეკასთან მიმართებით  
სვამენ. საჯარო ბიბლიოთეკის მემორიალური ფუნქციის შესწავლის  
თეორიული და მეთოდოლოგიური მიდგომები აქტუალური სფეროა.  
ამჟამად მეთოდოლოგიური ასპექტები სიღრმისეულ განვითარებას  
მოითხოვს. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა უფრო მკაფიო ტერმინო-  
ლოგია და კონცეფცია საჯარო ბიბლიოთეკების კონკრეტული მო-  
დელების ფუნქციონირების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ  
მემორიალურ ფუნქციას. თანამედროვე საჯარო ბიბლიოთეკის მე-  
მორიალური ფუნქციის განვითარება მოითხოვს შესაბამისი სპეცია-  
ლიზებული სამეცნიერო კონცეფციებისა და ტერმინების შემუშავე-  
ბას. ამრიგად, საზოგადოებაში საბიბლიოთეკო დაწესებულებების  
როლის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, გამოვყოთ, პირველ რიგში,  
ბიბლიოთეკის მემორიალური, „დამცავი“ ფუნქცია.

In the 21st century, the library is more than just a repository. It reflects both the local socio-cultural and even the international political context. There is a growing interest in the library as a place of memory.

The history of libraries in Georgia is connected with the activities of monasteries. Immediately after the founding of churches and monasteries, they took care of creating book depositories. Every church and monastery had its own book depository.

One of the noteworthy directions of modern anthropological research is the study of memory. In the world scientific community, interest in historical (cultural) memory as an interdisciplinary field of research is growing day by day.

How can we study libraries within the framework of anthropological theories of place and space? These are the questions that anthropologists put in relation to the library.

Theoretical and methodological approaches to studying the memorial function of the public library are the object of consideration.

Currently, methodological aspects require in-depth development. First of all, there is a need for clearer terminology and a concept of the functioning of specific models of public libraries that carry out a memorial function. The development of the memorial function of a modern public library requires the development of appropriate specialized scientific concepts and terms. Thus, the analysis of the role of library institutions in society allows us to single out, first of all, the memorial, "protective" function of the library.

**მუსიკალიზაციის ლიტერატურული ფესვები  
მოდერნისტულ ლიტერატურაში**

**Foundations of Musicalization  
of Literature in Modernism**

**ნინო ჭინჭარაული**  
**Nino Tchintcharauli**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ლიტერატურის მუსიკალიზაცია, მუსიკალური პოეტიკა, მოთოპოეტიკა, მოდერნიზმი, დრო და ზედროულობა

**Keywords:** musicalization of literature, musical poetics, mythical poetics, modernism, time and beyond time

საკონფერენციო ნაშრომში განხილულია ლიტერატურის მუსიკალიზაციის არსი. ვორინგერისა და ჰიუმის თეორიული ნაშრომებით ახსნილია მიზეზები, რომლებმაც განაპირობეს მწერალთა ინტერესის გაზრდა მუსიკის მიმართ. განსაზღვრულია მუსიკის მიმართება დროსთან. განხილულია მუსიკალური და მითოსური პოეტიკის ურთიერთკავშირი. ნაშრომში არის მსჯელობა, როგორ ხდება მუსიკალური პოეტიკის გამოყენებით ფსიქოლოგიური დროის გათიშვა და ტრადიციული დროით განპირობებული ლინიარული თხრობის ნაცვლად ერთდროულობის ესთეტიკური ეფექტის შექმნა.

მეოცე საუკუნის პირველი ნახევარი ხელოვნების ისტორიაში რევოლუციური ცვლილებების პერიოდი იყო. ძირეული ცვლილებები, პირველ რიგში, აისახა გამომსახველობითი ფორმების სრული ტრანსფორმაციით, რომელიც, თავის მხრივ, განპირობებული იყო მხატვართა, მწერალთა თუ კომპოზიტორთა სამყაროს ქვრეტის ახლებური გააზრებით. რეალობა, რომლისთვისაც, არისტოტელეს მიხედვით, ხელოვანებს უნდა მიეძაძათ, არ იყო სწორხაზოვანი და არც სამგანზომილებიანი. რეალობისადმი არამიმეტური დამოკიდებულება (თ. კობახიძე) მოითხოვდა უკვე დადგენილი ფორმების დაშლას, გარდაქმნასა და გადააზრებას. ამ მოვლენის თვალსაჩინო გამოვლინებაა, მაგალითად: კუბიზმი სახვით ხელოვნებაში, ატონალური მუსიკა მუსიკალურ ხელოვნებაში, რითაც გამოირჩეოდა სტრავინსკისა და შონბერგის შემოქმედება, და იგივე შეიძლება ითქვას მოდერნისტულ ლიტერატურაზე, რომელმაც თხრობის სრულიად ახლებური სტილი შემოგვთავაზა. ეს სიახლე ლიტერატურულ ნაწარმოებებში, უმეტესად, ეყრდნობოდა ცნობიერების ნაკადის პრინციპს, არქეტიპული სახეების გაცნობიერებულ გამოყენებას, ინტერტექსტუალიზმსა და ალუზიების სიუხვეს, თუმცა ხელოვნების თითოეული დარგისათვის უნიკალურად დამახასიათებელ გამომსახველობით ფორმათა ცვალებადობას მოდერნიზმში საერთო ესთეტიკური მახასიათებელი აქვს.

მოდერნისტულ ეპოქაში გადაფასების მიზეზი უნდა ვეძიოთ ბუნებისგან გაუცხოებით გამოწვეული აბსტრაქციის სურვილით. სამყაროსგან გაუცხოებული ადამიანი სულიერი სიმშვიდის დასაბრუნებლად აბსტრაქტული და სქემატური ფორმებისკენ მიისწრაფვის,

მუსიკა კი ხელოვნების დარგებს შორის ყველაზე მეტად გამოირჩევა აბსტრაქციით და კანონზომიერებითაც. მუსიკის აბსტრაქტული რაობა პირდაპირ აირეკლავს სამყაროს, როგორც ნებას (შოპენჰაუერი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი პირდაპირი გამოვლინებაა ღვთაებრივი, ზედროული ქეშმარიტებისა. აქედან გამომდინარე, მუსიკას, მიუხედავად იმისა, რომ დროში განგრძობადი ხელოვნებაა, აქვს უნიკალური უნარი, დაძლიოს საკუთარი დროითი ბუნება და გასივრცდეს. გასივრცება გულისხმობს მუსიკის არა დანაწევრებულ აღქმას (დასაწყისი, განვითარება და დასასრული), არამედ მის ერთიან გააზრებას, მთლიანობაში აღქმას. ტომას ელიოტი აღნიშნავდა, რომ, თუ მუსიკის მსმენელი გულდასმით უსმენს მუსიკალურ კომპოზიციას, მის აღქმაში ერთიანად ჟღერს ის, რასაც მოუსმინა, რასაც უსმენს და ისიც, რაც მოსასმენი დარჩა. მუსიკის ესთეტიკური აღქმისას არ არსებობს წარსული, აწმყო და მომავალი, არსებობს მხოლოდ ერთიანი და ერთდროული უძრავი აწმყო. მუსიკის უნიკალური ესთეტიკური მახასიათებელი: იყოს დროით განპირობებული და იმავდროულად დაძლიოს იგი, ბადებს მისთვის დამახასიათებელ ესთეტიკურ ეფექტს, რომელსაც მოძრავი ხატი შეგვიძლია ვუწოდოთ.

მუსიკა, მიუხედავად მისი ძალმოსილებისა, არსებითად შეუცნობელი და ბუნდოვანია ადამიანისთვის. შეუძლებელია, მუსიკის მიერ გამჟღავნებული ქეშმარიტების სახელდება მოახდინო ან გაიზიარო იგი. მუსიკის მისტიკური ბუნება მეტ-ნაკლებად ნათელი ხდება, როდესაც ლიტერატურაში მუსიკალური პოეტიკის გამოყენებით მუსიკალური კომპოზიციური პრინციპები ენობრივ ფორმაში ექცევა. თუმცა ეს არ გულისხმობს, რომ ხელოვნების ეს ორი დარგი ერთგვაროვანია. ჯომ თორაბის განმარტებით, ენობრივი საშუალებები ვერასდროს ადეკვატურად ვერ გადმოიტანენ მუსიკის ყოვლისმომცველ სიმბოლიზმს, რადგან მუსიკა სიმბოლურ მიმართებაში იმყოფება პირველყოფილ დაპირისპირებასა და პირველყოფილი ერთიანობის გულისგულში აღმოცენებულ პირველყოფილ ტკივილთან. ენა კი, როგორც სხეულის ნაწილი და გარკვეული მოვლენის სიმბოლო, ვერასდროს ვერანაირი საშუალებით ვერ შეძლებს, გამოხატოს მუსიკის გულისგულში დაფარული სიღრმე. (Torabi, 2020) თუმცა აქვე

უნდა აღინიშნოს, რომ მოდერნისტული ლიტერატურის მუსიკალური პოეტიკა ყველაზე მეტად უახლოვდება მას.

მოდერნისტი ავტორები მუსიკალური კომპოზიციური ფორმების, მაგ.: ლაიტმოტივი, ფუგა, სონეტი, სონეტის ფორმა, სიმფონია და ა.შ მხატვრული ტექსტის სტრუქტურაში ადაპტირებით ცდილობდნენ, შეექმნათ მოძრავი ხატის ეფექტი და ტრადიციული ლინიარული თხრობა ერთიანი თხრობით (simultaneous narrative) ჩაენაცვლებინათ.

ლიტერატურის მუსიკალიზაციის მაგალითი გვხვდება ისეთ დიდ მოდერნისტ ავტორებთან, როგორებიც იყვნენ: ანდრე ჟიდი, თომას მანი, ჰერმან ჰესე, ოლდოუზ ჰაქსლი, ტ.ს. ელიოტი და ჯეიმს ჯოისი.

ნაშრომში გამოთქმული თეორიული მოსაზრებები ეყრდნობა მრავალი დიდი მოაზროვნის მსჯელობას: ნეტარი ავგუსტინეს, შოპენჰაუერის, ვაგნერის, ელიოტის. ნაშრომში უხვად არის გამოყენებული სამეცნიერო სტატიები თუ მონოგრაფიები. მაგალითად, თემურ კობახიძის მონოგრაფია, ტომას ელიოტი და მაღალი მოდერნიზმის ლიტერატურული ესთეტიკა, ჯომ ტორაბის ნაშრომი, *Music and Myth in Modern Literature*, ჰილის მილერის სტატია, *Time in Literature* და თომას მანის ლექცია, *The Making of Magic Mountain* და ა.შ.

The conference research studies the idea of musicalization of literature. Based on Worringer's and Hume's theoretical works the paper explains the reasons that led to increased modernist writer's interest in music. It explores the relationship between the concept of time and music and the link between music and myth. The presented paper discusses how musical poetics is used in modernist literature to overcome the perception of psychological time and create an aesthetical sense of simultaneity instead of traditional linear narration.

The first half of the 20th century was a time of revolutionary changes in art history. Fundamental changes were primarily reflected in the complete transformation of expressive forms, which in turn was conditioned by a new understanding of the worldview of artists, writers, and compos-

ers. Reality, which according to Aristotle should be imitated by artists, was neither linear nor three-dimensional. Non-mimetic relation to the world that characterised 20th-century literature required the rethinking and transformation of already existing expressive forms. Visible manifestations of this phenomenon are, for example, Cubism in the visual arts, and atonal music in the works of Stravinsky and Schoenberg. As for modernist literature, it offered us an utterly new narration style. The same can be said about modernist literature which offered a completely new style of narration. This innovation in literary works stood mainly on the principle of stream of consciousness, the conscious use of archetypal images, intertextuality, and abundance of allusions. However, changing means of expression unique to each art form has one and the same aesthetic characteristic in modernism.

The reason for the reevaluation in the modernist era should be sought in the desire for abstraction caused by the alienation from nature. Alienated from the world, man strives for abstract and schematic forms to regain spiritual peace. Music is the most distinguished of all the art forms by its abstraction and regularity. The abstract nature of music directly reflects the world as a will (Schopenhauer); in other words, it is a direct manifestation of divine, transcendent truth. Therefore, music, despite being a time-bound art, has the unique ability to transcend its temporal nature and spatialize. Spatialization implies not a fragmented perception of music (beginning, development, and end), but rather a unified understanding of it, a perception of it as a whole. Thomas Eliot noted that if one listens attentively to a musical composition, what he hears, in effect is the musical composition as a whole. What one has listened to, what he is listening to, and what remains to be heard sounds as one in his perception. In the aesthetic perception of music, there is no past, present, or future, there is only a unified and simultaneous eternal present. The unique aesthetic characteristic of music: being conditioned by time and, at the same time, transcending it, creates a characteristic aesthetic effect that Ernst Kurth called motion-image.

By adapting musical compositional forms, such as leitmotif, fugue, sonnet, sonnet form, symphony, etc., into the structure of a literary text,

modernist authors attempted to create the effect of a motion-image and replace traditional linear narrative with simultaneous narrative.

Examples of the musicalization of literature can be found in the works of such great modernist authors as André Gide, Thomas Mann, Hermann Hesse, Aldous Huxley, T. S. Eliot, and James Joyce.

The theoretical ideas expressed in the paper are based on the ideas of such great thinkers as St. Augustine, Schopenhauer, and Thomas Eliot. The paper cites important articles and monographs. For example, Temur Kobakhidze's monograph, *Thomas Eliot and the Literary Aesthetics of High Modernism*, Josh Torab's work, *Music and Myth in Modern Literature*, Hillis Miller's article, *Time in Literature* and Thomas Mann's lecture, *The Making of Magic Mountain*, etc.



**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის  
სტრატეგიები ურბანულ გარემოში  
(თბილისის მაგალითი)**

**The Strategies on Cultural Heritage  
in Urban Environment  
(Case of Tbilisi)**

**ქეთევან ხუციშვილი**  
**Ketevan Khutsishvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** კულტურული მემკვიდრეობა, თბილისი, ურბანული გარემო, მემკვიდრეობის სტრატეგიები, მემორიების ადგილები

**Keywords:** cultural heritage, Tbilisi, urban environment, heritage strategies, memory cites

კულტურული მემკვიდრეობის საკითხი განსაკუთრებით მგრძნობიარე საკითხია უძველესი კულტურებისთვის, როგორცაა ქართული კულტურა. ამასთან, მეოცე საუკუნეში საბჭოთა სისტემის ფარგლებში მოქცევამ ეროვნული იდენტობის შენარჩუნების პრობლემა დააყენა დღის წესრიგში, რამაც გამოიწვია განსაკუთრებული ორიენტირება წარსულზე, ეთნოგრაფიულ ელემენტებსა და კულტურულ მემკვიდრეობაზე. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნიდან ცალკეული მეცნიერები აგროვებდნენ, იკვლევდნენ და იცავდნენ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებად მიჩნეულ არტეფაქტებს. მე-20 საუკუნის დასაწყისში საზოგადოებებისა და მუზეუმების კვალდაკვალ სახელმწიფომ დაიწყო კულტურული მემკვიდრეობის სტრატეგიების შემუშავება. 1934 წელს შეიქმნა „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის კომიტეტი“. 1959 წელს პირველად საბჭოთა კავშირში შეიქმნა მოხალისეობრივი ორგანიზაცია – „საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება“. მისი მიზანი იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების იდენტიფიცირება, დაცვა, აღდგენა და შესწავლა საქართველოში და ქვეყნის ფარგლებს გარეთ. 1977 წელს მიღებულ იქნა კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“, ხოლო 1978 წლის დადგენილებით გაუქმდა ადრე არსებული ძეგლთა დაცვის ორგანო და შეიქმნა „საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო დეპარტამენტი“. 2004 წელს, ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდეგ, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სტრუქტურაში შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი, სხვადასხვა მიმართულების სამმართველოებით, რომლებიც აერთიანებდნენ დამკვეთისა და მაკონტროლებლის ფუნქციებს. ამ პერიოდიდან დაიწყო ახალი ეტაპი კულტურული მემკვიდრეობის მართვის სფეროში. სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებისა და დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროგრამა“ სახელმწიფოს მიერ დარგის დაფინანსების მკაფიოდ გამოხატული ტენდენციით და კულტურული მემკვიდრეობის მართვის ევროპულ მოდელზე ადაპტირებული სტრუქტურით. 2008 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა ძეგლთა

დაცვის ორგანიზაცია – საქართველოს სახელმწიფო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვადასხვა და მეტად სპეციფიკური სფეროებით – მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, მუზეუმები, მუზეუმ-ნაკრძალები და არქეოლოგიური ძეგლები, საინფორმაციო სისტემები, კულტურული მემკვიდრეობის კვლევისა და საერთაშორისო საგანმანათლებლო დოკუმენტაციის პროექტი. სააგენტოს ამოცანები მოიცავს საქართველოს მასშტაბით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ მუზეუმების, ნაკრძალების, მოძრავი და უძრავი ძეგლების შენარჩუნებას, დაცვასა და პოპულარიზაციას. ძირითადი ყურადღება დაეთმო ისტორიულ-არქიტექტურულ ძეგლებს, მაგრამ 2017 წელს, კანონის კულტურული მემკვიდრეობის შესახებ მიღების შემდეგ, განისაზღვრა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დეფინიციები. ამ საკანონმდებლო ბაზის გათვალისწინებით განვიხილავ თბილისში არსებული მატერიალური კულტურის ძეგლების პრობლემას. თბილისის საქართველოს დედაქალაქია 1,5 მილიონზე მეტი მოსახლეობით. ეს არის ყველაზე მულტიკულტურული ურბანული ტერიტორია კულტურული ძეგლების ვრცელი სიით. დაცვის ქვეშ მყოფი შენობების სია არის ერთგვარი გარანტი იმისა, რომ ისინი დაცულ იქნებიან. მაგრამ პოსტსაბჭოთა პროცესებმა გავლენა მოახდინა ძეგლების მიმართ დამოკიდებულებაზე და ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე ძეგლების დიდ რაოდენობას მოეხსნა ძეგლის სტატუსი.

ამასთან, მემკვიდრეობის შესახებ დისკურსები, ძირითადად, დაკავშირებული იყო გლობალიზაციის საფრთხესა და მეხსიერების შეცვლასთან. ორივე დაკავშირებულია იდენტობის კონსტრუქციასთან. ეკონომიკური და პოლიტიკური ინტეგრაციის მიმდინარე პროცესის შედეგად გაიზარდა ეთნიკური იდენტობის მნიშვნელობა კულტურული სტანდარტიზაციის საფრთხის გაცნობიერების გამო. გაჩნდა რეზისტენტული და პროექციული იდენტობები.

თბილისის, როგორც ქალაქი, თავისი სპეციფიკური სახით, ლანდშაფტის ორგანიზებით, არქიტექტურული სტილით და ა.შ., განსაკუთრებით, მისი ისტორიული ცენტრი ადგილობრივების მიერ მიჩნეულია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად, რომელიც დაცვას

საჭიროებს და რომელიც დეკონსტრუქციის საფრთხის ქვეშ იმყოფება მოდერნიზაციის ახალი ხედვის გამო. 2000-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფო პროექტი – თბილისი, სინათლის ქალაქი – რეკონსტრუქციის ახალი გეგმა იყო.

